http://www.tsu.ge/newspaper

# თბილისის უნივერსიტეტი

22 მარტი
ხუთშაბათი
N10 (2055)
2007 წელი

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი   გამოდის 1927 წლიდან   ფასი 30 თეთრი

# 2020 წელს გვიხსნის თუ არა სიკვდილით შიმშილისგან გენმოდიფიცირებული პროდუქტი

## ღია დისკუსია სიკვდილ-სიცოცხლის ირგვლივ

*საპარლამენტო ოპოზიციამ ბოლო პერიოდში კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი საქართველოში გენმოდიფიცირებული პროდუქციის აკრძალვის თაობაზე. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ, რომელმაც პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას გააცნო მოთხოვნა — დარეგულირდეს გენმოდიფიცირებული პროდუქციის ქვეყანაში შემოტანისა და გამოყენების წესი, შევიდეს ცვლილება მომხმარებელთა შესახებ კანონში და გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტების ეტიკეტზე გაჩნდეს შესაბამისი ნიშანდება.*

*რატომ შეიძინა აქტუალურობა ამ საკითხმა?*

*რა საფრთხეები არსებობს გენმოდიფიცირებული პროდუქციის მოხმარებისას?*

*ამ საკითხებზე მსჯელობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები.*

**მაია ტორაძე**

თანამედროვე მსოფლიო გლობალური პრობლემის წინაშე დგას — როგორ უზრუნველყოს დედამიწის მზარდი მოსახლეობა საკვებით ისე, რომ არ დაირღვეს ბუნებაში არსებული პროპორციები და ბიოლოგიური სისტემები. მას შემდეგ, რაც მეცნიერებამ ორგანიზმის გენის გაშიფრვა შეძლო, შესაძლებელი გახდა ბიოტექნოლოგიურად, გენური მოდიფიკაციის გზით, ხელოვნურად გაეზარდათ ზოგიერთი საკვები პროდუქტის მოსავლიანობა და გარემო პირობებისადმი მდგრადობის უნარი.

გენური მოდიფიკაცია, რომელიც ეყრდნობა გენურ ინჟინერიას, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან განვითარდა. იგი ითვალისწინებს მცენარეული და ცხოველური ორგანიზმის გენეტიკური ნიშან-თვისების შეცვლას ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით (ერთი სახეობის ინდივიდის გენომში უცხო, სხვა სახეობის გენეტიკური ინფორმაციის გადატანა (ტრანსგენი). ეს მეთოდი განსხვავდება ტრადიციული სელექციის მეთოდისაგან, რომელიც გულისხმობს გენების გადატანას მხოლოდ ერთი სახეობის ფარგლებში.

პირველი კომერციული ტრანსგენი იყო პომიდორი, რომელიც 1994 წელს გაჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ქსელში, მაგრამ, ტრანსპორტირებასა და წარმოებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, მისი რეალიზაცია მალევე შეწყდა. გენური მოდიფიკაციით მიღებული პროდუქციის მასშტაბები საწყის ეტაპზე დიდი არ იყო, ნათესებს ეჭირა დაახლოებით 20-30 მილიონი ჰექტარი, მაგრამ 1996 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა. ოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის მსოფლიოს 45 ქვეყანაში გენმოდიფიცირებულ კულტურულ ნათესებს 90 მილიონი ჰექტარი უჭირავს. ნათესების ფართობის სიდიდით ლიდერობენ ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა, კანადა და ჩინეთი.

გენური ინჟინერიით მიღებული მცენარეებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია სოიო (მისი რეალიზაცია დაიწყო 1995 წლიდან, უჭირავს ნათესების ნახევარზე მეტი). მისგან ამზადებენ იაფფასიან საკვებ დანამატს, რომელიც შედის ისეთ პროდუქტებში, როგორიცაა პური, ძეხვი, შოკოლადი...

### სინჯარაში შესწავლილი გენის შესახებ

**მარიკა გაიდამაშვილი,** თსუ ასოცირებული პროფესორი:

— გენური მოდიფიკაცია არის ბიოტექნოლოგიის ერთერთი ყველაზე თანამედროვე და ყველაზე რევოლუციური გამოხატულება, რომელიც ადამიანთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას ემსახურება.

გენური მოდიფიკაცია გულისხმობს ჯიშობრივ გაუმჯობესებას, რაც აუცილებელია თანამედროვე სამყაროში არსებული საკვების დეფიციტის შესავსებად. ეს მეთოდი ემსახურება მიზანს — რაც შეიძლება შევამციროთ ბუნებრივი ნეგატიური ეფექტების გავლენა.

გენური მოდიფიკაცია ემსახურება უფრო გამძლე ანუ რეზისტენტური მცენარეების (გვალვაგამძლე, პათოლოგგამძლე, ჰერბიციდებისადმი და პესტიციდებისადმი მდგრადი) ჯიშების გამოყვანას. რიგ შემთხვევაში კი კვებითი ან სასაქონლო თვისებების გაუმჯობესებას. (მაგალითად, გაუმჯობესებული ცხიმოვანი მჟავების და ამინომჟავების შემცველობა, დამწიფების შეფერხება ხანგრძლივი შენახვის მიზნით და ა. შ).

ხშირად გვეკითხებიან, რამდენად მიზანშეწონილია მცენარეში ცხოველის გენის გადატანა. კომერციული მიზნებით წარმოებულ გენმოდიფიცირებულ პროდუქტებში, ხდება არა ცხოველური, არამედ ძირითადად მიკროორგანიზმებიდან (ხანდახან მცენარეებიდანაც) გამოყენებული გენების გადატანა. რაც შეეხება ცხოველური გენის გადატანას, ამ კუთხით ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტები მიმდინარეობს. მაგალითად, სიცივეგამძლეობის თვალსაზრისით, პომიდორში გადააქვთ არქტიკული თევზის გენი, მაგრამ კომერციული მიზნით ასეთი პომიდორი არ გამოიყენება.

მე-3 გვერდზე



# ვინ აკონტროლებს ქართულ მედიას?

## უნივერსიტეტმა ჟურნალისტიკის დღე აღნიშნა

**მაია ტორაძე**

*შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ ქართული პრესის განვითარება 1819 წლის 21 მარტიდან დაიწყო. ამ დღეს გამოვიდა „საქართველოს გაზეთი“, რომელმაც მკითხველს ქართულ ენაზე პირველი ინფორმაცია მიაწოდა.*

*დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორთა ინიციატივით, ეს დღე ქართული ჟურნალისტიკის დღედ გამოცხადდა და 1993 წლიდან 2003 წლამდე რეგულარულად აღინიშნებოდა.*

### ყოველი თაობა საკუთარ ჟურნალისტიკას ქმნის

დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის წლებმა ქართული ჟურნალისტიკა იმდენად პოლიტიზირებული გახადა, რომ საზოგადოება მას დღემდე პოლიტიკურ ინსტიტუტად მიიჩნევს. ამგვარ განწყობას კიდევ უფრო შეუწყო ხელი მედიის აქტიურობამ „ვარდების რევოლუციის“ დღეებში, როცა მან, ფაქტობრივად, ხელისუფლებაში მოიყვანა პოლიტიკური ძალა, რომელმაც ჟურნალისტთა ერთი ნაწილისაგან რევოლუციური გუშაგები შექმნა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაიზარდა მედიის მიმართ პრეტენზიულობის ხარისხი — ხელისუფლებას აღარ მოსწონს კრიტიკა, აკონტროლებს ინფორმაციას, უთითებს ჟურნალიტიკას, რა უნდა იყოს საინფორმაციო გადაცემებში პრიორიტეტული, არ მოსწონს გაშუქების კუთხე, მუდმივად ითხოვს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებით აღფრთოვანებას.... ეს პრეტენზიები ძირითადად ტელევიზიებზე აისახება, ამით კი ირღვევა საზოგადოების უფლება — მიიღოს ამომწურავი, ობიექტური და დაბალანსებული ინფორმაცია, რომელიც მას ჭირდება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ერთერთი პრობლემა, რომელზეც დღეს ჟურნალისტები ხმამაღლა საუბრობენ, ინფორმაციის მოპოვების თავისუფლებაა.

### რატომ გაძნელდა ინფორმაციის მოპოვება?

**ია ანთაძე,** რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი:

— როცა კითხვას მისვამენ ქართული ჟურნალისტიკის დღევანდელ პრობლემებზე, ყოველთვის ვხაზავ ორ სამკუთხედს — ერთს წვერით ზემოთ, მეორეს — პირიქით. „ვარდების რევოლუციამდე“ სამკუთხედის წვერში მოიაზრებოდა ხელისუფლება და მისი ფუძის ორი წვერი ეჭირა ჟურნალისტებს და მედიადამფუძნებლებს. ეს ორი ქვედა რგოლი მოქმედებდა ერთად ხელისუფლების წინააღმდეგ და ერთ გუნდს წარმოადგენდა.

მე-6 გვერდზე

ანონსი

**სწავლის შედეგების მიხედვით მაგისტრანტთა 30%-ს სწავლის თანხა უკან დაუბრუნდება**

ÌÄ-2 ÂÅ.

**ზურიკელას ნაქონი სახელმძღვანელოებით ოცდამეერთე საუკუნეში ფონს ველარავინ გავა**

ÌÄ-5 ÂÅ.

**1589 წლიდან დღემდე რუსეთს საქართველოსთან დადებული არცერთი ხელშეკრულება არ შეუსრულებია**

რას წერენ ისტორიკოსები წიგნში „რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ“

ÌÄ-10 ÂÅ.

**ჩვენ ვიცით – რა გვინდა ნატოსგან მაგრამ არ ვიცით – რა უნდა ნატოს ჩვენგან**

ÌÄ-11 ÂÅ.

**რად გვინდა სხვისი ნაპატრონევი ქვეყანა**

შეხვედრა ოტია იოსელიანთან

ÌÄ-13 ÂÅ.

**სტუდენტების რეზერვისტებად გაწვევა 31 მარტს დაიწყება**

ÌÄ-12 ÂÅ.

# დაფუძნდა უნივერსიტეტის განვითარების ფონდი



ნუგზარ ფიფია

12 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნივერსიტეტის განვითარების ფონდი დაფუძნდა. ფონდის დამფუძნებლები არიან ბანკი „რესპუბლიკა“, „თიბისი ბანკი“ და თსუ. დამფუძნებლებმა ფონდის პრეზიდენტად აირჩიეს ცნობილი ეკონომისტი და ფინანსისტი ნუგზარ ფიფია.

ფონდის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ხელშეწყობა და მისი ევროპული დონის უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბება.

დამფუძნებელთა კრებამ დაამტკიცა ფონდის წესდება, რითაც განისაზღვრა ფონდის მიზნები და ამოცანები. ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანებია: ურთიერთობის დამყარება სხვადასხვა სახელმწიფო და დონორ ორგანიზაციებთან, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ფინანსური რესურსების მოზიდვა, მობილიზებული სახსრების გამოყენების სტრატეგიის განსაზღვრა, დაფინანსებული პროექტებისა და ღონისძიებების მიმდინარეობის მონიტორინგი და ა.შ.

ფონდში შემოსული თანხები ძირითადად მოხმარდება სამეცნიერო კვლევების განხორციელებას, ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობას, უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერებისა და უცხოელი პროფესორების მოწვევას უნივერსიტეტში.

ფონდის ერთერთმა დამფუძნებელმა, თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქართული ფინანსური და ინტელექტუალური კაპიტალის ერთმანეთთან დაახლოებაზე: „დღეს ძალიან მნიშვნელოვანია კავშირის განმტკიცება საუნივერსიტეტო განათლებას, კვლევასა და ბიზნესს შორის. დარწმუნებული ვარ, ეს ფონდი აუცილებლად განავითარებს ამ კავშირებს, დაამკვიდრებს საქართველოში იმ კულტურას, რასაც ჰქვია ბიზნესსა და უნივერსიტეტს შორის აქტიური კონტაქტები. ფონდში მოზიდული თანხები მოხმარდება საუნივერსიტეტო კვლევას, სწავლების სტანდარტების ამაღლებას, ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობას და სხვა ღონისძიებებს, რაც უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით გვაქვს დასახული“.

უნივერსიტეტის განვითარების ფონდი ხელს შეუწყობს შრომის თანამედროვე დასავლური კულტურის დამკვიდრებას უნივერსიტეტში. როგორც თსუ-ს განვითარების ფონდის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ნუგზარ ფიფიამ განაცხადა, ასეთი ფონდის არსებობა ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის წინაშე დასახული ამბიციური ამოცანების განხორციელებას.

**თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

# ბრძანება N18/01–01

**სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად**

**ვბრძანებ:**

1. ჩატარდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 67-ე სამეცნიერო კონფერენცია 2007 წლის 23-27 აპრილს.

2. დამტკიცდეს თსუ-ის სტუდენტთა 67-ე სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება (დანართი 1).

3. თსუ-ის სტუდენტთა 67-ე სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ორგანიზება დაევალოს თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებას (ტ. კვიციანი).

4. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს (რ. ბოჭორიშვილი, დ. თვალთვაძე, ი. სალუქვაძე, ა. ცომაია, დ. კერესელიძე, ა. ცისკარიძე), უზრუნველყონ შესაბამის ფაკულტეტებზე თსუ-ის სტუდენტთა 67-ე სამეცნიერო კონფერენციისათვის სათანადო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება კონფერენციის დებულების შესაბამისად.

5. დაევალოს საფინანსო სამსახურს (მ. ცარციძე) თსუ-ის სტუდენტთა 67-ე სამეცნიერო კონფერენციის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი განიხილოს უნივერსიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

6. დაევალოს მატერიალური რესურსების სამსახურს (ს. სანაძე) თსუ-ის სტუდენტთა 67-ე სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზების ტექნიკური უზრუნველყოფა.

7. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა), უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე.

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გ. გალდავას.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების თავმჯდომარის განცხადება.

**რექტორი, პროფესორი**
**გიორგი ხუბუა**

**დანართი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა 67-ე სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების

## დებულება

- საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციას ორგანიზებას უკეთებს თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება.
- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ტარდება უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე.
- ფაკულტეტის დეკანი ქმნის საკონფერენციო ჟიურის შემადგენლობას და უზრუნველყოფს კონფერენციის ჩატარებას სათანადო სექციების მიხედვით.
- ფაკულტეტის დეკანატი სამეცნიერო კონფერენციის საფაკულტეტო სამუშაო პროგრამას წარადგენს თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებაში 2007 წლის 15 მარტამდე.
- სამეცნიერო ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის 4 გვერდს, აკრეფილს Word-ში, აკადნუსხური შრიფტით, ზომით 11.
- კონფერენციის საფაკულტეტო სამუშაო პროგრამა წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული ვერსიით და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ფაკულტეტის დასახელება;
ბ) სექციების დასახელება;
გ) თითოეული სექციის ჟიურის შემადგენლობა წევრების აკადემიური თანამდებობის მითითებით;
დ) კონფერენციის სამუშაო გეგმა (თარიღი, მუშაობის დაწყება-დამთავრების დრო, კორპუსი, აუდიტორია);
ე) მომხსენებლის გვარი და სახელი სრულად, კურსი;
ვ) მოხსენების სრული დასახელება;
ზ) სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელის გვარი და სახელი სრულად, აკადემიური თანამდებობა ან სამეცნიერო ხარისხი.

- სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მისი ფილიალების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს.
- საუნივერსიტეტო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად დაიშვება სტუდენტი, რომლის საკონფერენციო ნაშრომს აქვს სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელის დადებითი რეცენზია.
- ფაკულტეტის საკონფერენციო ჟიური შეიმუშავებს სამეცნიერო მოხსენების შეფასების კრიტერიუმებს ქულობრივი მაჩვენებლებით, რომელიც კონფერენციის დაწყებამდე ეცნობება მონაწილეებს.
- სამეცნიერო კონფერენციაზე სტუდენტის გამოსვლას აფასებს ჟიურის თითოეული წევრი სათანადო უწყისში კრიტერიუმების მიხედვით.
- კონფერენციის დასრულებისას ჟიური აცხადებს შედეგებს და გამარჯვებულებს.
- კონფერენციაში გამარჯვებულ მონაწილეთა დაჯილდოვება მოხდება თსუ-ის მიერ დაწესებული სიგელებით თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და დაკავებული I, II, III ადგილების შესაბამისად.
- კონფერენციაში გამარჯვებულ მონაწილეთა სამეცნიერო ნაშრომები დაიბეჭდება სტუდენტთა შრომების კრებულში.

*01.03.2007წ.*

# სწავლის შედეგების მიხედვით მაგისტრანტთა 30%-ს სწავლის თანხა უკან დაუბრუნდება

საქართველოში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებს შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლა ყველაზე იაფია, კერძოდ 1700 ლარი. თუმცა ეს არ მიუთითებს უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის ნაკლებ დონეზე. პირიქით, სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისა და მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარების შემდეგ აქცენტი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი განათლების მიღებაზე კეთდება.

სამაგისტრო პროგრამების მიხედვით მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები ჩააბარეს ჰუმანიტარული, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების კურსდამთავრებულმა ბაკალავრებმა. მაგისტრატურაში ჩაირიცხა 611 სტუდენტი. უნივერსიტეტი თავისი ხარჯებით ასწავლის ჩარიცხული მაგისტრანტების 10%-ს — ეს ინფორმაცია მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარებამდე გაცხადდა. ამ წესის თანახმად ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სწავლის ღირებულებისგან გათავისუფლდა 22 სტუდენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე — 14, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე — 12, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე — 15 სტუდენტი.

უნივერსიტეტი აპირებს იმ ნიჭიერ სტუდენტთა დაფინანსებასაც, რომლებიც სწავლის განმავლობაში თავს გამოიჩენენ და მაღალ ქულებს დააგროვებენ. რექტორის გიორგი ხუბუას თქმით, სტუდენტს, რომელიც სემესტრის დასაწყისში გადაიხდის სწავლების საფასურს, მაგრამ შემდგომში თავს გამოიჩენს ნიჭითა და მონდომებით, უნივერსიტეტში შეტანილი თანხა სტიპენდიის სახით უკან დაუბრუნდება. ანუ იცვლება დაფინანსების წესი: 10 % — ის გარდა, მაგისტრანტების 30% დაფინანსდება უკვე სწავლის შედეგების მიხედვით და მისაღებ გამოცდებზე დაგროვებული ქულები მისთვის აღარ იქნება საბოლოო „განაჩენი“.

სიახლეა ისიც, რომ მაგისტრანტთა 10 % — ის დაფინანსების გარდა უნივერსიტეტი დამატებით 40 მაგისტრანტს დააფინანსებს სრულად. ეს გადაწყვეტილება აკადემიურმა საბჭომ 19 მარტს გამართულ სხდომაზე მიიღო. დამატებითი ადგილების განსაზღვრის შესახებ დადგენილების თანახმად სწავლის ღირებულებისგან გათავისუფლდება ჰუმანიტარული ფაკულტეტის 15 სტუდენტი ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებისთვის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 15 და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 10 სტუდენტი.

,,უნივერსიტეტის ნიჭიერ სტუდენტთა ხელშეწყობის ფონდი წელს ნახევარი მილიონი ლარით განისაზღვრა. ამ თანხით ჩვენ დავაფინანსებთ გამორჩეულად ნიჭიერი ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტების სწავლას“, — აღნიშნა პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

# სახელმწიფო გრანტის მოპოვებისა და სტუდენტთა მობილობის ახალი წესი

2007 წლის 16 თებერვალს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის N127 ბრძანებაში „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ შეტანილ იქნა ცვლილება. აღნიშნული ცვლილება სტუდენტის მიერ სახელმწიფო გრანტის მოპოვებისა და სტუდენტთა მობილობის ახალ წესს ითვალისწინებს. სიახლის შესახებ გვესაუბრება თსუ სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის უფროსს, პროფესორ **მერაბ სვანაძეს**.

— ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტს, რომელმაც ვერ მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტით სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება, საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ გამოცხადებულ სტუდენტთა საგრანტო კონკურსში. ამ კონკურსში წარმატების მიღწევისა და სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების ან გაზრდის შემთხვევაში მას გაუუმჯობესდება ფინანსური მდგომარეობა. საგრანტო კონკურსში მონაწილე სტუდენტი წერით გამოცდას აბარებს ზოგად უნარებში ქართულ ან რუსულ ენაზე.

გადაყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ, სასწავლო წლის 1 ოქტომბრამდე, ან მეორე სემესტრის დაწყებამდე. აღნიშნული წესი ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წლის ნებისმიერ დროს.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ადგენს ვაკანტურ ადგილებს და ახორციელებს კონტროლს მათ ათვისებაზე. გადაყვანის წესით ჩარიცხულთათვის გამოყოფილი ადგილების, ანუ ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია განთავსდება განათლების სამინისტროს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის და უმაღლესი სასწავლებლების ვებ-გვერდებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ადგილებზე ჩარიცხვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილები დარეგისტრირებულია და გამოქვეყნებულია განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ.

რაც შეეხება გარიცხული სტუდენტების აღდგენის წესს: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული პირის აღდგენა სტუდენტად შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, მაგრამ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მიღებამდე ჩაირიცხული სტუდენტის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შედეგების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ სტუდენტი ამორიცხულია უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების გამო, კანონით დადგენილ ვადებში. სტუდენტის გარიცხვის შემთხვევაში მისი აღდგენა ხორციელდება იგივე პირობებით, როგორც გადაყვანის წესით ჩარიცხვა.

თავისუფალი ადგილები — ვაკანსიები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განისაზღვრება წელიწადში ორჯერ სხვადასხვა წესით: ა) სასწავლო წლის სემესტრის დაწყებამდე ვაკანსიების რაოდენობის დასადგენად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მაქსიმალურ კონტიგენტს აკლდება დაწესებულებაში რიცხული სტუდენტების რაოდენობა. ბ) მომავალი სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩარიცხვისათვის: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაქსიმალურ კონტინგენტს აკლდება მეორე სემესტრის დასრულების შემდეგ დაწესებულებაში რიცხული სტუდენტების რაოდენობა და მომავალი სასწავლო წლის I სემესტრში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩასარიცხად გამოცხადებული ადგილების რაოდენობა.

ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში, გადასვლის მსურველი სტუდენტი განცხადებით მიმართავს მიმღებ უმაღლეს სასწავლებელს. როგორც წესი, მსურველთა რაოდენობა გაცილებით ჭარბობს ვაკანტური ადგილების რაოდენობას, რის გამოც აუცილებელი ხდება მიმღები ფაკულტეტის მიერ წერითი გამოცდის (ან გამოცდების) ჩატარება. დგინდება აგრეთვე სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისობა მიმღები უმაღლესი დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამასთან. დარღვევების თავიდან ასაცილების მიზნით დოკუმენტაცია გადამოწმდება ექსპერტის მიერ და შესწავლილი საგნების ფაკულტეტის მიერ აღიარებისა და დადებითი საგამოცდო შეფასებების საკითხებზე კეთდება შესაბამისი დასკვნა და წარდგინება სტუდენტის გადმოყვანის წესით ჩარიცხვის თაობაზე. აღნიშნული მასალა სრული სა-



ხით ექსპერტიზისათვის გადაეგზავნება განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს. წერილობითი მასალის აღიარებისა და დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტი ჩაირიცება მისთვის სასურველ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელში. სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტს გრანტი უნარჩუნდება და გადაჰყვება თან.

პროცესი მაქსიმალური გამჭვირვალეობითა და კანონმდებლობის სრული დაცვით უნდა წარიმართოს.

წინასწარ იქნება დადგენილი, თუ რომელ უმაღლეს სასწავლებელს აქვს უფლება მიიღოს სტუდენტები და რა რაოდენობით.

ჩვენ უკვე ვემზადებით ამ პროცედურისათვის, მუშავდება საინსტრუქციო წერილი, რომელიც სტუდენტებს დაეხმარება საჭირო დოკუმენტების, ორგანიზაციული საკითხების სწორად მოგვარებაში. აპრილის მეორე ნახევარში გამოვაცხადებთ ვაკანსიების რაოდენობას. ივლისში, მეორე სემესტრის დასრულების შემდეგ, ვაკანსიების რაოდენობა საბოლოოდ დაზუსტდება და სტუდენტთა საბუთების მიღება 10 აგვისტომდე გაგრძელდება. 25 აგვისტოდან დაიწყება შესარჩევი გამოცდები, წინასწარ გამოცხადებული, თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკით გათვალისწინებული პროგრამით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, თითოეული ფაკულტეტი ყველა ღონეს იხმარს, რომ სტუდენტთა მობილობის პროცესი, განსაკუთრებით გამოცდების ნაწილი, ორგანიზებულად, გამჭვირვალედ და მაღალ დონეზე ჩატარდეს. შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება.

ვფიქრობთ, ჩვენი სამსახური, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის დეკანატი თავს გაართმევს ამ მეტად საპასუხისმგებლო, სათუთ საქმეს და უნივერსიტეტს ღირსეულ კადრს შემატებს.

# 2020 წელს გვიხსნის თუ არა სიკვდილით შიმშილისგან გენმოდიფიცირებული პროდუქტი

## ღია დისკუსია სიკვდილ-სიცოცხლის ირგვლივ

პირველი გვერდიდან

**სოიო, სიმინდი, ბამბა, რაფსა, პომიდორი, კარტოფილი სხვადასხვა ნიშნით არის გენმოდიფიცირებული — კარტოფილი მოდიფიცირებულია მწერებისადმი გამძლეობის ნიშნით, ანუ მასში შეყვანილია ტოქსინის გამომმუშავებელი ბაქტერიული გენი. რაც შეეხება პომიდორს, რომელიც კომერციული მიზნით გამოიყენება, მასში გენეტიკურად მანიპულირებულია დამწიფების შეფერხება, ე.ი., მას აქვს შენახვისა და ტრანსპორტირების უფრო გაზრდილი და გაუმჯობესებული უნარი. ასეთივე ნიშნით, ანუ დამწიფების შენელებით არის გენმოდიფიცირებული ნესვი.**

### უნაყოფო ჯორი – გამოდგება თუ არა მაგალითად?

ბიოტექნოლოგები აცხადებენ, რომ 2020 წლისათვის, როცა დედამიწის მოსახლეობა 8 მილიარდს მიაღწევს, სწორედ ეს პროდუქტი იხსნის მას შიმშილით სიკვდილისაგან.

მიუხედავად ასეთი ჰუმანური მიზნებისა, რომელსაც მხარს უჭერს მეცნიერთა ერთი ნაწილი, გენმოდიფიცირებულ პროდუქციას გაუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, რომლებიც აცხადებენ, რომ ასე თვალდახუჭული არ უნდა ვენდოთ ბიოტექნოლოგიურ სიახლეებს. მათ აქვთ თავისი არგუმენტები, რომლებიც არანაკლებ სარწმუნოდ გამოიყურება. საქართველოს პარლამენტის საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების მიერ მომზადებულ მასალებში მითითებულია გენმოდიფიცირებული პროდუქციის საფრთხეების თაობაზე: 1) სინჯარაში შესწავლილი გენის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, როგორ იქცევა იგი სინჯარის პირობებში. სამაგიეროდ, ვერაფერს იტყვი, როგორ მოიქცევა იგივე გენი მშობლიურ ორგანიზმში ან უცხო გარემოში; 2) ახალი გენის „ჩასმას“ მასპინძელ ორგანიზმში აკლია სიზუსტე და წინასწარგანზრახულობა — არავინ იცის, ახალი გენი რომელიმე არსებული გენის გვერდით მოთავსდება თუ მასში ჩაჯდება და მის მთლიანობას დაარღვევს; 3) გენური ინჟინერია არ იფარგლება ერთი გენის ინფორმაციის გადატანით, რაც რისკის ფაქტორებს ზრდის; 4) ტრანსგენური მცენარე წარმოადგენს ახალ ორგანიზმებს ახალი თვისებებით, რაც, შესაძლოა, საზიანო აღმოჩნდეს როგორც ადამიანისთვის (საკვებად გამოყენებისას), ისე ეკოსისტემისთვის; 5) ტრადიციული გადარჩევის დროს ჯიშები მიიღება სახეობების ფარგლებში არსებულ გენთა ფონდიდან, მაგალითად, შესაძლებელია ვარდის შეჯვარება სხვა სახეობის ვარდთან მაგრამ არა, ვთქვათ, კომბოსტოსთან. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეჯვარება მოხდება, მისგან თესლის მიღება ხელოვნური ჩარევის გარეშე შეუძლებელია (ასეთივე მაგალითად გამოგვადგება ცხენისა და ვირის შეჯვარების შედეგად მიღებული შთამომავალი — ჯორი, რომელიც უნაყოფოა); 6) გენური ინჟინერია არღვევს სახეობათაშორის ბარიერს. მეცნიერთა ნაწილი აცხადებს, რომ ამაში საშიში არაფერია, რადგან ჩვეულებრივი ევოლუციის პირობებში ბაქტერიები და ვირუსები ხშირად ახდენენ გენების ჩანაცვლებას და გენური ინჟინერია მხოლოდ აჩქარებს ამ პროცესს. მათ მოწინააღმდეგეებს კი ამის თაობაზე თავისი არგუმენტი აქვთ — მაშ, ასეთივე უსაფრთხო უნდა იყოს ბირთვულ რეაქტორში მიმდინარე პროცესი, რადგან იქ ჩქარდება ბუნებრივად მიმდინარე ფენომენი — რადიოაქტიური დაშლა.

### გაგვაშავებს თუ არა ზედმეტად წითელი პომიდორი?

დიანა ძიძიგური, თსუ პროფესორი:

— ვიცით, რომ არსებობს ტექნოლოგიები, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ერთი სახეობის ორგანიზმისთვის დამახასიათებელი უკვე არსებული გენეტიკური ინფორმაცია შევცვალოთ ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე. ამან საშუალება მოგვცა შექმნილიყო გენეტიკურად მოდიფიცირებული სახეობები, რომელშიც ორგანიზმის რომელიღაც ნიშან-თვისებაა გაძლიერებული. ყველაზე ნათელი მაგალითია პომიდორი, რომელიც, ჩვეულებრივ, მხოლოდ წელიწადის რაღაც დროს იძლევა ნაყოფს. ვინაიდან ამ ნაყოფზე არის ძალიან



დიანა ძიძიგური



მარიკა გაიდამაშვილი

**დიდი მოთხოვნილება, გადაწყვიტეს, რომ მთელი წელი აწარმოონ და მიიღონ პომიდორის ჭარბი პროდუქცია. ამიტომ გააკეთეს ასეთი რამ — აიღეს თეთრი დათვის ყინვაგამძლეობის გენი (გაშიფრულია, რომელი გენი აძლევს უპირატესობას თეთრ დათვს, რომ გაძლოს უკიდურეს ჩრდილოეთში) და მიიღეს ნაყოფი, რომელიც უძლებს ყინვას. ამან გამოიწვია ყინვაგამძლეობა, მაგრამ ასევე შეცვალა პომიდორის სხვა თვისებებიც. ის, თუ რა შეიცვალა და რა ზიანი შეიძლება მოახდინოს გარემოზე, ორგანიზმეზე და ა.შ ჯერჯერობით მეცნიერულად არ არის დამტკიცებული.**

### არპად პუშტაის ექსპერიმენტი

ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ადამიანი და მის ორგანიზმზე მოქმედი ფაქტორები. კერძოდ, რა საშიშროებას შეიცავს გენმოდიფიცირებული პროდუქტი ჯანმრთელობისათვის.

1998 წელს ბრიტანელმა მეცნიერმა არპად პუშტაიმ ერთერთ სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ მის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა „გამოავლინა შეუქცევადი ცვლილებები გენმოდიფიცირებული პროდუქტით გამოკვებილი ვირთაგვების ორგანიზმში — მათ დაუქვეითდათ იმუნური სისტემა და აღმოაჩნდათ შინაგანი ორგანოების ფუნქციების სხვადასხვა დარღვევა.“ ამ განცხადების შემდეგ პუშტაი „ცრუ მეცნიერული ინფორმაციის გავრცელების“ საბაბით სამსახურიდან დაითხოვეს, მაგრამ შემდგომ წელს მეცნიერთა 20-კაციანმა ჯგუფმა პუშტაის აღმოჩენის სანდოობა დაადასტურა.

მიუხედავად ამისა, მეცნიერები ჯერ დანამდვილებით ვერაფერს ამტკიცებენ. მათ მხოლოდ ის შეუძლიათ თქვან, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი რეზისტენტულია ჰერბიციდებისა და პესტიციდებისადმი, რომლის მავნე გავლენა ადამიანის ორგანიზმზე დიდი ხანია დამტკიცებულია.

### მე არ ვარ ამ პროდუქციის აქტიური მოწინააღმდეგე

მარიკა გაიდამაშვილი:

**— ძირითადი ორი ნიშანი, რომელსაც გენმოდიფიცირებული პროდუქტის 80-90% ატარებს, არის ჰერბიციდების მიმართ ტოლერანტობა და მწერების მიმართ გამძლეობა. ამ ორი ნიშნით მოდიფიცირება პესტიციდების (შხამქიმიკატები, რომელსაც იყენებენ სოფლის მეურნეობაში როგორც სოკოვანი მავნებლების, ასევე მწერების წინააღმდეგ) გამოყენების ალტერნატივაა.**

**დადგენილია, რომ პესტიციდები მავნებელია, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ასევე ბუნებისათვის. მისი გამოყენება ქმნის ეკოლოგიურ საფრთხეს, რადგან ხელს უწყობს ბუნების განადგურებას.**

**ადამიანისთვის პესტიციდების შემცველი პროდუქტი არის ტოქსიკური — აზიანებს სასუნთქ და ნერვულ სისტემას, იწვევს სხვადასხვა სახის ალერგიას. ბუნებისთვის კი ეს არის ისეთი სახის ქიმიური ნაერთები, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე რჩება ნიადაგში. გარდა ამისა, პესტიციდების ნიადაგის წყლებში დიდი რაოდენობით დაგროვება, ხელს უწყობს მცენარეების მიერ მის ხელახლა შეწოვას.**

**შეიძლება დაიბადოს კითხვა — საიდან გაუჩნდათ ასეთი პროდუქციის შექმნის იდეა? ბუნებაში არსებობს ზოგიერთი მწერის ბუნებრივი, ფართოდ გავრცელებული პათოგენური ბაქტერია, რომელიც გამოყოფს ტოქსიკურ ცილას. ამ ცილის პრეპარატებს სოფლის მეურნეობაში ფერმერები დიდი ხნის განმავლობაში იყენებენ, როგორც აეროზოლებს. მეცნიერებმა მოახდინეს ამ ტოქსინის (Bt-ტოქსინი) გადატანა მცენარეში — აიღეს ბაქტერიიდან გენი, რომელიც მას ასინთეზებს და გადაიტანეს პირდაპირ მცენარეში, რომ ტოქსინი მას დაესინთეზებინა. ასეთ მცენარეზე მოხვედრილი სამიზნე მავნებელი მწერი იღუპება. ასე რომ, დამატებით პესტიციდების გამოყენება აღარ არის საჭირო.**

**თქვენ მეკითხებით — თუ მწერს ანადგურებს ეს ტოქსინი, ადამიანიც ხომ ჭამს მას? საქმეც ისაა, რომ Bt-ტოქსინი მოქმედებს მხოლოდ მწერების საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე, ხოლო ის რეცეპტორი, რომელიც ამ ცილას დაიკავშირებს და მოახდენს, დავუშვათ, ნაწლავის უჯრედების დაზიანებას, გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ მწერებში და პათოგენურ ორგანიზმებში. ადამიანის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში ამის რეცეპტორი არ არსებობს. როდესაც ადამიანი ასეთი პროდუქტით იკვებება, ეს ცილა არის დეგრადირებადი და არამავნე.**

**ის, რაც მოგახსენეთ, დადგენილია ხანგრძლივად მიმდინარე ექსპერიმენტების შედეგად და ადამიანზე მისი მავნე ზეგავლენის არცერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული.**

**ისე არ გამიგოთ, რომ მე ამ პროდუქციის პროპაგანდას ვეწევი, უბრალოდ, არა ვარ აქტიური მოწინააღმდეგე. მე ვხედავ მის დადებით და უარყოფით მხარესაც. მაგალითად, შესაძლო რისკი, რაზედაც ხშირად საუბრობენ, შეიძლება იყოს მიღებული გენმოდიფიცირებული საკვების გზით ტრანგენური ორგანიზმებიდან ადამიანებში გენების ინტეგრაცია და ექსპრესია, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია. გენები ასე თუ ადვილად ინტეგრირდებიან, გამოდის, რომ რომელ საკვებსაც ვჭამთ, იმ საკვების გენიც შეიძლება ჩაერთოს ჩვენს ორგანიზმში.**

**მეორეც, ჩვენ საკვებად ვიღებთ უკვე გადამუშავებულ პროდუქტს და, ფაქტობრივად, ყველა მასალა არის დენატურირებული და არააქტიურ მდგომარეობაში.**

**პოტენციური რისკი, რაც ნამდვილად არსებობს, ეს არის ალერგიული და ტოქსიკური პროდუქტების შეღწევა საკვებ ჯაჭვში. თუმცა ეს პრობლემა კონტროლირებადი და რეგულირებადია და მისი შემოწმება შეიძლება. ამას გარდა, ბაზარზე არსებობს ამ პროდუქტის კონტროლის საკმაოდ მოქნილი მექანიზმები. მთავარია, პროდუქცია იყოს ავტორიზებული და ეტიკეტირებული. როგორც წამლები გადის კლინიკურ გამოცდებს, სანამ ჩვენს აფთიაქებში გაჩნდებიან, ასევე უნდა გაიაროს შემოწმება გენმოდიფიცირებულმა პროდუქტმაც.**

### კარტახენას ოქმის რატიფიცირება საქართველოში ჯერ არ მომხდარა

მეცნიერთა შორის დავა დღემდე მიმდინარეობს. გენმოდიფიცირებული პროდუქციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რიცხვი თითქმის თანაბარია და რადგან ჯერჯერობით არცერთი მხარის მოსაზრება არ არის დამტკიცებული, საერთაშორისო ორგანიზაციები სიფრთხილისკენ მოუწოდებენ ქვეყნებს.

1992 წელს მსოფლიოს 180-მა ქვეყანამ (მათ შორის, საქართველომ, რომელიც 1994 წლიდან შეუერთდა ამ კონვენციას) ხელი მოაწერა „ბიომრავალფეროვნების კონვენციას“, რომელმაც აღიარა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების უდიდესი მნიშვნელობა. მასში ნათქვამია, რომ განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ განვითარებად ქვეყნებს, რომლებშიც თავმოყრილია მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების უდიდესი ნაწილი.

2000 წელს მონრეალში ხელი მოეწერა „ბიომრავალფეროვნების კონვენციის კარტახენას ოქმს“, რომლის მიზანია უსაფრთხოების სათანადო დონის დაცვა (ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხის გათვალისწინებით) თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებით მიღებული ისეთი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებისაგან, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე.

ასევე მყარი არგუმენტია ის, რომ გენური ინჟინერია მონოკულტურების შექმნის ტექნოლოგიაა. მაგალითად მოჰყავთ ისტორიული ფაქტი — XIX საუკუნეში ირლანდიაში გენეტიკური ერთგვაროვნების გამო მთლიანად განადგურდა კარტოფილის ნათესები, მაშინ, როცა იგივე დაავადებამ ანდებში მხოლოდ ნათესების ნაწილი დააზიანა, ზოგიერთი სახეობის კარტოფილს კი საერთოდ არ შეხებია.

კარტახენას ოქმის რატიფიცირება საქართველოში ჯერ არ მომხდარა.

პოლიტიკური ძალები, რომლებმაც ბოლო პერიოდში წამოსწიეს ეს საკითხები, სწორედ ამ ოქმის რატიფიცირებას და საქართველოს გენმოდიფიცირებული პროდუქციისთვის აკრძალულ ზონად გამოცხადებას ითხოვენ.

რა არგუმენტები აქვთ საამისოდ მეცნიერებს?

### თუ შემოვა ეს პროდუქცია, შემოვიდეს ეტიკეტით!

დიანა ძიძიგური:

**— სამწუხაროდ, არცერთ ჯგუფს დამამტკიცებელი საბუთი არ გვაქვს. მე, პირადად, წინააღმდეგი ვარ ასეთი პროდუქტის, მით უმეტეს, თუ ის დამზადებულია ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის გამოყენებით.**

**მთელ მსოფლიოში არის ასეთი წესი და კანონი — როდესაც თქვენ შემოგაქვთ პროდუქტი ქვეყანაში, ან აწარმოებთ და თქვენსავე ქვეყანაში ყიდით, თქვენ ამ პროდუქტს უნდა გაუკეთოთ ეტიკეტირება, ანუ ქილაზე, რომელსაც ტომატი აწერია, უნდა ეწეროს, რომ ეს დამზადებულია გენმოდიფიცირებული პომიდორისგან. ამის შემდეგ მყიდველს ეძლევა არჩევანი — უნდა იყიდის, უნდა — არა.**

**კარტახენას ოქმი, თუ ჩვენ ამ ოქმს ხელს მოვაწერთ, გვავალდებულებს, რომ საქართველოში შეიქმნას ბიოუსაფრთხოების ეროვნული კანონი.**

**ეს კანონპროექტი რამდენიმე წლის წინ ბიოლოგების მცირერიცხოვანი ჯგუფის მონაწილეობით ჩავარდა პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის სხდომაზე იმიტომ, რომ ჩვენს მიერ შედგენილი პროექტის დატვირთვა აბსოლუტურად შეცვლილი იყო იურისტების მიერ.**

**ამის შემდეგ დადგა საკითხი, რომ დაიწეროს ახალი პროექტი, მაგრამ არ იწერება იმიტომ, რომ ვიღაც ყოველთვის ეწინააღმდეგება, როგორც ჩანს, გარკვეული ინტერესების გამო.**

**ჩვენ ასე ჩავდეთ კანონპროექტში — თუ შემოვა ეს პროდუქცია, შემოვიდეს ეტიკეტით, რომელზეც მინიშნებული იქნება, რომ მის დასამზადებლად გამოყენებულია გენმოდიფიცირებული პროდუქტი.**

**რაც შეეხება ცოცხალი გენმოდიფიცირებული თესლის შემოტანას, ჩვენ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ. ამას აქვს თავისი არგუმენტები:**

**საქართველო არის მარცვლეულის ქვეყანა. ჩვენ გვაქვს სხვადასხვა კარგი ჯიშის ხორბალი, რომელიც არის ჯვარედინა მტვერია მცენარე და თუ ქართული ენდემური სახეობის გვერდით დაითესება გენმოდიფიცირებული ხორბლის თესლი, ის გენი, რომელიც არის რომელიმე კონკრეტული ჰერბიციდებისადმი და მავნებლებისადმი მდგრადი, გადადის ენდემურ ჯიშზე, რის შემდეგაც ჩვენ ვიღებთ გენეტიკურ დაბინძურებას, ანუ ენდემური სახეობა აღარ გვაქვს.**

**შევხედოთ სხვა მხრიდან — რა მოხდა ამით საშიში და საგანგაშო? იყოს გენმოდიფიცირებული ნათესები, თუკი ის უხვმოსავლიანია (და ეს ნამდვილად ასეა)? რა მოხდება და უცებ გარემო პირობები რომ შეიცვალოს და გენმოდიფიცირებულმა სახეობამ დაკარგოს მდგრადობა, საქართველოში ყველგან გაქრება ხორბალი და ჩვენ დავრჩებით ხორბლის გარეშე, რის შემდეგაც იძულებულნი ვიქნებით, ხელი გავუწოდოთ „მონსანტოს“ და ვთხოვოთ, მოგვყიდოს ხორბლის თესლი.**

**მეორე წინააღმდეგობა — ჩვენ შეიძლება ათი წელი მდგრადობა არ დავკარგოთ, მაგრამ ამ უხვმოსავლიანი ნათესებიდან სათესლე მასალას ვერ მივიღებთ (ეს არის ამ ჯიშების ნაკლოვანი მხარე) და მომავალ წელს, ყველა შემთხვევაში, ისევ „მონსანტოს“ უნდა გავუშვიროთ ხელი თესლისთვის. ანუ დამოკიდებულნი ვხდებით რომელიღაც უცხოურ კორპორაციაზე. ეს თავისებური ბერკეტია ქვეყანაზე ზეწოლის განსახორციელებლად. ასე მოხდა სომალიში — შეიტანეს გენმოდიფიცირებული ხორბალი, შემდეგ იქ ყველანაირი ხორბალი გაქრა, რადგან გენმოდიფიცირებულმა ხორბალმა დაკარგა მდგრადობა და სომალი დარჩა პურის გარეშე. ხოლო როდესაც ამ ქვეყანამ ერთხელ არ მოაწერა ხელი რაღაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, შეუწყვიტეს ხორბლის მიწოდება.**

**რაც შეეხება ადამიანის ჯანმრთელობას, რატომ ვერ ვამტკიცებთ ამ პროდუქციის მავნეობას ან პირიქით? ამის დასამტკიცებლად, სულ ცოტა 50 წელია საჭირო. ჩვენ უნდა შევამოწმოთ ჩვენი, ჩვენი შვილების და შვილიშვილების თაობა და ვნახოთ — სიცოცხლის ხანგრძლივობა შეიცვლება, მუტაციები გაიზრდება თუ რა შედეგი მოყვება გენმოდიფიცირებული პროდუქტით კვებას. ამ ეტაპზე ჩვენ პირდაპირი მაჩვენებლები არ გვაქვს.**

**ცხადია, ჩნდება კითხვა — ამხელა კორპორაცია, როგორიცაა „მონსანტო“, რომელიც მილიარდებს ხარჯავს ამ პროდუქციის წარმოებისთვის, ასეთი მარტივი კვლევის შედეგებს რატომ არ აქვეყნებს? ვირთაგვა, რომელზეც კვლევის ჩატარება შეიძლება, ცოცხლობს ორი წელი. სამი თაობის შესწავლის შედეგად შეიქმნება სურათი, რა ზემოქმედება აქვს ცოცხალ ორგანიზმებზე გენმოდიფიცირებულ პროდუქტს. დაუჯერებელია, რომ „მონსანტომ“ ეს ვერ გააკეთა.**

**მეორე არგუმენტი, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს ასეთია — თუ გენმოდიფიცირებული პროდუქტი შემოდის ქვეყანაში, ის უნდა იყოს ძალიან იაფი, რადგან „მონსანტო“ ამ პროდუქტის წარმოებას ამართლებს იმით, რომ მსოფლიოში ადამიანების დიდი ნაწილი სიღატაკის ზღვარს ქვემოთაა და ამ პროდუქციას ასეთი ხალხის გადასარჩენად ქმნის. ჩვენთან ეს პროდუქტი ყველაზე ძვირია.**

**ჩემთვის, როგორც ბიოლოგისთვის, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა ბიომრავალფეროვნების დარღვევა. იცით, რომ საქართველო შედის მსოფლიოს იმ 20 ქვეყნის სიაში, რომელსაც მცენარეთა და ცხოველთა მდიდარი სამყარო აქვს. როცა გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარე შემოდის ქვეყანაში, სხვა ჯიშებს ვკარგავთ და იცვლება მცენარეული საფარი, რაც, თავის მხრივ, ნიადაგის ცვალებადობას და ამ მიკროეკოსისტემაში მცხოვრები ფრინველებისა და ცხოველების გადაშენებას გამოიწვევს.**

**ჩვენ ვაცხადებთ, რომ ტურიზმის განვითარებისკენ ვიღებთ კურსს. ტურიზმი კი მარტო ისტორიული ძეგლების ჩვენება არ არის. ეკოლოგიური და მეცნიერული ტურიზმის განვითარება ქვეყნისთვის არანაკლებ დიდი შემოსავლის წყაროა.**

**გამოსავალი ასეთია — უნდა ავიცდინოთ რისკი და საქართველო დახურულ ზონად გამოვაცხადოთ როგორც გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმებისთვის, ასევე მათი გამოყენებით დამზადებული პროდუქტებისთვის. განვითარებადი ქვეყანა ვართ და გვაქვს საშუალება განვაცხადოთ, რომ ჯერ არა ვართ მზად გენმოდიფიცირებული პროდუქტის ტექნოლოგიური შემოწმებისთვის.**

**P.S.** მსოფლიო ორგანიზაციები ქვეყნებს სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ, გენმოდიფიცირებული პროდუქტის მახასიათებლები რამდენიმე წელში დაზუსტდება, მანამდე კი საქართველო, ალბათ, შეეცდება მცენარეთა 17 ენდემური გვარისა და 1500-მდე ენდემური სახეობის გადარჩენას.

# ღია კარის დღე აბიტურიენტებისათვის

მაია ტორაძე

აბიტურიენტთა რეგისტრაცია 25 მარტს მთავრდება. შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრმა მათ რამდენიმე სიახლე შესთავაზა: 2007 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები 2 ივლისს დაიწყება; შეიცვალა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტესტის ფორმატი — ტესტი შედგება სავალდებულო და არჩევითი საკითხების ბლოკებისაგან; სტუდენტებს, რომლებიც 2005 და 2006 წლებში ჩაირიცხნენ, შეუძლიათ მოიპოვონ ან გაზარდონ სახელმწიფო დაფინანსება.

აბიტურიენტები ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ემზადებიან.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის ეს ეტაპი თითქმის სასწავლო პროცესის ნაწილია, რადგან აბიტურიენტის ნდობის ფაქტორი დიდად განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლებლის მომავალს.

ვინ ირჩევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს? რა სიახლეებით და პერსპექტივებით ხვდება იგი ახალ სასწავლო წელს? ამ საკითხებზე სასაუბროდ უნივერსიტეტმა აბიტურიენტებს 10 და 11 მარტს გამართულ ღია კარის დღეზე უმასპინძლა.

შეხვედრებზე ფაკულტეტების დეკანებმა წარმოადგინეს ფაკულტეტების სტრუქტურები, სპეციალობებისა და საგნების არჩევის, კრედიტების დაგროვების სისტემის, სტუდენტთა მობილობისა და გაცვლითი პროგრამების წესები, პერსპექტივები.

ღია კარის დღეზე აბიტურიენტებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს. გთავაზობთ პასუხებს იმ შეკითხვებზე, რომელიც ხშირად მეორდებოდა:

## ხშირად დასმული კითხვები

■ **რა სიახლეებია მისაღები გამოცდების პროგრამებში?**

— ამის დაზუსტება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში შეიძლება, თუმცა ჩვენ შეგვიძლია, გაცნობოთ, რომ სერიოზული სიახლეა მათემატიკაში — იმის გამო, რომ სკოლებში ამ საგნის სასწავლო პროგრამა ზოგიერთი საკითხის სწავლებას სხვადასხვა კლასში ითვალისწინებს, პროგრამიდან ამოღებულია რთული ლოგარითმული განტოლებები და უტოლობები და რთული ტრიგონომეტრიული განტოლებები. აბიტურიენტმა უნდა იცოდეს ლოგარითმები და მისი თვისებები, აგრეთვე მარტივი ტრიგონომეტრიული განტოლებები, ფუნქციები და გრაფიკები, მაგრამ რთული საკითხები ლოგარითმებიდან და ტრიგონომეტრიიდან აღარ შეხვდება.

■ **რა რეჟიმით ხდება უნივერსიტეტში სწავლის გადასახადის გადახდა?**

— გადასახადების გადახდა ხდება თითოეული სემესტრული რეგისტრაციის გავლის შემდეგ. წელიწადში ორჯერ.

■ **რას ნიშნავს კრედიტი და რამდენ საათს გულისხმობს ერთი კრედიტი?**

— კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა კონკრეტული კომპონენტის სპეციფიკური მიზნებისა და სწავლების შედეგების მისაღწევად. ერთი კრედიტი უდრის 25 საათს და განაწილებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (მოდულები, კურსები, სამუშაო პრაქტიკა, დისერტაცია). გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს პირდაპირი კავშირი კრედიტებსა და საკონტაქტო საათებს შორის. ისინი ასახავენ სტუდენტის დროში გაზომილ დატვირთვას.

■ **რომელი კურსიდან შეგვიძლია სასურველი სპეციალობის არჩევა და რა წინაპირობაა საჭირო ამისათვის?**

— ჩარიცხულ სტუდენტს პირველ სემესტრში უნივერსიტეტი სთავაზობს საფაკულტეტო, სპეციალობის და არჩევით საგნებს. მას შემდეგ, რაც სტუდენტი მოისმენს საფაკულტეტო საგნებს (რომელიც ერთნაირად ეკითხება ყველა სტუდენტს, ინტერესების მიუხედავად), მისთვის საინტერესო სპეციალობის შესავალ კურსს და დააგროვებს სათანადო კრედიტებს, მეორე სემესტრიდან შეუძლია გამოკვეთოს სასურველი სპეციალობა და ის საგნები, რომელიც ამ სპეციალობის სრულად დაუფლებისათვის არის აუცილებელი. სტუდენტს ეძლევა სპეციალობისა და საგნების როგორც არჩევის, ისე შეცვლის სრული თავისუფლება (აქ გასათვალისწინებელია ზოგიერთ ფაკულტეტზე დაწესებული თანმიმდევრობა საგნების არჩევის თვალსაზრისით, როცა რომელიმე საგნის მოსასმენად საჭირო



როა სტუდენტს მოსმენილი ჰქონდეს მისი წინა კურსი). გასათვალისწინებელია, რომ სწავლის საწყის ეტაპზე შესაძლებელია სპეციალობის გამოცვლაც, მაგრამ ეს უნდა მოხდეს გონივრულ დროში, რომ შემდგომ უხერხულობა არ შეექმნას ბაკალავრის ხარისხისთვის საჭირო კრედიტების რაოდენობის დაგროვებაში.

■ **თუ სტუდენტთა დიდი ნაწილისთვის ერთი და იგივე მიმართულება აღმოჩნდება პრიორიტეტული, რა პრინციპით მოხდება მათი შერჩევა, ხომ არ შეგვექმნება ბარიერები სასურველი სპეციალობის არჩევის დროს?**

— უნივერსიტეტს გააჩნია ფაკულტეტზე მისაღები კვოტა — სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა, რომელიც უნდა გადანაწილდეს სხვადასხვა მიმართულებაზე. არის შემთხვევები, როცა გამოიკვეთება ერთი კონკრეტული სპეციალობა, მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობები, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა და სწავლის გაგრძელების მსურველები გაცილებით ჭარბობენ დადგენილ კვოტას. ასეთ შემთხვევაში ვითვალისწინებთ უნივერსიტეტის რესურსებს — აუდიტორიებს, წიგნად ფონდს, პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვის ნორმას და ა.შ. სათანადო მომზადების სტუდენტები შეირჩევა შიდა კონკურსის საფუძველზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც მოქმედებს გარკვეული კვოტა. მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობებს, ზემოთ აღნიშნული რესურსებიდან გამომდინარე, დაამთავრებს მხოლოდ 50 ბაკალავრი. შესაბამისად, ფაკულტეტზე ჩაბარება არ ნიშნავს რომელიმე სპეციალობის მიღებას. აქ დიდ როლს თამაშობს მოთხოვნისა და კონკურენციის ფაქტორი.

■ **რით განსხვავდება სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამა სხვა უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამისაგან, აქვს თუ არა მას რაიმე უპირატესობა?**

— ყველა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას აქვს თავისი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ადგენს სასწავლო პროგრამას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ის უპირატესობა, რომ ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე, ამიტომ მისი სასწავლო პროგრამა შედგენილია იმ საგნების გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელია სტუდენტის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის.

■ **რამდენი კვლევითი ინსტიტუტია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე და როგორია სასწავლო ლაბორატორიების ბაზა?**

— ამჟამად არის ორი კვლევითი ინსტიტუტი — მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

რაც შეეხება სასწავლო ლაბორატორიებს, ჯერჯერობით მათი მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა, მაგრამ საქართველოში ეს არის ყველაზე კარგი სასწავლო ბაზა. გარდა ამისა, წელს, იანვრის თვეში, ქიმიის ლაბორატორიების აღსადგენად მივიღეთ გრანტი 427 ათასი ლარის მოცულობით, რაც საშუალებას მოგვცემს, მთლიანად განვაახლოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სტუდენტთა პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებისათვის ჩვენ ვიყენებთ სხვა საშუალებებსაც — მაგალითად, წელს უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმი რამდენიმე წამყვან სამეცნიერო ცენტრთან. მათ შორის, ბაქტერიოფაგთან, რომელიც კვლევებითა და დაფინანსების მოცულობით, ასევე აპარატურის სიახლით, საქართველოში ლიდერია. ჩვენ შეგვიძლია ამ მემორანდუმის ფარგლებში მათი ბაზა გამოვიყენოთ. რამდენიმე დღის წინ გაფორმდა მემორანდუმი ბიოფიზიკის ინსტიტუტთან, რომელსაც ასევე თანამედროვე აღჭურვილობა აქვს. ამ სამეცნიერო ცენტრებში ჩვენი სტუდენტები სერიოზულ პრაქტიკას გაივლიან.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ უნივერსიტეტის რექტორის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში სასწავლო ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განსაზღვრულია სერიოზული თანხების გამოყოფა.

დაწყებულია ფაკულტეტის კომპიუტერიზაციის პროცესი, რაც გულისხმობს არსებული ბაზის განახლებას და შევსებას. ამ სემესტრში დაიდგმება 170 კომპიუტერი, ხოლო წლის ბოლომდე კიდევ 150 კომპიუტერს ველით.

■ **შესაძლებელია თუ არა უნივერსიტეტში დამატებით უცხო ენის შესწავლა?**

— სტუდენტს დამატებით უცხო ენის შესწავლა შეუძლია თსუ-ში ახლახან ჩამოყალიბებული ენების ცენტრში, რომელიც ფუნქციონირებს ჰუმანიტარულ ფაკულტეტთან. ცენტრში პედაგოგების შესარჩევი კონკურსი ჩაატარეს უცხოელმა ექსპერტებმა.

ენების ცენტრი შექმნილია უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრანტურის, დოქტორანტურის, კონკრეტული ენის პედაგოგების, საუნივერსიტეტო გამომცემლობის, ენების შესწავლით დაინტერესებული პირებისათვის.

აქ შესაძლებელია სხვადასხვა ენის შესწავლა, შექმნილია სპეციალური პროგრამები ენის დაჩქარებული მეთოდით ათვისებისათვის.

ისწავლება: ევროპული ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, ახალი ბერძნული, ნორვეგიული, შვედური, პორტუგალიური), აღმოსავლური ენები (ებრაული, არაბული, სპარსული, თურქული, იაპონური, ჩინური, სომხური), სლავური ენები (რუსული, პოლონური, ჩეხური, ბულგარული), ქართველური ენები (აფხაზური, ადიღეური, ჩეჩნური), კლასიკური ენები (ლათინური, ძველი ბერძნული);

გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი სპეციალობა თავად სთავაზობს სტუდენტებს მეორე უცხო ენას, მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობები, ან საზოგადოებრივი გეოგრაფია. სხვა შემთხვევაში, დამატებით ენების შესწავლა არ შედის სტუდენტის საუნივერსიტეტო დატვირთვაში, ენის შესწავლა ხდება კერძო ინიციატივითა და ფინანსებით.

■ **აქვს თუ არა უნივერსიტეტს ურთიერთობა იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც დაეხმარებიან კურსდამთავრებულებს დასაქმებაში?**

— უნივერსიტეტი ორიენტირებულია სტუდენტთა დასაქმებაზე. ამ მიზნით შეიქმნა უნივერსიტეტის მეგობართა ასოციაცია და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ასოციაცია, რომლებიც დაეხმარებიან უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმებაში. დამსაქმებლებთან ასეთი კავშირები დღესაც არის და მომავალში მათთან ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

■ **იქნება თუ არა აღიარებული უნივერსიტეტის დიპლომი საზღვარგარეთ?**

— რადგან უნივერსიტეტი მიუერთდა ბოლონიის პროცესს, 2010 წლისათვის უნდა გახდეს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი. ამიტომ, დიპლომის აღიარების მხრივ, პრობლემები არ იქნება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ დასაქმების დროს ყურადღება ექცევა ცოდნის დონეს და არა დიპლომს.

■ **არის თუ არა უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამები და რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს სტუდენტმა ამ პროგრამაში მოსახვედრად?**

— უნივერსიტეტს აქვს გაცვლითი პროგრამები გერმანიის, იტალიის, ამერიკის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებთან. გაცვლითი პროგრამები ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ პროგრამაში მოსახვედრად საჭიროა სტუდენტი იყოს მაღალი აკადემიური მოსწრების და კარგად ფლობდეს უცხო ენას. უმჯობესია ფლობდეს ინგლისურს, თუმცა გერმანიის უნივერსიტეტები უპირატესობას ანიჭებენ გერმანული ენის მცოდნეებს.

საგულისხმოა, რომ კონტაქტები უცხოურ უნივერსიტეტებთან ცალკეულ ფაკულტეტებსაც აქვთ. ისინი თავიანთ წარჩინებულ სტუდენტებს თავად აგზავნიან უცხოეთში სასწავლებლად.

■ **შეუძლია თუ არა უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტს, ისარგებლოს აკადემიური შვებულებით?**

— ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია, დაფიქსირდეს, როგორც სტუდენტი და ამის შემდეგ ისარგებლოს აკადემიური შვებულებით. თუ რეგისტრაციას არ გაივლის, მისი ადგილი ჩაითვლება, როგორც ვაკანსია და გადაეცემა აკრედიტაციის სამსახურს.

■ **იქნება თუ არა უნივერსიტეტში რუსულენოვანი ჯგუფები?**

— რუსულენოვანი ჯგუფები და სწავლება რუსულ ენაზე არ იქნება.



ვიზიტი

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების ვიზიტი ისრაელში

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრის ეგიდით მიმდინარე წლის 25 თებერვლიდან 14 მარტამდე ისრაელში ორგანიზებული იყო საერთაშორისო კურსი „ქალთა ლიდერობა სამოქალაქო საზოგადოებაში“. კურსის მუშაობაში მონაწილეობდნენ შვიდი ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები მარიამ ჩხარტიშვილი (ჰუმანიტარული ფაკულტეტი) და ნინო ჩიხლაძე (მედიცინის ფაკულტეტი). პროგრამა მოიცავდა ინტერაქტიულ ლექციებს, სემინარებს, ვიზიტებს ისრაელის პარლამენტში, ლიდერობის საერთაშორისო სკოლაში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, პრეზენტაციებს, რომელთა მეშვეობით სტუმრები მასპინძლებსა და ერთმანეთს აცნობდნენ საკუთარი ქვეყნების ისტორიას და აწმყოს.

კურიკულუმი შედგებოდა დისციპლინათა ფართო სპექტრისაგან. ლექციების თემატიკა ეხებოდა ლიდერობასა და მენეჯმენტს, მართვასა და ადმინისტრირებას, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და სახელმწიფოსთან მის დამოკიდებულებას, დემოკრატიზაციასა და გენდერულ კვლევებს, სოციალურ სფეროს, გლობალიზაციის პრობლემებს. თეორიული ხასიათის ლექციების გარდა იყო პრაქტიკული ინტერესის შემცველი ლექციები, რომლებიც შეეხებოდა მარკეტინგის საკითხებს, აგრეთვე საერთაშორისო გრანტების მოპოვებისათვის რჩევებს. სემინარულ მეცადინეობებზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ლიდერისათვის აუცილებელი ტექნოლოგიების გაცნობას, ტრენინგებს მოლაპარაკებათა ხელოვნების დაუფლებისათვის.

სასწავლო პროგრამის დირექტორმა პროფესორმა მაია გლასერმანმა და მისმა თანაშემწემ ელა კრასნიცკიმ საერთაშორისო სასწავლო კურსის მსმენელებს წარმოუდგინეს ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორია, გააცნეს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები, განვითარების პერსპექტივები. ლექციები წაიკითხეს პროფესორმა მაია გლასერმანმა, ელა კრასნიცკიმ, ალექსანდრა ვასილიევმა, იანა ციფერბლატმა, სიუზან გოიჰმანმა, ავივ ზისმანმა, იულია რეზნიკმა, აგრეთვე, სპეციალურად უნგრეთიდან მოწვეულმა პროფესორმა პალ ტამაშმა.

პროგრამის ორგანიზატორთა და მონაწილეთა აქტიური ძალისხმევით მომზადდა კრებული „ქალი ლიდერები საზოგადოებაში : წარსული, აწმყო, მომავალი“ (ისრაელი, შაფაიმი, 2007, თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრი; სარედაქციო კოლეგიაში ისრაელისა და უნგრეთის წარმომადგენლების გარდა შევიდნენ ნინო ჩიხლაძე და მარიამ ჩხარტიშვილი.

მოეწყო ექსკურსიები ისრაელის სხვადასხვა ქალაქში: თელ-ავივში, იერუსალიმში, კესარიაში, ხაიფაში. ჩატარდა ექსკურსიები ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მუზეუმში, რალის გალერეაში, აგრეთვე მკვდარ ზღვაზე. პროგრამის ქრისტიან მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მოელოცათ ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებული წმიდა ადგილები, რის გამოც მათ მიიღეს ახალ ათასწლეულში იერუსალიმის პილიგრიმობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ისრაელში საქართველოს საელჩოს თანადგომით საქართველოს წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ მოენახულებინათ ქართველებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ჯვრის მონასტერი.

პროგრამის საზეიმო დახურვაზე მარიამ ჩხარტიშვილსა და ნინო ჩიხლაძეს ისრაელში საქართველოს საელჩოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბატონმა დავით ნაბორაშვილმა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგიდით შემოღებული კურსის — „ქალთა ლიდერობა სამოქალაქო საზოგადოებაში“ გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი გადასცა.

# ზურიკელას ნაქონი სახელმძღვანელოებით ოცდამეერთე საუკუნეში ფონს ველარავინ გავა

## სახელმძღვანელოების პრობლემა უნივერსიტეტში

**შურთხია ბეროშვილი**

რეალურად, მართლა წავიდა ის დრო, როდესაც ზურიკელას რობინზონ მასწავლებელი „კაროვა ნა საბალახოზე" წაყვანისათვის და „დრავის" დაჭრისთვის უწერდა ნიშანს. ზურიკელა კი ასეთი ცოდნით თბილისშიც ჩამობრძანდა, ეკონომიურზეც მოეწყო, უზრუნველი სტუდენტობაც გაატარა, არც რუსულის სწავლით მოუკლავს თავი და ინგლისურიც არაფერში დაჭირვებია. მწერალმა ლაღი იუმორით და შეფარული ირონიით ჯერ კიდევ როდის მიგვანიშნა, რომ განათლება იმაზე მეტია, ვიდრე ივანე რუსის რუსულით გაკვირვება.

აღარავინ დავობს იმაზე, რომ განათლების სისტემაში ცვლილებები აუცილებელი იყო და ზურიკელას ნაქონი სახელმძღვანელოებით ოცდამეერთე საუკუნეში ფონს ველარავინ გავა. რეფორმის განხორციელება კი დაიწყო, მაგრამ ამას როგორი „შავი სამუშაოს" შესრულება უძღვის წინ, ყველაზე უკეთ პროფესორ-მასწავლებლებმა იციან. მათ ისიც კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ეს სამუშაო გარკვეულწილად თვითონ უნდა იტვირთონ.

სანამ ძველი ლიტერატურა გადაფასდება და ახალი შეიქმნება, სტუდენტებს ჯერჯერობით ქსეროქსის რიგებში დგომა ან მასალის დისკეტით გამრავლება უწევთ.

ჩვენ ვთხოვეთ სტუდენტებს, დაესახელებინათ ის საგნები, სადაც სახელმძღვანელოების მხრივ ყველაზე მეტი პრობლემებია და, შესაბამისად, კომენტარი ვთხოვეთ იმ სპეციალობის პროფესორ-მასწავლებლებს.

**ამირან ბერძენიშვილი,** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი:

— უნდა ითქვას, რომ მე ვარ მოარული ბიბლიოთეკა. ჩემს ჩანთაში უამრავი წიგნია, რომელიც ყოველდღიურად მომაქვს ჩემი სტუდენტებისათვის.. სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით ფაკულტეტზე მძიმე მდგომარეობაა. ქართულ ენაზე ლიტერატურა არ არსებობს, თუ არის, იმდენად მოძველებულია, რომ დროს ველარ უძლებს. ძირითადად ვიყენებთ რუსულენოვან, ასევე გერმანულ და ინგლისურენოვან ლიტერატურას. ჩვენს სტუდენტებს უჭირთ უცხოური ტექსტების დაძლევა. თითქოს ინგლისური უფრო იციან, მაგრამ მეცნიერული ტექსტის გაგება მათთვის რთულია. ამიტომ მე, პირადად, იძულებული გავხდი, ჩემს კოლეგებთან ერთად მეთარგმნა გარკვეული ლიტერატურა და ელექტრონული ვერსიები დამერიგებინა. რა თქმა უნდა, სტუდენტს მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა, მით უმეტეს, ჩვენს ფაკულტეტზე, მაგრამ სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა შეძლოს და გამოსცეს ქართულ ენაზე თარგმნილი ფუნდამენტური ნაშრომები, რომელიც ისწავლება ევროპის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში.



შოთა სამსონია



შუქრი აბზიანიძე



ამირან ბერძენიშვილი

სოციოლოგია საერთაშორისო მეცნიერებაა. არ შეიძლება მე სხვანაირად ვასწავლო, გერმანელმა და ინგლისელმა — სხვანაირად. ჩვენს პედაგოგებს აქვთ დაწერილი სალექციო კურსები, მეც მაქვს საბაკალავრო პროგრამა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

უნივერსიტეტი პირველ რიგში არის კარგი ბიბლიოთეკა. ვფიქრობ, ეს საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაწყდეს. ამით ჩვენ თავს ვცემთ პატივს. ამასთან, მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ამ ტიპის ფაკულტეტებმა თავიდანვე მაღალი მოთხოვნა წამოუყენონ აბიტურიენტებს უცხო ენების ცოდნასთან დაკავშირებით. შეიძლება სახელმძღვანელო ითარგმნოს, მაგრამ დამატებითი ლიტერატურის მოძიება მათ მაინც მოუწევთ ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ჯერჯერობით კვლევების წარმართვაც დიდი ფუფუნებაა ჩვენთვის. ნორმალური გამოკვლევა რომ ჩაატარო, შვიდასი-რვაასი კაცი მაინც უნდა გამოკითხო ობიექტური შედეგების მისაღებად. ამის საშუალება ჩვენ არა გვაქვს. თუ რომელიმე ჩვენს პედაგოგს აქვს რაიმე დაკვეთა, შეიძლება ჩართოს სტუდენტი. თუმცა, შესაძლებელია, ეს გაკეთდეს მინიატურაშიც. ისეთ დისციპლინებში, სადაც კვლევები აუცილებელია, გარკვეული დაფინანსებაა საჭირო. რეფორმაც ხომ ამას გულისხმობს. მაგალითად, სოციოლოგიური ცენტრის შექმნა, რაც ძალზე წაადგება მასწავლებლის სტუდენტთან ურთიერთობას.

**შოთა სამსონია,** ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პროფესორი:

— სახელმძღვანელოები რეალურად არსებობს: ორგანული ქიმია — სამსონია, ადამია, გვერდწითელის ავტორობით, მოსკოვიდან — ორი, ხოლო ამერიკის უნივერსიტეტიდან ჩამოტანილი ხუთი სახელმძღვანელო. გვაქვს აგრეთვე ქართულ ენაზე გამოცემული ორგანული ქიმიის ყველა ნაწილი. მაგრამ მთელი პრობლემა ის არის, რომ სახელმძღვანელოების ბაზა გამოილია. ზოგი სიძველისგან დაიხა, ნაწილი — გაიყიდა და ბიბლიოთეკა დაცარიელდა. მესნიაკოვის ავტორობით გამოცემული ქიმიის 150 სახელმძღვანელოდან ოცდასამი ეგზემპლარიღა შემოგვრჩა. ახლა ერთი წიგნი რამდენიმე სტუდენტზე ნაწილდება. მელიქიშვილის კაბინეტი, სადაც ფაკულტეტის ბიბლიოთეკაა, თითქმის ცარიელია. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ სტუდენტი მიეჩვია, ხელებში უყუროს ლექტორს. თანაც აუცილებლად ნათარგმნი ლიტერატურა უნდა. რამდენიმე სახელმძღვანელო მართლაც გამოიცა. მაგრამ ეს საქმეს არ შველის. აუცილებელია წიგნი დაიდოს ბიბლიოთეკაში, რადგან თუ ბიბლიოთეკას აქვს 150-200 სახელმძღვანელო, შეიძლება ითქვას, პრობლემა მეტ-ნაკლებად გადაჭრილია. ამ სახელმძღვანელოების შექმნაზე დიდი შრომაა დახარჯული, იმედი მაქვს ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო, რომელიც ახლა იქმნება, განიხილავს ამ პრობლემებს და ხელმძღვანელობამდე მიიტანს რეალურ მოთხოვნებს.

**შუქრი აბზიანიძე,** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომელსაც მე ვკითხულობ, უამრავი სახელმძღვანელოა, თუმცა უმეტესად რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამას თვითონ ლექტორი არჩევს — ზუსტად ეს არის განათლების ლიბერალიზაცია. რუსულ ენაზე უამრავი ლიტერატურაა თარგმნილი. ახლა მზადდება სოციალური ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო ქართულად, რომელზეც ჩვენი პროფესორი რევაზ ქვარცხავა მუშაობს.

ფსიქოლოგია დიდი მოცულობის მეცნიერებაა. სახელმძღვანელოები, რომელიც უცხო ენაზეა შედგენილი, შესაძლოა ათასგვერდიანიც კი იყოს. ჩვეულებრივ, მას რამდენიმე ავტორი წერს. ჩვენს პირობებში ასეთი სახელმძღვანელოს შექმნა ძალიან რთულია, რადგან ამას დიდი დრო, ფინანსები და ბევრი სპეციალისტი ჭირდება. თუმცა ახლახან ქართულად ითარგმნა ზიმბარდის ფსიქოლოგია, რომელიც 800-გვერდიანია. ასეთი სახელმძღვანელოების თარგმნა კიდევ იგეგმება.

2001 წელს დამთავრებული ტასისის პროგრამის ფარგლებში ინგლისის, ჰოლანდიის და ამსტერდამის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შედეგად დაიწერა რამდენიმე სახელმძღვანელო, მაგრამ მაშინ ვერ მოხერხდა მათი გამოცემა. ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ გამომცემლობებს, დაბეჭდოს ეს სახელმძღვანელოები რედაქტირების და განახლების შემდეგ.

მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი ლაბორატორიული ბაზაც. ჩვენ შევიცვალეთ კორპუსი, მეორედან მესამეში გადავედით, რამაც მატერიალურად დაგვაზარალა. იმედია, ბიუჯეტში გამოიძებნება თანხა, რათა დაწყებული სარემონტო სამუშაოები დამთავრდეს.

სასწავლო წლის დასაწყისში გადმოგვეცა 10 კომპიუტერი, მაგრამ ეს სულაც არაა საკმარისი, რადგან ჩვენი ექსპერიმენტის ნაწილი კომპიუტერიზებულია. გვინდა მოვაწყოთ ასევე მულტიმედია კლასი. იმედია, ჩვენი სურვილები განხორციელდება.

**მარინა ვეკუა,** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის პროფესორი:

— ჟურნალისტიკის შესავალში თანამედროვე, გამართული, ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არ არსებობს. ჟურნალისტიკა ისეთი სფეროა, რომ ყველაფერი სწრაფად იცვლება. ჩვენც მუდამ ახლის ძიებაში ვართ, რადგან საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები ითხოვს ახალ მიდგომას, გადაფასებას. ფაკულტეტის პროფესურა მზად არის, მომზადდეს ახალი სახელმძღვანელოები. დღეისათვის მე და ჩემი კოლეგა, მაია წერეთელი, რუსულიდან, ინგლისურიდან და გერმანულიდან ვთარგმნით საინტერესო ლიტერატურას, რომელსაც კონსპექტების სახით ვურიგებთ სტუდენტებს. არსებობს სალექციო ჩანაწერები, ასევე თარგმნილია ზოგიერთი საერთაშორისო დოკუმენტი, დეკლარაცია, ამით ვავსებთ სტუდენტის ცოდნას.

დღემდე არ არის სახელმძღვანელო ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. ამჟამად წიგნზე ჩვენი პროფესორები — თამაზ ჯოლოგუა და დალი ჩიკვილაძე მუშაობენ. პუბლიცისტიკა გაბნეულია და ამას თავმოყრა ჭირდება.

**დალი ჩიკვილაძე,** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი:

— მზად მაქვს XIX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ქრესტომათია, რომელშიც მინდა გავაერთიანო აუცილებელი და საჭირო პუბლიცისტური წერილები, რომლებიც გაფანტულია. ზოგიერთი წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და სტუდენტს უჭირს მოძიება. თუ საშუალება იქნება, ამ ყველაფერს თავს მოვუყრი და გამოვცემ.

**არჩილ უგულავა,** ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— სტატისტიკის ფიზიკაში სახელმძღვანელო გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოიცა. ამის შემდეგ ქართულ ენაზე ეს წიგნი აღარ გამოცემულა, რაც დღეს პრობლემას მიქმნის. პირველ წელს ლექციებს სახელმძღვანელოს გარეშე ვკითხულობდი, მაგრამ ძალიან გაუჭირდათ სტუდენტებს, ამიტომ მე თვითონ შევქმენი კონსპექტი და მოვახერხე გამოცემა მცირე ტირაჟით, რომელიც იაფია და ხელმისაწვდომი. ფიზიკა კლასიკურ საგნად არის მიჩნეული, ამიტომ დიდი ცვლილებები აქ ასე ხშირად არ გვხვდება. ჩემს სტუდენტებს პრობლემები წიგნთან დაკავშირებით ნაკლებად აქვთ. ეს სახელმძღვანელო კომპიუტერში მაქვს აკრეფილი. ასევე დისკეტაზე ვდებ რამდენიმე სახელმძღვანელოს, ვცდილობ, სტუდენტებს შრომა შევუმსუბუქო.

პრობლემებზე ვინც თამამად საუბრობს, მას მისი მოგვარების ძალაც შესწევს, რაც მთავარია, ამას სტუდენტიც ცდილობს და პროფესორიც.

უნივერსიტეტში

# ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სემესტრული გამოცდები ტესტირებული ფორმით ჩატარდა

***ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ სემესტრული გამოცდები ტესტირებული ფორმით ჩაატარა, რაც უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში სიახლედ უნდა ჩაითვალოს.***

***რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვა ტესტირებას, ამ საკითხებზე გვესაუბრება ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მურთაზ კვირკვაია:***

**მანანა ჯურხაძე**

— ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატმა ჯერ კიდევ სასწავლო წლის დასაწყისში იმსჯელა და გადაწყვიტა, წლევანდელი სემესტრული გამოცდები ტესტირების ფორმით ჩაეტარებინა. ამისთვის მოვამზადეთ გარკვეული წინაპირობა — მივმართეთ ყველა ფაკულტეტის თანამშრომელს, მონაწილეობა მიეღო ამ პროცესში. პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი დაინტერესდა ჩვენი ინიციატივით. მათი დახმარებით, ტესტებზე მუშაობას სასწავლო წლის დასაწყისიდანვე შევუდექით. თითოეული საგნის ლექტორის მიერ წარმოდგენილი ტესტების სხვადასხვა ვარიანტიდან შეირჩა ყველაზე ოპტიმალური.

მასალის მომზადების შემდეგ საორგანიზაციო პრობლემები მოვაგვარეთ. ნიშანდობლივია, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ჩვენი ახალი ინიციატივით დაინტერესდა, რამაც ხელი შეუწყო ამ პროცესის წარმატებით დასრულებას.

უნდა ითქვას ისიც, რომ თავიდან ეს იდეა ყველასთვის მისაღები არ აღმოჩნდა. ზოგიერთი ლექტორი მიიჩნევდა, რომ ტესტებით ვერ მოხდებოდა სტუდენტის ცოდნის სრულფასოვანი შეფასება, რადგან ტესტირებული გამოცდის დროს სტუდენტი სრულიად ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს, ველარ ვითარდება მისი ზეპირი მეტყველება.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ჩვენი არგუმენტები გვაქვს — უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების ასქულიანი სისტემა. ლექტორს საშუალება აქვს სილაბუსის მიხედვით თვითონ შეიმუშაოს საკუთარი სამოქმედო პროგრამა. მას აქვს უფლება, 60 ქულით შეაფასოს სტუდენტი კოლოკვიუმების, სემინარების მომზადების, დავალებების შესრულების, დასწრების საფუძველზე. ტესტირება ფასდება მხოლოდ 40 ქულით. საგნის ლექტორს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ საბოლოო გამოცდისთვის მიენიჭებინა არა 40 ქულა, არამედ უფრო ნაკლები, თუ ჩათვლიდა, რომ ტესტირება არ არის ისეთი მნიშვნელოვანი გამოცდის ფორმა, რომელიც გამოავლენს სტუდენტის შესაძლებლობებს. ის მოთხოვნები, რომელზეც ჩვენი ოპონენტები საუბრობდნენ — ზეპირი მეტყველების განვითარება და ა.შ. შეუძლიათ წამოაყენონ სემინარებზე, კოლოკვიუმებზე, პრეზენტაციებზე და სხვადასხვა დავალებების შესრულების დროს. აქ სტუდენტს საშუალება აქვს ეს უნარ-ჩვევები გამოავლინოს.

ტესტირებულმა გამოცდებმა ჩვენ გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცა.

მოგეხსენებათ, ამგვარი სემესტრული გამოცდა უნივერსიტეტში პირველად ჩატარდა. დაახლოებით 4000-ზე მეტ სტუდენტს ჩაუტარდა ტესტირება, რაც რთული და შრომატევადი საქმე იყო. რა თქმა უნდა, გარკვეული ხარვეზებიც გამოიკვეთა, მაგრამ საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, სემესტრული გამოცდის ამ ფორმამ დადებითი შედეგი გამოიღო — სტუდენტები ძალიან გააქტიურდნენ, ცდილობდნენ მიეღოთ მაქსიმალური ინფორმაცია სასწავლო პროგრამებზე, გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს, გვიყენებდნენ გარკვეულ მოთხოვნებს. პირველივე დღეებიდან ახდენდნენ რეაგირებას ტექნიკურ პრობლემებზე და იმ ლექციებზე, რომლებიც არ მოსწონდათ. თავის მხრივ, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ცდილობდა მათი პრეტენზიების დაკმაყოფილებას.

დადებითი შედეგი გახლავთ ისიც, რომ აღმოიფხვრა „პროტექცია", რაც განაპირობა მიმართულებებისთვის კოდირებული ტესტების გადაცემამ გასასწორებლად. გამსწორებელმა არ იცოდა, ვის ნაშრომს ასწორებდა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი გახდა ნაცნობობით, ვილაცის მფარველობით ნიშნის მიღება, ამას დაადასტურებს ნებისმიერი სტუდენტი თუ პედაგოგი.



მომავალი სასწავლო პროცესები მთლიანად ამ საკმაოდ მნიშვნელოვან დადებით შედეგებთან იქნება დაკავშირებული.

მე-11 გვერდზე

# ვინ აკონტროლებს ქართულ მედიას?

## უნივერსიტეტმა ჟურნალისტიკის დღე აღნიშნა

### პირველი გვერდიდან

მედიამფლობელები დაინტერესებულნი იყვნენ, რაც შეიძლება მეტი ობიექტური, არგუმენტირებული, ანალიტიკური მასალა გამოექვეყნებინათ და ამისკენ უბიძგებდნენ ჟურნალისტებსაც.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სიტუაცია და სურათი მკვეთრად შეიცვალა. მედიამფლობელებმა (ძირითადად ვსაუბრობ ტელევიზიებზე) ცალსახად გადაინაცვლეს ხელისუფლების ბანაკში. ერთადერთი ტელევიზიაა ,,იმედი“, რომელიც ჯერჯერობით ამგვარ ცვლილებებს ასცდა.

ვერ ვიტყვი, რომ თავად ჟურნალისტებისთვის რაიმე შეიცვალა — ისინი წინა ხელისუფლების დროსაც მედიამფლობელის ინტერესებს ითვალიწინებდნენ და დღესაც მათი ინტერესების გამტარებლები არიან. იმის გამო, რომ მედიამფლობელები ხელისუფლების პოლიტიკას ატარებენ, ჟურნალისტები დღესაც დაშორებულნი არიან თავიანთ ფუნქციებს.

რა ინფორმაციებს ავრცელებდნენ ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ტელევიზიები, ვნახავთ, რომ „იმედი“ ამოწურავს ხელისუფლების საწინააღმდეგო ყველა ინფორმაციას, ,,რუსთავი-2“, პირიქით, საერთოდ არ შეეხება ამ თემებს. სამაგიეროდ, მას ყურადღების მიღმა არ დარჩება ოპოზიციის საწინააღმდეგო ინფორმაციები. ეს არის და ეს. სამწუხაროდ, საქართველოში ვერ შევქმენით ისეთი გარემო, რომელშიც ჟურნალისტი იქნება დამოუკიდებელი და პრესა დაბალანსებული.

რა უნდა გამოსწორდეს?

— ქვეყანაში უნდა არსებობდეს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ფული. ჩვენთან ბიზნესმენი (მათ შორის, მედიამფლობელიც) დამოკიდებულია ხელისუფლებაზე, რადგან მათი ფულიც ხელისუფლებისგან კონტროლდება.

ნახეთ, რა ხდება რუსეთში? ხადარკოვსკი, რომელიც ლიბერალური ღირებულებების გამო ცდილობდა რუსი ლიბერალებისთვის მხარდაჭერას, ციხეში აღმოჩნდა, ჩვენთან არც ამ დონის ბიზნესმენები არიან და არც ხელისუფლებასთან ჭიდილის თავი აქვს ვინმეს. პატარკაციშვილი ამას ნაწილობრივ ახერხებს, მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ფულის (ბიზნესის) დიდ ნაწილს საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს.



ყველაზე მთავარი პრობლემა არის ინფორმაციის მოპოვების პრობლემა, განსაკუთრებით რეგიონების ჟურნალისტებისთვის.

რა არის ამის მიზეზი?

— სამწუხაროდ, იკვეთება მთელი სპექტრი, საიდანაც ინფორმაციის მიღება დღემდე გაძნელებულია: 1) ახალბედა ჩინოვნიკები, რომლებმაც არ იციან, რა წერია აღმასრულებელ კოდექსში; 2) ინფორმაციის შეზღუდვა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველ პერიოდში, ფაქტობრივად, დახურული ზონა იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო. დაბალი რანგის მოხელეები კომენტარს არ იძლეოდნენ იმ არგუმენტით, რომ ამაზე პასუხისმგებელი იყო პრესცენტრი. თავის მხრივ, პრესცენტრთან დაკავშირება შეუძლებელი იყო, რადგან დონაძე მკაცრად აკონტროლებდა, რომ რომელიმე მისთვის არასასურველი ჟურნალისტისთვის რაიმე ინფორმაცია არ მიეცათ. საბოლოოდ ასეთ სურათს ვიღებდით — ჟურნალისტები მათი კომენტარის გარეშე მასალას ვერ ბეჭდავდნენ და ხელისუფლების ეს სეგმენტი მედიისთვის დაიხურა. იმის ნახვაც კი არ შეიძლებოდა, რა დანაშაული მოხდა რომელიმე კონკრეტულ პერიოდში; ბ) პროკურატურა, რომელიც დღესაც დახურულია; გ) თავდაცვის სამინისტრო; დ) ენერგოდისტრიბუციის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელზეც შემდგომ ეს შეზღუდვები მოიხსნა; ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას — თქვენ ვერ მოიძიებთ ამის დამადასტურებელ ფაქტებს, რასაც აქვს თავისი მიზეზი: არსებობს საინფორმაციო სააგენტოები, რომელთა მიერ გავრცელებული ინფორმაცია მედიასაშუალებისთვის ხელმისაწვდომია. დაქირავებული რედაქტორი, მფლობელის ინტერესიდან გამომდინარე, თავად არჩევს, რა ტიპის ინფორმაციაა მისთვის (მისი მედიასაშუალებისთვის) მისაღები, საინტერესო ან უინტერესო... ამის მიუხედავად, თუ, დავუშვათ, ტელეარხების მონიტორინგს გავაკეთებთ და შევადარებთ,

თავისი წვლილი უნდა შეიტანიოს ამაში მომავალი ჟურნალისტების აღზრდით დაკავებულმა სასწავლებლებმაც. რამდენადაც ვფლობ ინფორმაციას, უნივერსიტეტში საამისოდ ბევრი რამ კეთდება — კერძოდ, აქცენტი გადატანილია სტუდენტებისთვის იმ პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც მათ გამოადგებათ ჟურნალისტური მოღვაწეობის დაწყებისას.

ქართული ჟურნალისტიკის მომავალი სწორედ აქ ისაზღვრება — როცა პიროვნება არ არის დარწმუნებული საკუთარ თავში და არ არის პროფესიონალი, ერიდება სამსახურის დაკარგვას, რადგან შემდგომ თავისი ცოდნით ახალი ადგილის პოვნა გაუჭირდება. ამიტომ ებღაუჭება რეალურ სამსახურს და ადვილად ექცევა რედაქტორის ან დამფუძნებლის გავლენის ქვეშ. მცოდნე და პროფესიონალი ჟურნალისტის დამორჩილება ძალიან ძნელია.

### სადაც ნაკლები თავისუფლებაა, მეტი ფულია

ლაშა ტუღუში, გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორი:

— ჟურნალისტებს პრობლემები ჰქონდათ რევოლუციამდეც და აქვთ დღესაც. მე ვერ ვიტყვი, რომ მათ რაიმე დაკარგეს. უბრალოდ, ბაზრის გეოგრაფია შეიცვალა, უფრო ზუსტად, სატელევიზიო არხებმა შეიცვალეს დისლოკაციის ადგილი. ზოგი მეტად თავისუფალი გახდა, ზოგი — ნაკლებად. სხვა მხრივ, იგივე მდგომარეობაა — შევარდნაძის დროსაც იყვნენ ჟურნალისტები თავისუფლების საკმაოდ მაღალი ხარისხით და დღესაც არიან. მაშინაც იყვნენ ვიღაცის ნების გამომხატველი მედიასაშუალებები და დღესაც...

მას შემდეგ, რაც საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა, მედია იბრძვის თავისი უფლებებისთვის.. ეს არის საკმაოდ რთული და საინტერესო პროცესი. თუ გინდა თავისუფლება, შეგიძლია მიიღო! არ არის დღეს ისეთი ვითარება, რომ ჟურნალისტმა სათქმელი ვერ თქვას. შესაძლოა არის ადგილები, სადაც მას ეს პრობლემები აქვს, მაგრამ არის თავისუფალი მედიასაშუალებებიც. რა თქმა უნდა, სადაც მეტი თავისუფლებაა, ნაკლები ანაზღაურებაა და პირიქით, სადაც ნაკლები თავისუფლებაა, მეტი ფულია.

რაც შეეხება ინფორმაციის მოპოვებას, ეს პრობლემა ყოველთვის გვქონდა. განსხვავება ისაა, რომ ამ ხელისუფლების მიმართ მეტად კრიტიკული ვართ, რადგან მას მეტი ევალება, ვიდრე წინა ხელისუფლებას ევალებოდა. ეს ის თაობაა, რომელმაც იცხოვრა და ისწავლა დასავლეთში, ნახა ნამდვილი დემოკრატია და შეეხო დემოკრატიულ ღირებულებებს, ბოლოს და ბოლოს, ეს თაობა დემოკრატიის სახელით მოვიდა ხელისუფლებაში და, ცხადია, მეტი პროტესტის გრძნობა გვიჩნდება, როცა ვერ ვიღებთ სასურველ და საჭირო ინფორმაციას. მაგალითად, ჩვენ გვქონდა შემთხვევები, როცა ოფიციალურად გამოვითხოვეთ მასალები მერიიდან და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან და ვერ მივიღეთ.

უნდა ვთქვა ისიც, რომ ცუდად მუშაობენ პრესცენტრები. ხშირია შემთხვევები, როცა ისინი თავხედობენ, არ იღებენ ტელეფონის ყურმილს, ცდილობენ დამალონ ინფორმაცია, არ გამოდიან კონტაქტზე, ხელს უშლიან ჟურნალისტებს და ა.შ... ამას აქვს ობიექტური მიზეზი, რადგან პირდაპირ სკოლის მერხიდან მოჰყავთ კადრები, რომლებმაც არ იციან მუშაობა, სწრაფად ბრაზდებიან, ვერ აკონტროლებენ ემოციებს... კადრების გაუთავებელი ცვალებადობა ამაზეც ახდენს გავლენას და ერთი ან ორი წელი შეიძლება მოითმინო, რომ ადამიანებს გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ, როცა არსებობს წინასწარი განზრახვა — დაუმალო კორუფციისა და კანონდარღვევის ფაქტები მედიას, აქ უკვე გამოუცდელობა არაფერ შუაშია.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ რეგიონებში, ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით, წარმოუდგენელი სიტუაციაა. იქ სამოქალაქო სივრცე ბევრად ნაკლებია, მაგრამ ჟურნალისტებს მეტად უჭირთ, რადგან დემოკრატიული პროცესები ვერ განვითარდა, არ არის საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ღიაობა, ხელისუფლება ძლიერია, სამოქალაქო საზოგადოება — სუსტი. შედეგად ჩნდება კონფლიქტი, რის გამოც გაძნელებულია ჟურნალისტების საქმიანობა.

მე ვფიქრობ, რომ, მიუხედავად ამისა, საზოგადოება მაინც ვითარდება და მომავალში მედია კიდევ უფრო მწვავე გახდება. როგორაც არ უნდა ეცადოს ხელისუფლება, აკონტროლოს ინფორმაცია და არეგულიროს საინფორმაციო სივრცეები, მაინც გაუჭირდება, რადგან არსებობს თავისუფლების კუნძულები და საზოგადოებაც ბრმა აღარ არის. ცხადია, ჩვენ არ უნდა ვიქცეთ გუშაგებად და წამდაუწუმ რევოლუციები არ უნდა ვაწყოთ. არსებობს სიტყვით ბრძოლის ხელოვნება, რომელსაც ჩვენ ვფლობთ და ამ იარაღით უნდა ვიბრძოლოთ. მით უფრო, რომ გამოცდილება გვაქვს — ჩვენ არ ვცხოვრობთ დალაგებულ, მშვიდ, იდეალურ სამყაროში. როცა ვწერდით კრიტიკულ მასალებს ხელისუფლების ქმედებებზე და კორუფციაზე, გვებრძოდნენ. ეს გავლენას ახდენდა გაზეთის ფინანსურ მდგომარეობაზე, იწვევდა კადრების გადინებას. იყო შემთხვევები, როცა სულ 5 ჟურნალისტი მუშაობდა გაზეთში და დღეში წერდა 4-5 სტატიას. როცა გაზეთი 16 გვერდიანია, ვიცით, ეს რას ნიშნავს. მაგრამ არ გვიწუწუნია, ვიბრძოდით, როგორც ჩვენი გადარჩენისთვის, ასევე სიტყვისთვის. ამიტომ ვართ ოპტიმისტები — ჟურნალისტისთვის რთული და გადაულახავი სიტუაცია არ არსებობს. თუ გაქვს სურვილი იბრძოლო, ისწავლო და განვითარდე, ყოველთვის გააკეთებ ამას.

ფ ო ტ ო ქ რ ო ნ ი კ ა









# ბრძანება N08/02–01

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდი დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 23-ე და 24-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 13.12.2006 წლის №01-01-/301 ბრძანების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს (საკუთრივ უნივერსიტეტის) ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე სტუქტურული ერთეულების თანამშრომლების საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი წარმოდგენილი დანართის სახით;

2. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა) უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სტუქტურული ერთეულებისათვის;

3. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მოხდეს მისი ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება;

4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი**
**გულნაზი გალდავა**

*28.02.2007წ.*

# ბრძანება N10/02–01

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23–ე და 24–ე მუხლების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 13.12.2006 წ. N01–01/301 ბრძანებისა და „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ” ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 28.02.2007 წ. N08/02-01 ბრძანების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 28.02.2007 წლის N08/02-01 ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატების გამოვლენის მიზნით ჩატარდეს კონკურსი;

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს შეუწყდეთ უფლებამოსილება;

3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს დაევალოთ მოვალეობის შესრულება ახალი სტრუქტურული ერთეულების, კონკურსის შედეგების საფუძველზე დაკომპლექტებამდე;

4. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია და კომისიის სამდივნო;

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა საკონკურსო კომისიის სამდივნოს უნდა წარუდგინოს საკონკურსო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია. კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს კანდიდატთა განაცხადების მიღება 2007 წლის 19 მარტიდან 31 მარტამდე;

6. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:

ა) კონკურსის პირველ ეტაპზე (2-13 აპრილი) შემოწმდეს თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების შესაბამისობა საკონკურსო და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და დადებითი შეფასების მქონე კანდიდატს მიეცეს კონკურსის მომდევნო ეტაპზე გასვლის უფლება;

ბ) კონკურსის მეორე ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული გრაფიკით ჩატარდეს გასაუბრება, რომლითაც ფასდება კანდიდატის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობისა და პირადი თვისებების დასაკავებელი თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

7. საკონკურსო კომისიის დასკვნის გათვალისწინებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე;

8. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საპრეტენზიო კომისია. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

9. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა), უზრუნველყოს ამ ბრძანების და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაციის გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის. ბრძანება და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში”, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე;

10. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს საკონკურსო პირობების გამოქვეყნება გაზეთში — “24 საათი”;

11. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

12. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი**
**გულნაზი გალდავა**

*14.03.2007წ.*

# განცხადება

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ახალი სტრუქტურის ფორმირებასთან დაკავშირებით აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად**

## სასწავლო დეპარტამენტი

| თანამდებობის დასახელება | საშტატო ერთეული |
|---|---|
| სტუდენტთა მომსახურების განყ.-ბის უფროსი | 1,0 |
| სასწავლო პროცესის მართვის განყ.-ბის უფროსი | 1,0 |
| ბაკალავრიატის განყ-ბის უფროსი | 1,0 |
| მაგისტრატურისა და დოქტურანტურის განყ.-ბის უფროსი | 1,0 |
| მთავარი სპეციალისტი | 4,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 6,0 |
| სპეციალისტი | 9,0 |

## სამეცნიერო დეპარტამენტი

| | |
|---|---|
| მთავარი სპეციალისტი | 2,0 |
| სპეციალისტი | 1,0 |

## საფინანსო დეპარტამენტი

| | |
|---|---|
| საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი | 1,0 |
| აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი (მთავარი ბუღალტერი) | 1,0 |
| აღრიცხვა-ანგარიშგების განყ.-ბის უფროსის მოადგილე | 1,0 |
| მთავარი სპეციალისტი | 4,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 5,0 |
| სპეციალისტი | 6.0 |
| სახელმწიფო შესყიდვების განყ.-ბის მთავარი სპეციალისტი | 3.0 |
| სახელმწიფო შესყიდვების განყ.-ბის უფროსი სპეციალისტი | 1.0 |
| სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი | 1.0 |

## მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი

| | |
|---|---|
| სამეურნეო განყოფილების უფროსი | 1,0 |
| მომარაგების განყოფილების უფროსი | 1,0 |
| სამშენებლო, სარემონტო, საექსპლუატაციო განყ.-ბის უფროსი | 1,0 |
| სტუდქალაქის მმართველი | 1,0 |
| სტუდქალაქის მმართველის მოადგილე | 1,0 |
| მთავარი არქიტექტორი | 1,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 4,0 |
| სპეციალისტი | 5,0 |

## პერსონალის მართვის დეპარტამენტი

| | |
|---|---|
| მთავარი სპეციალისტი | 2,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 3,0 |
| სპეციალისტი | 2,0 |

## კანცელარია

| | |
|---|---|
| მთავარი სპეციალისტი | 3,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 3,0 |
| სპეციალისტი | 3,0 |

## მონიტორინგის სამსახური

| | |
|---|---|
| მთავარი სპეციალისტი | 1,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 1,0 |
| სპეციალისტი | 3,0 |

## იურიდიული დეპარტამენტი

| | |
|---|---|
| მთავარი სპეციალისტი | 1,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 1,0 |
| სპეციალისტი | 1,0 |

## საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი

| | |
|---|---|
| უფროსი სპეციალისტი | 2,0 |
| სპეციალისტი | 1,0 |

## სპორტისა და კულტურის ცენტრი

| | |
|---|---|
| სპორტისა და კულტურის ცენტრის უფროსი | 1,0 |
| სპორტისა და კულტურის ცენტრის უფროსის მოადგილე | 1,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 1,0 |
| სპეციალისტი | 1,0 |

## სამუზეუმო სამსახური

| | |
|---|---|
| სამუზეუმო სამსახურის უფროსი | 1,0 |
| მთავარი სპეციალისტი | 1,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 3,0 |
| სპეციალისტი | 2,0 |

## საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

| | |
|---|---|
| საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი | 1,0 |
| მთავარი სპეციალისტი | 1,0 |

## გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია

| | |
|---|---|
| მთავარი სპეციალისტი | 1,0 |

## საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

| | |
|---|---|
| საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე | 1,0 |
| მთავარი სპეციალისტი | 3,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 3,0 |
| სპეციალისტი | 1,0 |

## გამომცემლობა

| | |
|---|---|
| დირექტორის მოადგილე | 1,0 |
| ოფისმენეჯერი | 1,0 |
| უფროსი რედაქტორი | 2,0 |
| ელექტრონული გამოცემების მენეჯერი | 1,0 |
| კოორდინატორი | 3,0 |

## საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე | 1.0 |
| მთავარი სპეციალისტი | 1,0 |
| ბიბლიოთეკარი (სპეციალისტი) | 27,0 |

# ფაკულტეტები

## იურიდიული ფაკულტეტი

| | |
|---|---|
| სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი | 1,0 |
| სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი | 2,0 |
| ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი | 1,0 |
| ბიბლიოთეკარი (სპეციალისტი) | 2,0 |
| სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი | 1,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 4,0 |
| სპეციალისტი | 2,0 |
| რესურსების მართვის სამსახურის უფროსი | 1,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 1,0 |
| სპეციალისტი | 3,0 |
| კანცელარის უფროსი | 1,0 |
| სპეციალისტი | 2,0 |
| მდივანი | 2,0 |

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

| | |
|---|---|
| სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი | 1,0 |
| სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი | 5,0 |
| ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი | 1,0 |
| ბიბლიოთეკარი (სპეციალისტი) | 1,0 |
| რესურსების მართვის სამსახურის უფროსი | 1,0 |
| კანცელარის უფროსი | 1,0 |
| სპეციალისტი | 2,0 |
| მდივანი | 7,0 |
| უფროსი ლაბორანტი | 5,0 |
| ლაბორანტი | 10,0 |

## მედიცინის ფაკულტეტი

| | |
|---|---|
| სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი | 1,0 |
| სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი | 3,0 |
| სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი | 1,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 1,0 |
| სპეციალისტი | 3,0 |
| რესურსების მართვის სამსახურის უფროსი | 1,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 1,0 |
| სპეციალისტი | 1,0 |
| კანცელარის უფროსი | 1,0 |
| სპეციალისტი | 1,0 |
| მდივანი | 3,0 |
| უფროსი ლაბორანტი | 5,0 |
| ლაბორანტი | 17.0 |

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

| | |
|---|---|
| სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი | 1,0 |
| სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი | 12,0 |
| სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტი | 10,0 |
| ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი | 1,0 |
| ბიბლიოთეკარი (სპეციალისტი) | 1,0 |
| სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი | 1,0 |
| რესურსების მართვის სამსახურის უფროსი | 1,0 |
| სპეციალისტი | 1,0 |
| ლაბორატორიის გამგე | 4,0 |
| სპეციალისტი | 8,0 |

მე-8 გვერდზე

# განცხადება

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ახალი სტრუქტურის ფორმირებასთან დაკავშირებით აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად**

### ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

| | |
|---|---|
| სასწავლო პროცესის მართვის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი | 1,0 |
| სასწავლო პროცესის მართვის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი | 7,0 |
| სასწავლო პროცესის მართვის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის სპეციალისტი | 6,0 |
| ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი | 1,0 |
| ბიბლიოთეკარი (სპეციალისტი) | 1,0 |
| რესურსების მართვის სამსახურის უფროსი | 1,0 |
| კანცელარიის უფროსი | 1,0 |
| სპეციალისტი | 4,0 |
| მდივანი | 4,0 |
| ლაბორატორიის გამგე | 35,0 |
| უფროსი ლაბორანტი | 26,0 |
| ლაბორანტი | 73,0 |
| უფროსი ინჟინერი | 15,0 |
| ინჟინერი | 18,0 |

### ჰუმანიტარული ფაკულტეტი

| | |
|---|---|
| სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი | 1,0 |
| სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი | 7,0 |
| ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი | 1,0 |
| ბიბლიოთეკარი (სპეციალისტი) | 2,0 |
| სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი | 1,0 |
| სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი | 1,0 |
| სპეციალისტი | 1,0 |
| რესურსების მართვის სამსახურის უფროსი | 1,0 |
| სპეციალისტი | 2,0 |
| კანცელარიის უფროსი | 1,0 |
| სპეციალისტი | 6,0 |
| უფროსი სპეციალისტი | 12,0 |
| უფროსი ლაბორანტი | 12,0 |
| ლაბორანტი | 23,0 |

### შრომის ანაზღაურება ვაკანტური თანამდებობების მიხედვით შეადგენს თვეში არანაკლებ:

| | |
|---|---|
| დეპარტამენტის უფროსი | 1500 ლარი |
| დეპარტამენტის უფროსის მოადგილე | 1200 ლარი |
| სამუზეუმო სამსახურის უფროსი | 1200 ლარი |
| სტუდქალაქის მმართველი | 1200 ლარი |
| სტუდქალაქის მმართველის მოადგილე | 900 ლარი |
| განყოფილების უფროსი | 900 ლარი |
| სპორტისა და კულტურის ცენტრის უფროსი | 900 ლარი |
| გამომცემლობის დირექტორის მოადგილე | 900 ლარი |
| საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე | 900 ლარი |
| ელექტრონული გამოცემების მენეჯერი (გამომცემლობა) | 850 ლარი |
| სპორტისა და კულტურის ცენტრის უფროსის მოადგილე | 765 ლარი |
| განყოფილების უფროსის მოადგილე | 765 ლარი |
| უფროსი რედაქტორი (გამომცემლობა) | 750 ლარი |
| კოორდინატორი (გამომცემლობა) | 600 ლარი |
| მთავარი არქიტექტორი | 600 ლარი |
| მთავარი სპეციალისტი | 600 ლარი |
| სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, კანცელარიის უფროსი (ფაკულტეტზე) | 550 ლარი |
| ოფისმენეჯერი (გამომცემლობა) | 550 ლარი |
| უფროსი სპეციალისტი | 520 ლარი |
| ლაბორატორიის გამგე | 520 ლარი |
| სპეციალისტი | 450 ლარი |
| მდივანი | 380 ლარი |
| უფროსი ინჟინერი | 210 ლარი |
| უფროსი ლაბორანტი | 210 ლარი |
| ინჟინერი | 180 ლარი |
| ლაბორანტი | 180 ლარი |

### კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV);
- 1 ფოტოსურათი (ზომით 3/4);
- პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
- უმაღლესი განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებული დოკუმენტების ასლები;
- სამოქმედო გეგმა ან/და მოტივაცია საკონკურსო თანამდებობის ფარგლებში;
- ორი რეკომენდაცია (რეკომენდატორის სტატუსისა და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით);

### კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნები

1. უმაღლესი განათლება;
2. სამუშაო გამოცდილება – პროფილური მიმართულებით (სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისათვის არანაკლებ 3 წლის);
3. საქმიანი რეპუტაცია;
4. საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
5. უცხო ენის ცოდნა (რიგ თანამდებობებზე, სპეციფიკურობის გათვალისწინებით, სავალდებულო);
6. თანამდებობებისადმი წაყენებული სპეციფიკური მოთხოვნების გაცნობა შესაძლებელია საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

### კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

I ეტაპი – დგინდება კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე (ვადები – 2007 წლის 2 აპრილიდან 13 აპრილამდე);

II ეტაპი – ჩატარდება გასაუბრება საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული გრაფიკით (გასაუბრების გრაფიკის გაცნობა შესაძლებელი იქნება საკონკურსო კომისიის სამდივნოში და გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე 2007 წლის 18 აპრილს).

საკონკურსო საბუთების შემოტანის ვადა – 2007 წლის 19 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე, კვირის გარდა, 10 საათიდან 18 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, II სართული, საკონკურსო კომისიის სამდივნო.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება კონკურსის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საკონტაქტო ტელეფონზე: 23 19 68

**საკონკურსო კომისია**

## ბრძანება N11/02–01

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში კონკურსის ჩატარებისათვის საკონკურსო კომისიისა და სამდივნოს შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების და „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 14.03.2007 წ. N01/02-01 ბრძანების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. გულნაზი გალდავა – ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ლელა ბენიძე – იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის მდივანი)
3. შოთა მინდელი – ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
4. ნათელა ლაცაბიძე – პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
5. მზია მიქელაძე – ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დირექტორი
6. დავით ბერეკაშვილი – მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
7. ნინო დურგლიშვილი – სოციოლოგი, ასისტენტ-პროფესორი
8. ნუგზარ წიკლაური – პუბლიცისტი, თსუ გამომცემლობის დირექტორი
9. პაატა ტურავა – სამართლის დოქტორი
10. დავით კერესელიძე – იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი
11. აკაკი ცომაია – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი
12. ალექსანდრე ცისკარიძე – მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი
13. იოსებ სალუქვაძე – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი
14. რამაზ ბოჭორიშვილი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი
15. დარეჯან თვალთვაძე – ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

1. ნუნუ ოვსიანიკოვა -კანცელარიის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (სამდივნოს უფროსი)
2. ნანა გიორგაძე – ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი
3. დავით ბოსტოღანაშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი
4. რუსუდან დალაქიშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი
5. ნინო ჩიხლაძე – თსუ ასოცირებული პროფესორი
6. ნანა ფრუიძე – თსუ ასისტენტ-პროფესორი
7. მანანა მელიქსედბეგი – თსუ ასისტენტ-პროფესორი
8. მაგული კვერნაძე – ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

3. დაევალოს თსუ კანცელარიის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს (ნ. ოვსიანიკოვა) უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულებისათვის. ბრძანება საჯარო გაცნობისთვის გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მოხდეს მისი ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.

4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
გულნაზი გალდავა

14.03.2007 წ.

## ბრძანება N22/01–01

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დარეგულირების უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ძირითადი სასწავლო–სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეულების რეორგანიზაციის შესახებ“ 2005 წლის 16 ივნისის N92 ბრძანების შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ფაკულტეტების გაერთიანების ან სპეციალობების გაუქმების შედეგად სხვა სპეციალობაზე გადმოყვანილ სტუდენტებს სწავლის საფასური განესაზღვროთ ახალ სპეციალობაზე დადგენილი ტარიფებით. იმ შემთხვევაში, თუ ახალ სპეციალობაზე დადგენილი სწავლის საფასური აღემატება სტუდენტთან დადებული კონტრაქტით განსაზღვრულ ოდენობას, სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში შეუნარჩუნდეს კონტრაქტით დადგენილი ტარიფი.
2. დაევალოს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურს (მ.სვანაძე), საფინანსო სამსახურს (მ.ცარციძე) უზრუნველყონ ამ ბრძანების შესრულება.
3. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა) უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულისთვის; ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მოხდეს მისი ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.

**რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა**

*09.03.2007წ.*

## ბრძანება N05/01–03

**ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე, 34–ე მუხლების და 89–ე მუხლის მე–11 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსის წესი (დანართი 1)
2. ბრძანება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს პრესით და განთავსდეს თსუ ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

საფუძველი: ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლიტერატურის თეორიის მიმართულების ხელმძღვანელის წარდგინება.

**რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა**
*15.03.2007წ.*

## დანართი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება უნდა მოხდეს ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსი ცხადდება საბაზისო სწავლების, სპეციალიზაციისა და სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული საგნების წაკითხვაზე, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს: ავტობიოგრაფიული მონაცემები, შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით, საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევის უნარს და ორი სილაბუსი. სილაბუსში მითითებულ უნდა იქნეს:

- საგნის სახელწოდება;
- სწავლების მიზანი; მეთოდი;
- კურსის მოცულობა;
- კრედიტების მინიჭების პირობა;
- ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
- საგნის გეგმა თითოეულ ლექციაზე წასაკითხი მასალების მითითებით.

3. კონკურსი ცხადდება ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების ლიტერატურის თეორიის სპეციალიზაციით–ასისტენტ–პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;

4. საკონკურსო კომისია აკადემიურ თანამდებობასთან კონკურსანტის შესაბამისობის თაობაზე ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლისათვის რეკომენდაციების შემუშავებისას ითვალისწინებს:

- აკადემიურ ხარისხს;
- პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილებას;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს;
- სამეცნიერო საბჭოს წევრობას;
- სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრობას;
- სამეცნიერო, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობას, კონსულტანტობას, ოპონირებას;
- წიგნის (კრებულის) რედაქტორობას;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას.

5. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში კანდიდატმა უნდა განაცხადოს წერილობითი თანხმობა, რომ უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადში ის იქნება დაფიქსირებული, როგორც ამ უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფესორი.

6. კონკურსი ცხადდება 2007 წლის 12 მარტიდან. დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2007 წლის 12 აპრილი. საბუთების მიღება იწარმოებს ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანატში – ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. № 1, ტელ. 22 21 08

# მომავალში ჟურნალისტები ყოვლისშემძლეები გახდებიან

**ანა კირვალიძე**

ასე ჟღერს დასკვნა Online-გამოკითხვის შედეგებზე, რომელიც ლაიფციგის უნივერსიტეტის კომუნიკაციისა და მედიის მეცნიერებების ინსტიტუტის ჟურნალისტიკის კათედრის პროფესორებისა და სტუდენტების მიერ ჩატარდა, და რომელიც მიზნად ჟურნალისტიკის მომავლის განსაზღვრას ისახავდა. მსგავსი ტიპის კვლევები რეგულარულად ტარდება ლაიფციგის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრაზე, სადაც პროფესორი მიხაელ ჰალერი ხელმძღვანელობს პროექტს — „ჟურნალისტიკის მომავალი“.

„ჟურნალისტიკის მომავლის“ მეცნიერულად გამოკვლევის იდეა სიახლეს არ წარმოადგენს. ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერები აღნიშნული პრობლემატიკით ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისიდან იყვნენ დაინტერესებულნი. თუმცა ზემოთ აღნიშნული კვლევა მრავალმხრივობით და ფართომასშტაბურობით გამოირჩევა. კითხვარი, რომელიც 160 კითხვას მოიცავდა, ელექტროფოსტით დაეგზავნა თითქმის 60 000 ჟურნალისტს (გერმანიაში 70 000-დან 95 000-მდე ჟურნალისტია, — მათი ზუსტი მონაცემი არ არსებობს.). აღსანიშნავია, რომ კვლევაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებიც.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ჟურნალისტების ამოცანა — სოციუმში შეასრულონ ერთგვარი კრიტიკისა და კონტროლის ფუნქცია, მნიშვნელობას კარგავს. ჟურნალისტისათვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება გარემოში ორიენტირება, საზოგადოებისთვის დახმარების და მისთვის ღირებული ფუნქციის გაწევა — ასე ხედავენ გერმანელი ჟურნალისტები საკუთარ პროფესიულ მომავალს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: ეს არის პასუხები კითხვაზე, თუ როგორ შეიცვლება ჟურნალისტების პროფესია მომდევნო ათი წლის განმავლობაში.

ჟურნალისტიკა, რომელიც ადრე მამაკაცურ პროფესიად ითვლებოდა, მალე ქალების მიერ იქნება დომინირებული. ასე ფიქრობს მამაკაც ჟურნალისტთა უმრავლესობა, და არა მათი საპირისპირო სქესის კოლეგები.







გრაფიკი. საინფორმაციო წყაროების გამოყენების სიხშირე მომავალში
საშუალო განაწილება სკალაზე: 1-დან 4-მდე - „უფრო იშვიათად",
4-დან ზევით - „იგივე რჩება", 7-მდე - „უფრო ხშირად".

### ფუნქციათა დრამატული ცვლა

მედიასაზოგადოების ახალ ერაში, რომელიც უამრავ სხვადასხვა კომუნიკაციურ არხებს მოიცავს, ჟურნალისტები სრულიად განსხვავებული ამოცანებით არიან დაკავებულები, რასაც თან სდევს ჟურნალისტიკის ფუნქციების ,,თანდათანობითი“ ტრანსფორმირება, რომელიც სიღრმისეულად ცვლის პროფესიის სურათს. ლაიფციგის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის საშუალებით მკვლევარებს ყველაზე მეტად სურდათ იმის დადგენა, თუ როგორ აღიქვამენ ჟურნალისტები ამ ცვლილებებს? რა დასკვნებს აკეთებენ ისინი თავისი მომავალი საქმიანობის სფეროებისთვის? ამ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, რომელიც ათწლიანი დროის ჰორიზონტზეა გათვლილი, ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ჟურნალისტების მომზადებისა და განათლებისთვის. სხვათა შორის, კვლევის შედეგები განსაზღვრავს იმასაც, თუ რა მოთხოვნები უნდა წაუყენონ საკუთარ თავს მომავალმა ჟურნალისტებმა.

პირველი შეფასებებიდანვე ნათელი ხდება, რომ ჟურნალისტები აქცენტირებას ყველაზე მეტად ტექნიკურ სიახლეებზე ახდენენ. ოთხი ჟურნალისტიდან სამი დარწმუნებულია, რომ სულ მალე ინფორმაციის ძიების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი World Wide Web-ი გახდება. გარდა ამისა, მომავალი ათი წლის განმავლობაში მოსალოდნელია პოზიტიური ბიძგი ქსელში უფასო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით.

რესპოდენტები ახალ მედიუმში სხვადასხვა საფრთხეებსაც ხედავენ: ყველაზე მეტად აქცენტი კეთდება სარედაქციო შინაარსსა და რეკლამას შორის საზღვრის გაქრობაზე. გამოკითხულთა უმრავლესობის პროგნოზით, ასევე გაძლიერდება დამოკიდებულება სარეკლამო ჰონორარზე, რაც ინფორმაციის შინაარსზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს.

რესპოდენტთა უმრავლესობა ერთხმად აღნიშნავს, რომ უფრო მნიშვნელოვანი ხდება დარგობრივი უნარ-ჩვევები. თუ ადრე ხშირად კლასიკური ,,წერა„საკმარისი იყო იმისათვის, რომ ჯურნალისტს კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა მკითხველზე, დღეს უფრო საჭირო ხდება მრავალმხრივი პროფესიული კომპეტენცია. ჟურნალისტთა თითქმის 10 პროცენიტი იძულებულია, თავისი პროდუქტი მოამზადოს სხვადასხვა ტიპის მედიისათვის, რაც საკმაოდ მზარდი ტენდენციის სახეს ღებულობს.

მაგრამ, ასევე აუცილებელი ხდება უფრო მეტი „Knowhow“, იმისათვის, რათა ჟურნალისტებმა შეძლონ ორიენტირება მეტისმეტად გაუვალ ინფორმაციულ ჯუნგლებში; ბევრი ჟურნალისტი ფიქრობს, რომ მათ ხშირად საქმე არასანდო, ან ცალმხრივ ინფორმაციასთან აქვთ.

ყოველი მეორე ჟურნალისტის აზრით, დროის უქონლობის გამო ინფორმაციების მოძიება ზედაპირული ხდება. გამოკითხულ ჟურნალისტთა მხოლოდ ყოველი მეხუთე ფიქრობს, რომ მომავალში უფრო საფუძვლიანად შეძლებს ინფორმაციების მოძიებას, ვიდრე დღეს.

ამ შეფასებით, ნათელი ხდება, რომ იზრდება როგორც შინაარსობრივი, ისე ენობრივი შეცდომები.

გამოკითხულ ჟურნალისტთა 83 პროცენტი ერთსულოვნად მიიჩნევს, რომ მომავალში გაიზრდება თემები გასართობი და საინფორმაციო სფეროდან, განსაკუთრებით ისეთი, როგორიცაა ცხოვრებისეული და სასარგებლო რჩევები. მაგრამ, კიდევ იქნება პოპულარული საინფორმაციო თემები? ამ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად ჟღერს: ალბათ, არა. საგანმანათლებლო თემები, როგორიცაა: კრიტიკა და კონტროლი — არ შემცირდება, ისინი პირიქით, მყარად დარჩება.

კითხვაზე — იქნება თუ რა კიდევ მოთხოვნა კლასიკურ ჟურნალისტიკაზე, რესპოდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მომავალშიც უარს არ იტყვის მოწინავე კლასიკურ სტატიებზე.

ჟურნალისტებს არ მიაჩნიათ, რომ საკუთარი პროფესია საფრთხეშია. პირიქით, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უფრო იზრდება ჟურნალისტთა ადაპტაციის უნარი. ერთის მხრივ, მათ მკითხველს უნდა მიაწოდონ შინაარსობრივად მრვალფეროვანი თემები, მეორე მხრივ, უნდა გაითვალისწინონ ტექნიკური შესაძლებლობების ჩარჩოებში გაფართოვებული ფორმატის მრავალფეროვნება. აქ იგულისხმება ისიც, რომ ყოველდღიური გაზეთები მიმართული უნდა იყოს მკითხველის მოლოდინზე.

### მეტი ქალები !

გამოკითხულთა 70 პროცენტზე მეტი აღნიშნავს, რომ ქალების წილი ჟურნალისტიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. რამაც გავლენა მოახდინა თემების შერჩევაზე. გამოკითხულთა ორი მესამედი კი ჯერ კიდევ მიიჩნევს, რომ ჟურნალისტიკა მომავალშიც კლასიკური მამაკაცური სფერო იქნება, ისევე, როგორიც ეკონომიკა და სპორტი. ქალებისთვის, რასაკვირველია, ღია იქნება კარები რადიოსა და ტელევიზიაში, მაგრამ იქ, სადაც ხდება კომპეტენციების განსაზღვრა და თანამშრომლებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, ხელმძღვანელ პოზიციებს მომავალშიც მამაკაცები გადაინაწილებენ.

### კლასიკური ჟურნალისტიკის დასასრული?

ასეთი პროგნოზი არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს კლასიკური ჟურნალისტიკის დასასრულს. პირიქით, ეს არსებითი პრობლემის წინ წამოწევაა: ხვალინდელი დღის ჟურნალისტები რესპოდენტებს წარმოუდგენიათ, როგორც მომსახურეები, რომლებიც თავის პუბლიკას უფრო ფართო ქსელს, ორიენტირებასა და ასევე გართობას სთავაზობენ.

*იუბილე*

# მოდის, მოღელავს ახალი თაობა

**შურთხია ბეროშვილი**

გაზეთ ,,ახალგაზრდა იურისტის 10 წლის იუბილე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საქართველოს ჰიმნის თანხლებით გაიხსნა. შეგონებასავით გაისმა წმინდა ილია მართლის სიტყვები, რომელიც 1887 წლის 21 მარტს, გაზეთ ,,ივერიაში დაიბეჭდა — ,,ჩუმი, მშვიდობიანი, არა მყვირალა და მჩხავანა მოღვაწეობა, — საცა უნდა იყოს — თუ გულმხურვალებით არის გამთბარი, გულმოდგინებით წარმართული, ერთგულებით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, — უტყუარი ნიშანია, თვითონ მოღვაწეობის დიდბუნევნობისა ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა დიდი საქმეა, რომელიც თავისთავად ხმაურობს, ქარბუქს აყენებს და ყველას თვალწინ უდგას მთელის სიდიდითა"... ამჟამინდელ რედკოლეგიის წევრებს გაზეთის დამფუძნებელი თამარ გარდაფხაძე მიესალმა, რომელმაც დიდი სითბოთი გაიხსენა გაზეთის სულისჩამდგმელი, იურიდიული ფაკულტეტის მაშინდელი დეკანი გივი ინწკირველი. იუბილის მონაწილეები დალოცა მეუფე იობმა. მან ახალგაზრდებს ილიას გზით სიარული და ჭეშმარიტად მართალი სიტყვის სამსახური უსურვა. მან, ასევე, საქართველოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევა გადასცა ახალგაზრდებს.

უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა სტუდენტებს თანადგომას და მათთან ერთად სიმართლის სამსახურში ყოფნას შეპირდა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მომავალში გვქონდეს უკეთესი უნივერსიტეტი, - განაცხადა მან.

გაზეთ „ახალგაზრდა იურისტის" ათი წლის იუბილე, თავისი მრავალფეროვანი ატრიბუტიკით, საუნივერსიტეტო ზეიმად იქცა.

გაზეთის ამჟამინდელ დამფუძნებლებს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს არჩილ კაიკაციშვილს, მარიკა არევაძეს და მარიამ ასანიშვილს მღელვარების მიზეზი ნამდვილად ჰქონდათ: უამრავმა მოწვეულმა საპატიო სტუმარმა — საპატრიარქოდან, აღმასრულებელი საკანონმდებლო სასამართლოდან, ხელისუფლებიდან, იუსტიციის სამინისტროდან, უზენაესი სასამართლოდან, მერიიდან, პრესიდან და ტელევიზიიდან... მათ მომავლისკენ გზა დაულოცეს.

„ახალგაზრდა იურისტის" ახალბედა ჟურნალისტებმა ღონისძიებას სიმბოლური პარალელებიც მოუძებნეს. 21 მარტი ხომ ქართული ჟურნალისტიკის დაარსების დღეს უკავშირდება. გაზეთის დამფუძნებლის არჩილ კაიკაციშვილის აზრით, იურუდიულ ფაკულტეტზე დააარსებული გაზეთის ათწლიანი ისტორია იმის მანიშნებელია, რომ ,,ახალგაზრდა იურისტი" არსებობას აგრძელებს და ქართულ ჟურნალისტიკაში თავის სათქმელს ამბობს. იგი თვლის, რომ გაზეთი არა მარტო ფაკულტეტის ინტერესებით შემოიფარგლება, არამედ იგი საუნივერსიტეტო ცხოვრების ინტერესების გამომხატველია. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ სარედაქციო კოლეგიის წევრები სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები არიან.

არჩილ კაიკაციშვილმა და ვალერი ოთხოზორიამ გაზეთის ჰიმნიც კი შექმნეს, რაც სიურპრიზი აღმოჩნდა მოწვეული სტუმრებისთვის. ახალგაზრდა იურისტებს არც წითელი ხალიჩა დავიწყებიათ, არც გამორჩეული რედკოლეგიის წევრების სხვადასხვა ნომინაციებში დაჯილდოვება, არც ბილბორდების და ფოტოქრონიკის მომზადება. საიუბილეო ნომერში კი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საუკეთესო პუბლიკაციები მოხვდა.




გაზეთი „ახალგაზრდა იურისტის" რედაქტორი მარიკა არევაძე მთლიანად დაიხარჯა, რომ ღონისძიება უნაკლოდ წარმართულიყო. მისი თქმით, მათი სამომავლო გეგმებიც არანაკლებ საინტერესოა. — ვგეგმავთ უამრავ ღონისძიებას, შემოქმედებით საღამოებს. მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჩვენი ურთიერთობა საპატრიარქოსთან. ჩვენ ვებ-გვერდზე განვათავსეთ რელიგიის განყოფილება, სადაც გამოვა მათი წარმომადგენლების მიერ მოწოდებული მასალები. ვგეგმავთ სასკოლო კონფერენციის მოწყობას, მიუსაფარი ბავშვებისათვის საქველმოქმედო აქციას. ასე, რომ, იუბილის შემდეგაც უამრავი საქმე გვაქვს.

რედაქტორის მოადგილეს მარიამ ასანიშვილის აზრით, ასეთი ღონისძიებების მოწყობა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ახალგაზრდებს ეს გამოცდილების შეძენაში ეხმარება. — ყველა ბოლომდე დაიხარჯა, ერთმანეთს ვამხნევებდით — ყველაფერი გამოვა! — მართლაც ასე მოხდა.

ღონისძიებას მხარდამჭერებიც არ აკლდა: „სახალხო ბანკი", „ეკო-ფუდი", „24 საათი", „კვირის პალიტრა", „ცხელი შოკოლადი", „თბილისის უნივერსიტეტი", გამომცემლობა „უნივერსალი".

# 1589 წლიდან დღემდე რუსეთს საქართველოსთან დადებული არცერთი ხელშეკრულება არ შეუსრულებია

## რას წერენ ისტორიკოსები წიგნში „რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ“

*ჩვენ არავინ გვაყენებს ალტერნატივის წინაშე — გვინდა რუსეთთან ერთად თუ გვსურს ურუსეთოდ? საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და უკვე თავად ირჩევს სახელმწიფოებთან ურთიერთობის გზას, თუმცა ამ არჩევანს რამდენად ეთანხმება საქართველოს მოსახლეობა, რამდენად საზიანოა ან შედეგის მომტანი ჩვენი ხელისუფლების მხრიდან რადიკალური საგარეო პოლიტიკის გატარება, ეს ცალკე განსჯის თემაა. ის კი უდავოა, რომ ჩვენს „კეთილისმყოფელ“ მეზობელს ცხოვრების ინტერესიც კი შეიძლება დაეკარგოს, საკუთარი თავი საქართველოს გარეშე რომ განიხილოს. რუსეთი სწორედ საქართველოსთან ჭიდილით კვებავს თავის იმპერიულ აზროვნებას, მტაცებლის მადას კი საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს თვითდამკვიდრების პერსპექტივები სულ უფრო უღვივებს. რუსეთმა ვერ დამალა აგრესია 2009 წლისთვის საქართველოს ნატოში „მიპატიჟების“ გამო და კვლავ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ე.წ. გაყინული კონფლიქტებით დაშანტაჟებაზე დაიწყო საუბარი. ზემო აფხაზეთის დაბომბვაც გამაფრთხილებელ გზავნილად შეიძლება ჩავთვალოთ. ფაქტი ერთია, რუსეთი არ ცნობს დიპლომატიის ენას. რუსეთ-საქართველოს შორის დამოკიდებულების ასპექტები — პოლიტიკური დატვირთვით თუ ფსიქოლოგიური კუთხით, არაერთხელ შესწავლილი და გაანალიზებულია. მთელი ტრაგიზმი რუსეთის პოლიტიკურ ვამპირიზმშია — ეს იცის მსოფლიომ, მაგრამ ამის აღიარება არ სურს თავად რუსეთს.*

*პროფესორებმა ვახტანგ გურულმა და მერაბ ვაჩნაძემ გამოსაცემად მოამზადეს წიგნი სახელწოდებით „რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ“, რომელშიც ასახულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპები.*

ნინო კაკულია

„საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია პოლიტიკური მოსაზრებების გამო უხეშად გააყალბა ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ — საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. დღეს ამ საძრახის საქმეს აგრძელებს თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია. მეცნიერებაში დამკვიდრდა ბევრი მცდარი შეხედულება, უმნიშვნელოვანესი მოვლენები შეფასებულია ტენდენციურად. რუსი ისტორიკოსები და მათ კვალობაზე რუსული მასმედია „უფროსი ძმის“ უფლებით გვასწავლიან, როგორ უნდა გავაშუქოთ საქართველო-რუსეთის ისტორიის საკითხები, რაზე უნდა ვწეროთ და რაზე — არა. ყოველივე ამის გათვალისწინებით მიზნად დავისახეთ, კიდევ ერთხელ მოვახდინოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპების ამსახველი დოკუმენტებისა და მასალების ობიექტური ანალიზი,“ — წერენ წიგნის ავტორები შესავალ ნაწილში, რომელთაც კითხვაზე — გვინდა რუსეთთან ერთად თუ გვსურს ურუსეთოდ? — ერთი პასუხი აქვთ: — რა თქმა უნდა, ურუსეთოდ! მაგრამ როგორ მოვახერხოთ რუსეთის ავანტიურაზე ყოველთვის სათანადო პასუხის გაცემა, როგორ ავარიდოთ მუდამ თავდაცვის პოზიციას თავი და რით შევუტიოთ მას — ამაზე წიგნში მოძებნილი ისტორიის საინტერესო ფრაგმენტები მიგვითითებს. თავად წიგნის დაწერის იდეასა და მიზანზე კი ისტორიკოსი **ვახტანგ გურული** გვესაუბრა.

**— საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ყოველთვის აქტუალური თემა იყო საქართველოს ყველა დროის ხელისუფლების მოღვაწეობის პერიოდში, ალბათ ამიტომაც დაიწყეთ იმ დეტალების შესწავლა, რაც ჩვენს მეზობელთან საუკუნეების მანძილზე გვაკავშირებს. საინტერესოა თქვენი დასკვნა — ცვლიდა თუ არა რუსეთი თავის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ და ასრულებდა თუ არა ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებს?**

— მე და ჩემს მეგობარს, წიგნის თანაავტორს პროფესორ მერაბ ვაჩნაძეს ამ წიგნის დაწერის იდეა, რომელშიც რაღაც ფორმით თავმოყრილი იქნებოდა რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, დიდი ხნის წინ დაგვებადა. ჩვენი პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, მოგეხსენებათ, რუს პოლიტიკოსებთან და რუს ჟურნალისტებთან ჩაბმულნი არიან პოლემიკაში. ასეთ დროს აუცილებელია ისტორიის კარგად ცოდნა. ეს ისტორია კი საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. ჩვენ არ გვინდა, რომ, ვთქვათ, რუსმა პოლიტიკოსმა ან ჟურნალისტმა პოლემიკაში რუსეთ-საქართველოს ისტორიის ცოდნით ქართველს აჯობოს. რუსს რომ შეედავო ან საქართველოს სახელმწიფოს მიმართ მისი პოლიტიკა გააკრიტიკო, პირველ რიგში, ჩვენი ურთიერთობის ისტორიის დეტალებს უნდა იცნობდე. ეს განსაკუთრებით საჭიროა ისეთ მეზობელთან კამათისას, როგორიც რუსეთია, რომლის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები არ იცვლება. ერთნაირი სიტუაცია იყო ივანე მრისხანეს, პეტრე პირველის, ალექსანდრე პირველის დროსაც... ანუ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ის გენერალურ მიმართულებას არ ცვლის.

ჩვენ თავიდან ვიფიქრეთ, რომ წიგნისთვის მიგვეცა მონოგრაფიის სახე და თანმიმდევრობით მოგვეთხრო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია, მაგრამ ასეთი შინაარსის წიგნი მიზანს ვერ მიაღწევდა — აღსაქმელად ის ძალიან რთული იქნებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, განგვეხილა რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დაწყებიდან, ანუ 1587-89 წლებიდან დღემდე დადებული ყველა ხელშეკრულება, მოგვეთხრო მათი დადების წინა ისტორია, შინაარსი და, ასევე, ხელშეკრულებათა შესრულება-არშესრულების ისტორიაც. არსებობს ძალიან მარტივი დასკვნა, რაც ხელს არ აძლევს რუსეთს. როგორც დავინახავთ, მას 1589 წლიდან დღემდე არცერთი ხელშეკრულება არ შეუსრულებია. დღეს რუსეთი მოვალეა შეასრულოს 2006 წლის 31 მარტის ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანას ეხება. ეს იქნება პირველი ხელშეკრულება, რომელსაც რუსეთი შეასრულებს. ამ გადაწყვეტილებას ამიტომ ვთვლით ჩვენი საგარეო პოლიტიკის დიდ წარმატებად.

**— წიგნში თქვენ საუბრობთ დიპლომატიურ ურთიერთობებზე და აღნიშნავთ, რომ „საქართველო-რუსეთის პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობა ხუთ საუკუნეზე მეტხანს ითვლის.“ დიპლომატია, თავისი გაგებით, ნიშნავს ორი ქვეყნის ინტერესების მეტ-ნაკლებად მაინც გათვალისწინებას. საუკუნეების გადასახედიდან შეიძლება კი საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიურ ურთიერთობაზე საუბარი? დღეს ეს თემა ძალიან აქტუალურია, ვინაიდან გამწვავებული ურთიერთობის შემდეგ რუსეთის ელჩი საქართველოში ახლახან დაუბრუნდა თავის მოღვაწეობას, მაგრამ რუსეთი თავის აგრესიულ კამპანიას მაინც აგრძელებს.**

— რა თქმა უნდა, დიპლომატიური ურთიერთობა ორი სუვერენული მხარის, ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ურთიერთობას გულისხმობს. საქართველოსა და რუსეთს შორის ასეთი ურთიერთობა, პრაქტიკულად, არასდროს ყოფილა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია სახელმწიფოებრივ ინტერესთა ბრძოლის ისტორიაა. ჩვენი მეფეები — მე-15 საუკუნიდან დაწყებული, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის — გიორგი მეთორმეტეს ჩათვლით, მუდამ მთხოვნელების როლში იყვნენ, რუსეთს თხოვდნენ ჯარს და ასეთ შემთხვევაში არ შეიძლებოდა საუბარი თანასწორ ურთიერთობაზე. რით იყო ეს გამოწვეული?

საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ჰქონდა ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რამაც ძირითადად განსაზღვრა ამ ურთიერთობის მიმდინარეობა, ხასიათი და შედეგი. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა დაიწყო და სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში (1483-1801) ვითარდებოდა, ერთის მხრივ, საქართველოს პოლიტიკური დაშლის, ეკონომიკური დაუძლურების, დამანგრეველი სოციალური პროცესების, კულტურული დაქვეითებისა და მეორეს მხრივ, მოსკოვის გარშემო რუსული მიწების (სამთავროების) გაერთიანების, რუსეთის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ფონზე.

ჩვენ ვიყავით მუდამ მთხოვნელის როლში და როცა მთხოვნელი ხარ, თანასწორუფლებიანობას ვეღარ მოითხოვ. თვით გეორგიევსკის ტრაქტატშიც კი, რომელიც იმ დროს საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ყველა წესის დაცვით გაფორმდა, ქართლ-კახეთი და რუსეთის იმპერია იურიდიულად თანასწორ მხარეებად განიხილებოდნენ, თუმცა ამ ხელშეკრულებით ჩვენ მაინც დავზარალდით.

**— ვის რაში დაეხმარება იმ ხელშეკრულებათა გაცნობა, რასაც თქვენ წიგნში მოუყარეთ თავი. რამდენად ღირებულია ხელშეკრულებათა ჩამონათვალი საქართველოსთვის?**

— ამ ხელშეკრულებების შეგროვებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის მომგებიანი ხელშეკრულების დადების შემთხვევაშიც კი საქართველო მუდამ ფრთხილად უნდა იყოს, რადგან რუსეთი ყოველთვის ეცდება — ეს ხელშეკრულება არ შეასრულოს. უახლოეს მაგალითს მოვიყვან: 1994 წელს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც თბილისში ხელი მოაწერეს ბორის ელცინმა და ედუარდ შევარდნაძემ. ეს ხელშეკრულება რუსეთის სათათბირომ არ დაამტკიცა, ვინაიდან მასში შეტანილი მუხლები საქართველოსთვის იყო მომგებიანი.

რუსები ჩვენ სულ იმას გვაყვედრიან, რომ რუსეთის სახელმწიფო ყოველთვის ჩვენი მოკავშირე და დამცველი იყო. ამ ხელშეკრულებებიდან კი ჩანს, რომ რუსეთს, როგორც საქართველოს მოკავშირეს, არაფერი გაუკეთებია. რუსეთი იმასაც გვაყვედრის, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორიები დაუბრუნა. ამ შემთხვევაში ლაპარაკია სამცხე-საათაბაგოზე, აჭარაზე, აფხაზეთზე და კიდევ სხვა ტერიტორიებზე. ამ ფაქტს ვერსად გავექცევით, მაგრამ არსებობს ასევე უტყუარი ფაქტი იმის შესახებ, რომ 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით რუსეთმა თურქეთს ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოკრუგები დაუთმო. რუსეთის ხელმძღვანელობის ძალისხმევით საბჭოთა საქართველოს დაათმობინეს საინგილოც და წაართვეს ნაწილი ტერიტორიებისა ჩრდილო დასავლეთით.

1921 წლის 16 მარტის მოსკოვისა და 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა თურქეთს უმტკივნეულოდ დაუთმო ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიები.

ჩვენ ხშირად გამოვყოფთ ხოლმე სოჭის პრობლემას, მაგრამ სოჭის გარდა რუსეთმა სხვა ბევრი ტერიტორიაც დაგვაკარგვინა, მაგალითად, დარიალის ხეობაში ცეკაროსა და მელხესტის სოფლები. უფრო მეტიც, სერიოზულად მზადდებოდა რუსეთისათვის ყაზბეგის რაიონის სოფლების — ჯუთას, სნოსა და კარკუჩას გადაცემის საკითხი. საქართველოს, ასევე, დუშეთის რაიონის რამდენიმე სოფელი უნდა ჩამორთმეოდა. ამაზეც არის საუბარი წიგნში.

ჩვენ გვინდა, რომ მკითხველმა მიიღოს ისეთი ინფორმაცია, რაც რუსეთისათვის მართლაც სამარცხვინოა. შეიძლება დღევანდელი რუსეთი ამაზე პასუხისმგებელი არ არის, მაგრამ როდესაც დღეს რუსი პოლიტიკოსები ზემოდან დაგვყურებენ და დაგვძახიან — ჩვენ გიცავთო, ეს წიგნი ბევრ ქართველს დაარწმუნებს მათ სიცრუეში. რუსებს, შეიძლება, ხელსაც არ აძლევდეს ამ წიგნში მოყვანილი ფაქტების გახსენება.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: რუსეთის იმპერატორი ირწმუნებოდა, რომ ქართლ-კახეთში მეფობას არ შევეხებიო. 1801 წელს ალექსანდრე პირველმა არაფრად ჩააგდო ეკატერინე მეორის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულება და მეფობა გააუქმა. გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით საქართველოში კათოლიკოსის თანამდებობა ხელშეუხებელი იყო. ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ რუსებმა 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც გააუქმეს. 1804 წელს სოფელ ელაზნაურში დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც იმერეთში მეფობა უნდა შენარჩუნებულიყო. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების პირობა დაირღვა და იმერეთში მეფობა გაუქმდა.

1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის მოთხოვნით ორი მუხლი დაემატა და საბოლოოდ დამტკიცდა, რომ საქართველოს მთავრობა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე კომუნისტურ აგიტაციას ვერ აკრძალავდა, ანუ საქართველოს მთავრობა ვერ შეეხებოდა კომუნისტურ პარტიას იმის მიუხედავად, ის ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდა თუ არა. რას მიაღწია ამით რუსეთმა? მან საქართველოში მეხუთე კოლონა დააკანონა. ე. ი. შენ საკუთარ ქვეყანაში რომელიღაც ძალის მიმართ კანონის მოქმედება შეგიჩერა. საქართველოს მთავრობას შეეძლო თურქეთის აგენტურის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღება, რასაც რუსეთის აგენტურის წინააღმდეგ ვერ გააკეთებდა: ვერ დაშლიდა მათ კრებებს, ვერ დახურავდა მათ გაზეთებს, ვთქვათ, ქუჩაში ანტიქართული პროკლამაციის გამავრცელებელს ვერ დაიჭერდა.

1921 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, რის შემდეგადაც საქართველო იურიდიულად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩებოდა. მაგრამ 1922 წელს რუსეთმა საქართველოს და სხვა რესპუბლიკებს თავს მოახვია ასეთი ხელშეკრულება, რომ საქართველო არ მოითხოვს საერთაშორისო კონფერენციებში დამოუკიდებლად მონაწილეობას, თავის ხმას რუსეთს აძლევს და აცხადებს, რომ რუსეთმა, როგორც უნდა, ეს ხმა ისე გამოიყენოსო. რა თქმა უნდა, ეს იყო აშკარა შანტაჟის პირობებში ხელმოწერილი ხელშეკრულება.

ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ რუსები თუ კარგად ჩაიხედავენ რუსეთ-საქართველოს ისტორიაში, მათ ბევრი ფაქტის გამო უნდა შერცხვეთ და ასე ამაყად არ უნდა გველაპარაკონ.

**— ჩვენ გვაქვს იმის გამოცდილებაც, რომ რუსისთვის ჩვენი არგუმენტაცია წყლის ნაყვაა. ისინი მაინც თავისას ამტკიცებენ და არც უნდათ, ვინმეს ყური უგდონ. ასეთ შემთხვევაში, აქვს კი აზრი მათთვის ფაქტების წინ დადებას? ამ წიგნში შესული ინფორმაცია, ალბათ, ქართველებს უფრო გამოადგებათ, რათა თავი საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ.**

— რუსი შეიძლება ყველაფერში ჩახედულიც არის, მაგრამ არ თქვას ის, რაც მას ხელს არ აძლევს. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია — ქართველი იყოს უფრო წელგამართული და პირნათელი.

ჩვენ გვინდა ამით დახმარება აღმოვუჩინოთ ქართველ პოლიტიკოსებს, ქართულ დიპლომატიურ კორპუსს, ჟურნალისტებს, რათა მათ ეს წიგნი ცნობარის სახით ჰქონდეთ და ადვილად მოძებნონ ყველა ის ინფორმაცია, რაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობას უკავშირდება.

**— თქვენი წიგნის სათაურიდან გამომდინარე რას ფიქრობთ, რა ურჩევნია საქართველოს — რუსეთთან ერთად ყოფნა თუ ურუსეთოდ?**

— ჩვენს წიგნს ასეთი სათაური, იცით, რატომ დავარქვით? მასში შესული ხელშეკრულებები შინაარსის მიხედვით ორ ნაწილად იყოფა: ერთი, რომელიც გვაკავშირებს რუსეთთან და მეორე, რომელიც გვაშორებს რუსეთს, ანუ რითაც ვიღებთ დამოუკიდებლობას. ვთქვათ, თუ 1801 წლის 12 სექტემბრის აქტის საფუძველზე ჩვენ შეგვიერთა რუსეთმა, 1918 წლის 26 მაისის აქტის თანახმად საქართველო გამოეყო რუსეთს და გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. თუ 1921 წელს საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა, 1991 წლის 9 აპრილის აქტით ჩვენი სუვერენიტეტი აღდგა.

რუსეთთან ერთად თუ ურუსეთოდ? — რაც შეეხება ამ კითხვაზე პასუხს, მე ის, უკვე დიდი ხანია, გაცემული მაქვს. თავად რუსებს აქვთ ასეთი გამოთქმა: — ჩვენ იმის ერთი პროცენტიც ვერ მოგვცა რუსეთმა, რაც წაგვართვა — დამოუკიდებლობა.




ქართველმა ხალხმა ეს თავიდან შეიძლება ვერ გააცნობიერა, მაგრამ შემდეგ კი მიხვდა, რა დაკარგა. არჩილ ჯორჯაძე შესანიშნავად ამბობს: მთელმა მე-19 საუკუნემ დაამტკიცა რუსული სახელმწიფოსადმი ქართველი ერისაგან შეუწყნარებლობა. ანუ, ჩვენ რუსული სახელმწიფოებრიობა ვერასდროს შევიწყნარეთ, ვერ გავხდით რუსეთის მოქალაქეები...

კითხვაზე პასუხიც აშკარაა — რა თქმა უნდა, მირჩევნია ურუსეთოდ.

**— მაგრამ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოს ბევრ პრობლემას შეუქმნის. შეიძლება ხელისუფლება საუბრობს სხვა სახელმწიფოებში გასაღების ბაზრების მოძებნის პერსპექტივებზე, მაგრამ ურუსეთოდ ყოფნა ჩვენი მეწარმეების პროტესტს გამოიწვევს...**

— რა თქმა უნდა, საქართველოსთვის რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა ხელსაყრელია. არსებობს ძველი ტრადიციული ეკონომიკური კავშირები, მაგრამ არსებობს, ასევე, რეალური საფრთხე — რუსეთი ეკონომიკურად საქართველოს არაფერს ასარგებლებს ისე, თუ საგარეო პოლიტიკაში რაღაც არ დაგვათმობინა. ამ შემთხვევაში ჩვენ მოვიყვანთ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ირაკლი ამირეჯიბის სიტყვებს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივასთან დაკავშირებით თქმულს: — ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ გასავალმა არ გადააჭარბოს შემოსავალს.

**— რაც შეეხება იმას, რომ ნაწილობრივ რუსეთის ენერგორესურსებზე ვართ დამოკიდებული, ამითაც ცდილობს რუსეთი ჩვენზე ზეგავლენას. ამ ფაქტორის გამო რამდენად შეგვიძლია ვიყოთ წელგამართულნი?**

— რუსეთს აქვს ასეთი სტრატეგია: გაზპრომს შეუძლია მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკა ერთდროულად დააყენოს კრიზისის წინაშე. იგივე პოლიტიკაა საქართველოს მიმართაც. თუ ჩვენ მოხმარებული გაზის ძირითადი ნაწილი მომავალშიც რუსეთისაგან მივიღეთ, პოლიტიკურ ზეწოლას ვერ ავცდებით. რუსეთი დამთმობი გახდება მაშინ, როცა ის დაინახავს, რომ ჩვენ გვაქვს გაზის მომარაგების სხვა წყაროებიც. ამ თვალსაზრისით, არავითარ გარდატეხას, ჯერჯერობით, არ უნდა ველოდეთ. რუსეთში იმპერიული აზროვნების შეცვლის არანაირი ნიშანი არ ჩანს.

რუსი პოლიტიკოსები თვლიან, რომ 5 საუკუნის მანძილზე, რაც რუსეთმა დაიპყრო, ეს ტერიტორიები რუსეთის უდაო საკუთრებას შეადგენს, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ერები. რუსი პოლიტიკოსები დღეს ისევე აზროვნებენ, როგორც აზროვნებდა 1803 წელს საქართველოს მთავარსარდალი გენერალი პავლე ციციანოვი: „Никогда не было еще примера, чтобы Россияне вышли из той земли, которая названа Российскою губерниею“.

# ჩვენ ვიცით – რა გვინდა ნატოსგან მაგრამ არ ვიცით – რა უნდა ნატოს ჩვენგან



**ლევან სეფისკვერაძე**

ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე სახალხო დიპლომატიის საკითხებში, ჟან ფურნიე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა. როგორც შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა გია ხუბუამ აღნიშნა, უნივერსიტეტს პირველად ესტუმრა ნატოს ასეთი მაღალი რანგის წარმომადგენელი, რაც იმას მიანიშნებს, რომ ნატოსთან ინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული.

ჟან ფურნიეს ლექცია – „ნატოს სახალხო დიპლომატია" მოიცავდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) მოკლე ისტორიას, სტრუქტურას, ფუნქციებს და თანამედროვე ამოცანების მიმოხილვას. ფურნიეს თქმით, ნატოს განვითარებას ახასიათებს ტრანსფორმაცია, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა მსოფლიოს უახლესი ისტორიის სამ ეტაპზე – ცივი ომის პერიოდში, ბერლინის კედლის დანგრევისას და 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. დღესდღეობით, მსოფლიოს წინაშე სამი ძირითადი საფრთხე არსებობს, რაზეც ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს. ეს საფრთხეებია – ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღი და ტრეფიკინგი.

მოხსენების შემდეგ ჟან ფურნიემ სტუდენტთა შეკითხვებს უპასუხა, რომელთა უმეტესობა საქართველოსა და ნატოს დღევანდელ თუ სამომავლო ურთიერთობებს ეხებოდა.

**– რა უნდა გააკეთოს საქართველომ იმისათვის, რომ გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა და რა როლის შესრულება შეგვიძლია ამ პროცესში ჩვენ – ახალგაზრდა თაობას?**

– თქვენმა ქვეყანამ ძირითადად ყურადღება უნდა გაამახვილოს ინტენსიურ მოლაპარაკებებზე ნატოსთან და მის წევრ ქვეყნებთან და შეეცადოს, დააკმაყოფილოს ჩვენი ორგანიზაციის მოთხოვნები. ახალგაზრდებს კი მოგიწოდებთ, ჩაერთოთ აქტიურ დიალოგში სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებთან. სახალხო დიპლომატიას აუცილებლად მოაქვს შედეგი. ჩვენ შეგვიძლია, ასეთი შეხვედრების ორგანიზებაში მივიღოთ მონაწილეობა.

**– წარმოვიდგინოთ, რომ საქართველო უკვე არის ნატოს წევრი ქვეყანა და მას ექმნება საფრთხე სხვა ქვეყნიდან, კერძოდ – რუსეთიდან. რას მოიმოქმედებს ამ შემთხვევაში ნატო, როგორ დაუპირისპირდება რუსეთს, რომელსაც აქვს ბირთვული იარაღი, ფლობს უდიდეს გაზსადენს და ამ ბერკეტებით გავლენას ახდენს ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მთავრობებზე?**

– მე არ მიყვარს პასუხის გაცემა ისეთ შეკითხვებზე, სადაც ფიგურირებს სიტყვა „თუკი". იყო ნატოს წევრი, ან თუნდაც პარტნიორი, ეს უკვე არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი და როგორც ისტორიული მაგალითებით ჩანს, ამით ქვეყნის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია. გარდა ამისა, რუსეთისა და ნატოს ურთიერთობებში მუდმივად არის ცვლილებები უკეთესობისკენ. როცა ნატო შეიქმნა – 1949 წელს, მსოფლიოსთვის მართლაც არსებობდა საფრთხე რუსეთიდან, მაგრამ ამჟამად რუსეთი თანდათან თვითონ ხდება ნატოს ერთერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი. თავის მხრივ ნატოც რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობის მომხრეა.

**– საქართველოში კარგად ესმით, რატომ გვინდა ნატოში გაწევრიანება, მაგრამ რატომ უნდა ნატოს, ჰყავდეს ერთით მეტი წევრი?**

– ნატო არის მშვიდობისა და უსაფრთხოების დამცველი ორგანიზაცია და ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი ქვეყანა იყოს ჩვენი პარტნიორი. თუმცა, ჩვენ არავის ვთხოვთ, მოვიდეს და შემოგვიერთდეს. პირიქით – ჩვენ გვთხოვენ და ამის მერე განვიხილავთ, რამდენად შესაძლებელია ამა თუ იმ ქვეყნის გაწევრიანება ჩვენს ორგანიზაციაში.

**– წინა შეკითხვას უფრო დავაკონკრეტებ: დღეს საქართველოში დაძაბული ვითარებაა, გვაქვს დაკარგული ტერიტორიები და მძიმე სოციალური ფონი. რატომ არის ნატო ასე ძალიან დაინტერესებული, საქართველო მიიღოს თავის წევრად?**

– ნატოს წევრი ქვეყანა არ უნდა იყოს მხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებელი. იგი ამავე დროს უნდა იყოს ნატოს წევრი სხვა ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მონაწილე. საქართველო ახლოსაა იმ კონფლიქტურ რეგიონებთან, საიდანაც მსოფლიოს საფრთხე ემუქრება. ესეც მნიშვნელოვანია ორმხრივი ინტერესებისათვის... დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩემმა პასუხმა დაგაკმაყოფილათ.

**– საქართველოში ამჟამად ორი კონფლიქტური რეგიონია – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. თუკი საქართველომ ვერ გადაჭრა ეს კონფლიქტები, რა შეიძლება შეიცვალოს ნატოსთან ინტეგრაციის მიმართულებით?**

– ნატო დაეხმარება საქართველოს, მაგრამ ეს არის კონფლიქტები, რომლებიც უშუალოდ თქვენმა ქვეყანამ უნდა მოაგვაროს.

**– ტერორიზმის გარდა, რა საფრთხეებია მსოფლიოს წინაშე, რომელთა გადაწყვეტაშიც საქართველოს, ალბათ, მოუწევს მონაწილეობის მიღება, როცა ნატოს წევრი ქვეყანა გახდება?**

– ერთერთი მნიშვნელოვანი საფრთხე 21-ე საუკუნეში ეს არის მასობრივი განადგურების იარაღი. საუბარია არა მარტო ატომურ და ქიმიურ, არამედ ბიოლოგიურ იარაღზეც, რითაც შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა მძიმე დაავადებები. ამ შემთხვევაში ჩვენი მთავარი მიზანია, ვაწარმოოთ მოლაპარაკებები, მაგრამ სამწუხაროდ, მასობრივი განადგურების იარაღი ზოგჯერ ისეთ ქვეყანას და ისეთ ხალხს აქვს, რომელთანაც მოლაპარაკება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ნატო არ არის ორგანიზაცია, რომელიც სხვადასვა ტიპის დაავადებების წინააღმდეგ იბრძვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტრეფიკინგის პრობლემა. რომელიმე ქვეყანაში შეიძლება ეპიდემია გავრცელდეს, ადამიანებმა დატოვონ თავისი საცხოვრებელი ადგილი და უკონტროლოდ გადავიდნენ სხვა ქვეყნებში, სადაც არ იქნებიან დაზღვეულნი, რომ გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი.

ასევე საყურადღებოა არასტაბილური ქვეყნების პრობლემები, სადაც ხშირად არის გამოსვლები და უმეტეს შემთხვევაში ჩვენი მთავარი ამოცანაა, ასეთი ქვეყნების მოხელეებმა და სამხედროებმა გაიარონ ტრეინინგები მართვის სფეროში. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ადამიანები, რომლებიც პროტესტს გამოხატავენ, კი არ დახოცონ, არამედ დაიცვან. როდესაც სადღაც ომია და მიზანი არის მშვიდობის დამყარება, იქ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მკვლელობა. ამიტომ არასტაბილური ქვეყნების სამხედროებს ვცდილობთ, ტრეინინგებით ავუხსნათ, როგორ მოახდინონ რეაგირება საპროტესტო გამოსვლებზე.

# ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სემესტრული გამოცდები ტესტირებული ფორმით ჩატარდა

მე-5 გვერდიდან

რა თქმა უნდა, გამოცდებს ხარვეზების გარეშე არ ჩაუვლია. პრობლემები იყო ტესტების შედგენის პროცესში. მათი გარკვეული ნაწილი არ შეესაბამებოდა იმ პროგრამას, რომლითაც სტუდენტი სემესტრის მანძილზე სწავლობდა.

ამ ეტაპზე ამ პრობლემის მთლიანად მოგვარება ვერ მოხერხდა. ხარვეზად შეიძლება ისიც ჩაითვალოს, რომ, მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, ზოგიერთმა ლექტორმა ტესტები წინასწარ გააცნო სტუდენტებს. ამის გამოსასწორებლად მოვიფიქრეთ ასეთი ფორმა – მეორე სემესტრული გამოცდების ჩატარებამდე, ლექტორს აღარ აეკრძალება ტესტების გადაცემა, იმ შემთხვევაში, თუ რაოდენობრივად იქნება იმდენი, რომ სტუდენტმა ვერ შეძლოს მათი დაზეპირება.

მიუხედავად მეთვალყურეების და თითოეული ჩვენგანის მცდელობისა, დაფიქსირდა გადაწერის შემთხვევები.

ყველა ამ ხარვეზის გაანალიზება გამოცდების დამთავრებისთანავე მოხდა. უკვე დაიწყო მუშაობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება შემდგომ სემესტრში ნაკლოვანებების გამოსწორება. გარკვეული ჯგუფი აქედანვე შეუდგა მუშაობას. მომავალში ტესტები მოთავსდება კომპიუტერში და ტესტირება კომპიუტერების საშუალებით მოხდება.

ნიშანდობლივია, რომ პირველ და მეორე კურსის სტუდენტებს გაცილებით უკეთესი შედეგები ჰქონდათ, ვიდრე მაღალკურსელებს. ეს განაპირობა იმან, რომ მათთვის ტესტირება უცხო არ იყო, თანაც პირველ კურსზე გაცილებით დახვეწილი პროგრამებია.

და კიდევ, შეფასების 100-ქულიანი სისტემის პირობებიდან გამომდინარე, თუ სტუდენტი გამოცდებამდე და გამოცდის ჩათვლით დააგროვებს 51-ზე მეტ ქულას, ეწერება ნიშანი, თუ მიიღებს 41-დან 51 ქულამდე, ამ შემთხვევაში მას ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. თუ ის მინიმუმი ქულები არ მიიღო რაც სავალდებულოა, შესაძლოა კურსიდან კურსზე გადავიდეს, მაგრამ საგანი უნდა გაიაროს თავიდან.

იმ სტუდენტთათვის, ვინც ვერ დააგროვა სათანადო ქულები, დამატებით გამოცდებს, მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში ჩავატარებთ. დამატებით გამოცდაში სტუდენტი თანხას არ იხდის.

# მემორანდუმი თსუ-სა და ბიოფიზიკის ინსტიტუტს შორის



5 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმში ნათქვამია, რომ მხარეები ხელს შეუწყობენ ურთიერთობათა განვითარებას ბიოლოგიური ფიზიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის მიმართულებით განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში და ითანამშრომლებენ ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი ვალდებულებას იღებს, შეასრულოს საბაზო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების როლი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ეტაპზე, დოქტორანტურის დონეზე კი შესაბამისი სამეცნიერო ბაზით უზრუნველყოს დოქტორანტები. უნივერსიტეტის სტუდენტებს და პროფესორებს, აგრეთვე, საშუალება ექნებათ, ისარგებლონ ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკით.

,,მნიშვნელოვანია ინსტიტუტის ხელმძღვანელობის სოლიდარული განწყობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, რადგან ასეთი ინტეგრაცია და მჭიდრო თანამშრომლობის მიმართულება საქართველოში უკვე საერთო-მეცნიერული პოლიტიკის ნაწილია. ამ თანამშრომლობით მოგებული დარჩება ყველა დაინტერესებული მხარე", – განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მემორანდუმის გაფორმებისას.

უნივერსიტეტის რექტორმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სტუდენტთა მობილობის თემაზე და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამებით განსაკუთრებით წახალისდნენ სტუდენტები.

თავის მხრივ, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ნოდარ სურგულაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა პირადი კონტაქტების მეტი აქტიურობით გამოყენება, რათა სტუდენტებს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სწავლის მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ: ,,ჩვენი პატარა ინსტიტუტიდან საზღვარგარეთ 24 მეცნიერი მოღვაწეობს. ჩემი აზრით, თსუ-მ და ჩვენმა ინსტიტუტმა მათ უნდა მისცეს მყარი გარანტია, რომ ისინი დაბრუნდნენ საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება სამშობლოს მოახმარონ".

**თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**



# თსუ-მ ნევროლოგიის ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა

16 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს შორის ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

შეთანხმების თანახმად, მხარეები წაახალისებენ ურთიერთობათა განვითარებას ნეირომეცნიერებათა მიმართულებით განათლებასა და მეცნიერული კვლევის სფეროში და ითანამშრომლებენ ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

ნევროლოგიის სამეცნიერ-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას თქმით, ცენტრი ნეირომეცნიერებათა თეორიისა და პრაქტიკის დარგში უნივერსიტეტისთვის ერთერთი საბაზო საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება იქნება: – „ინსტიტუტს გააჩნია ულტრათანამედროვე აპარატურა, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს, იმუშაონ თანამედროვე, ნატიფი მეთოდიკით არა მარტო მაგისტრატურის დონეზე, არამედ ბაკალავრების მომზადებაშიც გარკვეულ წვლილს შეიტანს".

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მხარდაჭერა გამოხატა ასეთი წამოწყების მიმართ და ცენტრის ხელმძღვანელობას ახალგაზრდა კადრებით მომარაგება აღუთქვა: – „ეს მემორანდუმი ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის ძალიან კარგ პერსპექტივას გვპირდება. ჩვენი შეთანხმების გაფორმება განსაკუთრებით მიხარია იმ მხრივ, რომ ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ბატონი ვაჟა ოკუჯავა არის თსუ-ს ყოფილი რექტორი, ამჟამინდელი რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი და მას მისაბაძი სოლიდარული განწყობა აქვს უნივერსიტეტისადმი".

**თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

# სტუდენტების რეზერვისტებად გაწვევა 31 მარტს დაიწყება

## რეზერვისტთა ბანაკში სტუდენტებს ,,კარგ პონტს" ჰპირდებიან

**მანანა ჯურხაძე**

14 მარტს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მეოთხეკურსელ ვაჟ სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა. სტუდენტებმა, რომელთაც 18-დღიანი სამხედრო ვალდებულების შესრულება ევალებათ, დარეგისტრირება ამავე დღეს დაიწყეს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის სარდლობამ ახალგაზრდებს დაწვრილებით გააცნო 18-დღიანი სამხედრო მომზადების პრინციპები და მიზნები, კვალიფიციური და ამომწურავი პასუხები გასცა დასმულ შეკითხვებს. წვევამდელებს შეხვდა ქალაქის მერი გიგი უგულავაც. მომავალ რეზერვისტებთან შეხვედრას თსუ რექტორი გიორგი ხუბუა და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ. მათი აზრით, ეს პროგრამა მნიშვნელოვანია და დროული იმ გაგებით, რომ ახალგაზრდებში სამშობლოს სიყვარული უფრო მეტად გაღრმავდეს და ისინი ფიზიკურად გაჯანსაღებულები დაუბრუნდნენ უნივერსიტეტს.

შეკრებილ საზოგადოებას გიორგი ხუბუა მიესალმა და ახალგაზრდებს მიმართა: — ამ ღონისძიების მიზანია, სტუდენტებს ავუხსნათ, თუ რას წარმოადგენს სარეზერვო სამსახური და რამდენად მნიშვნელოვანია იგი თითოეული ადამიანისათვის. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, პირველ ეტაპზე დაგვეკმაყოფილებინა ყველა მეოთხეკურსელი. გარკვეული პრობლემა შეგვიქმნა იმან, რომ უნივერსიტეტში წელს დამამთავრებელ კურსზე 1000-მდე სტუდენტი სწავლობს და, ბუნებრივია, ამ ეტაპზე რეზერვისტად ყველას ერთად გაშვება შეუძლებელია. ამჯერად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეირჩა 500-მდე სტუდენტი. მომდევნო ეტაპისთვის ვეცდებით მთლიანი კონტინგენტი დავაკმაყოფილოთ. მოხარული ვარ, რომ დღეს უნივერსიტეტში სუფევს პატრიოტული განწყობა და ის სულისკვეთება, რაც ამ ახალ ინიციატივასთან არის დაკავშირებული, — აღნიშნა შეხვედრაზე თსუ რექტორმა გიორგი ხუბუამ.

ქალაქის მერმა გიგი უგულავამ სტუდენტებს მოქალაქეობრივი ვალის შესრულებისკენ მოუწოდა: — ჩვენს სახელმწიფოს აკისრია გარკვეული პასუხისმგებლობა და მოვალეობა. არამც და არამც არ უნდა დაირღვეს ბალანსი პასუხისმგებლობასა და მოვალეობას შორის. სახელმწიფო პასუხისმგებელია, რომ ქვეყანა იყოს ერთიანი და ძლიერი, განვითარდეს ეკონომიკა, დაასაქმოს ადამიანები, თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს ცხოვრების კარგი პირობები, განათლების მიღების შესაძლებლობა და ა.შ. თითოეული ადამიანის მოქალაქეობრივი ვალდებულებაა, იყოს პასუხისმგებელი საკუთარი თავისა და ქვეყნის წინაშე. ერთერთი ვალდებულებაა ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა და ამაზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღება. ქვეყნის სიძლიერე დაკავშირებულია ძლიერ, შრომისუნარიან საზოგადოებასთან.

ჩვენ არც იმის ილუზია გვაქვს, რომ სარეზერვო სისტემიდან სრულფასოვანი ჯარი ჩამოყალიბდება. ამ იდეის მთავარი არსი მასში მონაწილე ადამიანების მუდმივი მზაობაა, რომ საკუთარ ქვეყანას ემსახურონ. დღეს, ბევრად უფრო მეტია ამის მსურველი, ვიდრე ეს შეიძლებოდა, ჩვენ წარმოგვედგინა.



ვფიქრობ, რეზერვისტად წასვლა ახალგაზრდა ადამიანისთვის მიმზიდველი პერსპექტივაა. მერწმუნეთ, 18 დღის შემდეგ იგრძნობთ, რომ თითქოს უცებ გაიზარდეთ. იმასაც გააცნობიერებთ, რომ ქვეყნის წინაშე გაქვთ ვალდებულება. ეს კი საკუთარი უპირატესობის დამტკიცების საუკეთესო საშუალებაა.

მთავარია, თითოეულმა საკონტრაქტო ჯარისკაცმა იცოდეს, რომ მის უკან დგას საზოგადოება, და თუ გვინდა, ვიყოთ გამარჯვებულები, უნდა ვიყოთ ძლიერნი. სიძლიერე არ ნიშნავს, რომ მაინდამაინც იომო, მაგრამ უნდა იყო ძლიერი, რომ პატივი გცენ. ეს კი ბევრს ნიშნავს. სახელმწიფოს სიძლიერის ატრიბუტიკა ძლიერი ჯარია, რომელსაც თქვენი მხრიდან ძლიერი თანადგომა ჭირდება, რაც ძლიერი რეზერვის შექმნით გამოიხატება. ამიტომ ვთვლი, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ წამოწყებული ინიციატივა მნიშვნელოვანია.

მერწმუნეთ, სტუდენტი, რომელიც რეზერვისტად წავა, ნამდვილად არ ინანებს. თქვენივე ტერმინი რომ ვიხმარო, ეს მართლა „კარგი პონტი" იქნება. გპირდებით, პროგრამა კარგად ორგანიზებული და წარმატებულია, ამიტომ თითოეულ თქვენთაგანს იქ გატარებული დღეები მთელი ცხოვრება ემახსოვრება. როდესაც დაბრუნდებით, მიხვდებით, რომ სხვა ადამიანები ხართ. თქვენი ოჯახის წევრებს, მეგობრებს, შეყვარებულს დიდხანს მოუყვებით იქ გატარებული დღეების შესახებ, — განაცხადა გიგი უგულავამ.

გვარდიის სარდალმა ნიკა ჯანჯღავამ სტუდენტებს გააცნო „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" კანონით განსაზღვრული სამხედრო-სარეზერვო სამსახურის საქმიანობა და პირობები. პროგრამის ფარგლებში პირველი გაწვევა 31 მარტს დაიწყება. ის რეზერვისტები, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას, ვალდებულები არიან გამოცხადდნენ 28 მარტს 12 საათზე თსუ-ს სააქტო დარბაზში, 31 მარტს კი 10 საათზე შეიკრიბებიან თსუ-ის პირველი კორპუსის წინ. სტუდენტებმა თან უნდა იქონიონ პირადობის მოწმობა და მისი ასლი; სამხედრო ბილეთის (ან მიწერის მოწმობა) ასლი; სურათი 3X4-ზე — 2 ცალი. ასევე, კანონით ნებადართული პირადი სარგებლობის ნივთები. გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტი დაისჯება როგორც დეზერტირი.

### რით არის მიმზიდველი სტუდენტებისთვის რეზერვისტთა გაწვევის პროგრამა

**გიორგი გამეზარდაშვილი**, იურიდიული ფაკულტეტის მეოთხეკურსელი:

— როგორც გვარდიის სარდალმა აგვიხსნა, იმ შემთხვევაში, თუ 18-დღიან სამსახურს არ გავივლით, მაშინ სამხედრო ბილეთის აღება 18-თვიანი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი — ეს პროგრამა ამითაც არის მიმზიდველი. მართალია, გაცდენილი საათები საპატიოდ ჩაგვეთვლება, მაგრამ მაფიქრებს, როგორ მოვასწრებ საჭირო რაოდენობით კრედიტების დაგროვებას?

**გიორგი ცანკაშვილი**, მედიცინის ფაკულტეტის პირველკურსელი:

— მერის სიტყვებმა ჩემზე დადებითად იმოქმედა, საკუთარი თავის რწმენა შემმატა, მზად ვარ წავიდე, რადგან ეს ჩემი ქვეყნის სიძლიერეს სჭირდება.

**ალექსანდრე იაშვილი**, იურიდიული ფაკულტეტის მეხუთეკურსელი:

— ვარ თელავიდან, ძალიან მინდოდა პირველ გაწვევაში მოხვედრა, რადგან თითქმის ყველა ჩემი მეგობარი 31 მარტს მიდის, მაგრამ, სამწუხაროდ, სიაში არ ვარ. შემპირდნენ, რომ გაითვალისწინებენ ჩემს სურვილს და შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილებენ ჩემს მოთხოვნას. ვნახოთ...

**თამთა ანდრიაძე**, ჰუმანიტარული ფაკულტეტის მესამეკურსელი:

— ადრე სამხედრო კათედრა გოგონებს მედდის კვალიფიკაციას ანიჭებდა. ახლა თავს დაჩაგრულებად ვგრძნობთ, იქნებ მომავალში ჩვენც ჩაგვრთონ პროგრამაში. გაწვევა ნუ იქნება სავალდებულო. წავიდეს ის, ვისაც ამის სურვილი აქვს.

### მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს

*როგორც აღმოჩნდა, რეზერვისტად გასაწვევ სტუდენტთა რეგისტრაციის პროცესი ჭიანურდება. სტუდენტები სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ, რის გამოც მათ, ამ ეტაპზე, არ შეუძლიათ რეზერვისტთა შეკრების გავლა. ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო საკითხთა კოორდინატორს გია სახვაძეს.*

— ამ ეტაპზე კოორდინაციას ვუწევ რეზერვისტთა რეგისტრაციას. თავდაპირველად შედეგებით კმაყოფილი არ ვიყავი. მიუხედავად უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დიდი ძალისხმევისა, რომელიც გვარდიის სარდლობამ დადებითად შეაფასა, სტუდენტთა აქტივობა არ შეიმჩნეოდა. გასაწვევ სტუდენტთა გარკვეულმა ნაწილმა, სხვადასხვა საპატიო მიზეზის გამო, უარი განაცხადა რეზერვისტთა შეკრების გავლაზე. ამიტომ მიმაჩნია, რომ ბევრი რამ საფუძვლიანად შესასწავლი და დასახვეწია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს „ახალი ხილია", მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ერთს კი დანამდვილებით ვიტყვი, მომდევნო ეტაპისათვის, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, რეზერვისტ სტუდენტთა კატეგორიების დამტკიცების შემდეგ, ჩვენმა სამსახურმა უნდა შეისწავლოს თითოეული სტუდენტის მდგომარეობა და გადააფასოს ეს ინფორმაცია.

*ბიუჯეტი*

# წელს ბიუჯეტიდან სტუდენტური თვითმმართველობა დაფინანსდა

*უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სტუდენტურ თვითმმართველობას დიდი ნდობა გამოუცხადა და 2007 წლის ბიუჯეტიდან საკმაოდ სოლიდური თანხა — 250 000 ლარი გამოუყო.*

*საფინანსო დეპარტამენტის უფროსის მურმან ცარციძის განმარტებით, ეს გადაწყვეტილება ხელმძღვანელობამ ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით მიიღო:*

მურმან ცარციძე:

**— 2007 წლის ბიუჯეტში, სხვა სიახლესთან ერთად, სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებაც განისაზღვრა. საუნივერსიტეტო ფონდმა მათ გამოუყო გარკვეული თანხა, რაც საშუალებას მისცემთ, წინასწარ დაგეგმონ მნიშვნელოვანი ღონისძიებები. წინა წლებში ეს პროცესი სტიქიური, არაორგანიზებული და ქაოტური იყო. ახლა სტუდენტთა თვითმმართველობას საკუთარი ბიუჯეტი აქვს. მათი ყველა გადაწყვეტილება შეთანხმებული იქნება ადმინისტრაციასთან. წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში დეტალურად იქნება დასაბუთებული, თუ რისთვის უნდა დაიხარჯოს თითოეული ლარი. განხორციელებული ღონისძიებები საუნივერსიტეტო საქმიანობის ფარგლებში უნდა ჯდებოდეს.**

სტუდენტური თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, ბიუჯეტის თანხა სამ წამყვან დეპარტამენტზე გადანაწილდა. ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, როგორ დაგეგმეს მათ საუნივერსიტეტო ღონისძიებები.

განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვახტანგ ლომჯარიამ დეპარტამენტის გეგმები გაგვაცნო:

**— ჩვენ გამოვკვეთეთ გარკვეული პრიორიტეტები. ესენია: სტუდენტთა სამეცნიერო საუნივერსიტეტო და რესპუბლიკური კონფერენციები. დაგეგმილი გვაქვს უნივერსიტეტის მასშტაბით დაახლოებით 23 კონფერენციის ჩატარება. ასევე, ორგანიზებას გავუწევთ ორ მნიშვნელოვან სერთაშორისო კონფერენციას, ერთი მათგანი მიეძღვნება გლობალიზაციის თემას. მასში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ეს თემა შემთხვევით არ აგვირჩევია. გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია და მისი არსი აინტერესებს ყველა პროფესიის ადამიანს: იურისტებს, ჟურნალისტებს, სოციოლოგებს... ამ ღონისძიებისთვის 13 ათასი ლარია გამოყოფილი.**

**ასევე დაგეგმილი გვაქვს ჩვენი ბიუჯეტიდან გამოვყოთ დაფინანსება სტუდენტებისთვის, რომლებიც ჩვენ მიერ ორგანიზებულ კონკურსებში მიიღებენ მონაწილეობას. პირველ და მეორე ადგილზე გასულთ კი ნაწილობრივ დავაფინანსებთ ძვირადღირებულ სემინარებზე გასაგზავნად.**

**ასევე, ერთერთ პრიორიტეტად რჩება ინტელექტუალური თამაშების ორგანიზება. უნივერსიტეტში ინტელექტუალური აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით დაგეგმილი გვაქვს საერთაშორისო კონფერენციის მოწყობა. ასევე ვაპირებთ გავმართოთ საპარლამენტო დებატების ტურნირი.**

**განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი გეგმავს შექმნას სტუდენტური დასაქმების ცენტრი. პროექტი უკვე განიხილება ადმინისტრაციაში. ასევე გათვალისწინებულია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ასოციაციის შექმნა, რომლის დამფუძნებლებად წარმატებული ბიზნესმენები და მინისტრები მოიაზრებიან, ისინი თვითონაც იზრუნებენ, დაასაქმონ სტუდენტები.**

**ასე რომ, მე და ჩემი მეგობრები მაქსიმალურად შევეცადეთ დეტალურად დაგვესაბუთებინა გაწერილი თანხების მიზნობრიობა. თითოეული პროექტის პრეზენტაციაზე კი ჩამოვაყალიბებთ, თუ რატომ არის ესა თუ ის ღონისძიება აქტუალური. ჩვენ მოვუწოდებთ სტუდენტებს, მოგვაწოდონ თავიანთი იდეები, შენიშვნები და სურვილები. ყველა საინტერესო შემოთავაზებას განვიხილავთ და სარეზერვო ფონდიდან დავაფინანსებთ. კარგი პროექტისთვის სპონსორის მოძებნაც არ არის პრობლემა.**

გეგმები სტუდენტური თვითმმართველობის კულტუტის დეპარტამენტის თავმჯდომარე თეონა ჭალიძესაც აქვს. მისი აზრით, სტუდენტებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ადმინისტრაციამ მათ ნდობა გამოუცხადა:

**— ფინანსების მიზნობრივი ხარჯვა უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. სტუდენტებს ჯერ კიდევ ახსოვთ ის დრო, როდესაც ამ პრივილეგიით მხოლოდ მცირე ჯგუფი სარგებლობდა. ეს აღარ უნდა განმეორდეს.**

**ფინანსების დიდი ნაწილი განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის პროექტების განხორციელებას მოხმარდება. ასევე, მრავალ საინტერესო ღონისძებას განახორციელებს კულტურის დეპარტამენტი. მათ შორის: ტრადიციულ სტუდენტურ დღეებს, კარნავალებს, მხიარულთა და საზრიანთა კლუბის კონცერტებს,... ასევე გაიმართება ყოველკვირეული შეხვედრები საზოგადო მოღვაწეებთან, შემოქმედ სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენები, ლიტერატურული კონკურსები, საქველმოქმედო საღამოები. პერმანენტულად განხორციელდება ანტინარკოტიკული აქციები, აღვნიშნავთ მნიშვნელოვან საერთაშორისო თარიღებს. სიახლე იქნება: ქართული საბრძოლო ხელოვნების დღეები, საქართველოს დღეები, მის სტუდენტი—2007, რომელიც რესპუბლიკის მასშტაბით გაიმართება. ბევრი რამ კი სიურპრიზი იქნება ჩვენი სტუდენტებისთვის.**

**17 მაისს აღვნიშნავთ სტუდენტური თვითმმართველობის დაბადების დღეს, სადაც წარვადგენთ წლიურ ანგარიშს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება, თუ რა გავაკეთეთ მთელი წლის განმავლობაში. ასე გაგრძელდება მომავალშიც.**

იდეების ნაკლებობას არც სპორტის დეპარტამენტი უჩივის. მისი ხელმძღვანელის ირაკლი ხარჭევანიძის თქმით, საჭიროა უნივერსიტეტში აღორძინდეს სპორტული ცხოვრება, ამის რესურსი სტუდენტებში ნამდვილად არის.

**— ჩვენი სურვილია, ჩამოვაყალიბოთ ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ფეხბურთის გუნდები, მონაწილეობა მივიღოთ სხვადასხვა ასპარეზობებში და ჩემპიონატებში. დეპარტამენტი უზრუნველყოფს ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დაგეგმილი გვაქვს აქცია-მარათონი. ასე რომ, შევეცდებით, სტუდენტთა ჯანსაღ ცხოვრებაზე ვიზრუნოთ.**

# რად გვინდა სხვისი ნაპატრონევი ქვეყანა

**შურთხია ბეროშვილი**

უნივერსიტეტში ახალგაზრდების საყვარელი მწერლის ოტია იოსელიანის სტუმრობა ტრადიციად იქცა. ამჯერად შეხვედრა განსხვავებული ფორმატით წარიმართა. თსუ „სტუდენტთა დემოკრატიულმა ლიგამ" და გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ" დარბაზში შეკრებილ სტუმრებს სიურპრიზი დაახვედრეს.

გამომცემლობა „საქართველოს მაცნემ" ქართველ მკითხველს ფასდაუდებელი საჩუქარი — ოტია იოსელიანის ათტომეულის გამოცემა უძღვნა, თსუ-ში გაიმართა უკვე გამოცემული ექვსტომეულის პრეზენტაცია.

„სამოცდახუთმეთი წელი, შვიდნახევარი ათეული, დღე-მიწა-ხარ-კაკეული, ღამე-თეთრად გათეული, ვერ ვახარე, ის, რაც დავრგე, სამშობლო ვერ დავიბრუნე, რგებით ვერაფერი ვარგე, თუმც ძაღლურად ვუერთგულე", — ამ ლექსით იწყება მისი პირველი ტომი.

ნაცნობი, საყვარელი პორტრეტი და სიტუაცია: დაკოჟრილ, ნაჯაფ ხელში გაჩრილი გრძელი ყალიონი ბოლავდა და ბატონი ოტია, თავისი ჩვეული არტისტიზმით და იუმორით ყვებოდა საკუთარი შემოქმედებითი გზის ლაბირინთებზე. სტუდენტები სუნთქვაშეკრულნი უსმენდნენ „ზღაპრად გაუგონარ ზღაპრებს", ვითომდა, ამ საოცარმა კაცმა ქართული წესიერად არც კი იცოდა და აგერ სიბერეში ძლივს ისწავლა სამიანზე. ახალგაზრდობაში სამხატვრო აკადემიაში მოუნდომებია ჩაბარება — ვითომ ვხატავდი მე გაჭირვებულიო. მოსამზადებელზე იმიტომ დატოვეს — გვაცინებსო. შემდეგ ხატვაში კი მივიღე ოთხი, მაგრამ ქართულში ჩავიჭერიო. გაბრაზებულმა, იმავე წელს გაზეთ „ნორჩ ლენინელში" გამოვაქვეყნე მოთხრობა იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული სამიანზე ვიცოდიო.

მწერალი თსუ-ს სხდომათა დარბაზში შეკრებილ სტუდენტებს არწმუნებდა, ათტომეული კი გამოვეცი, მაგრამ ქართული ისევ სამიანზე ვიციო. გაუფრთხილდით ენას — ის ერის სულია! — აფრთხილებდა ოტია ახალგაზრდობას.

პირველ ტომში მწერლის მიერ მოთხრობილი ბიოგრაფია და ნოველებია თავმოყრილი, რომელსაც „ასავალ-დასავალი" ჰქვია. ოტია იოსელიანის მრწამსს და ცხოვრების წესს პირველივე სტრიქონებიდანვე ეზიარება მკითხველი: „ვწერ და ვწერ. ვაშენებ. ვთოხნი, ვამყნი ვაზს... სახლიდან რომ გამოვდივარ, კარს ღიას ვტოვებ — დასაკარგი არაფერი გამაჩნია, არც მინდა. ვკითხულობ და თვალის კაკლებში ვუყურებ ჩემს ხალხს, რა სტკივა, რა უხარია. მიყვარს და ვწერ ნოველებს, მოთხრობებს, საბავშო-სადიდოს, ამბავს, რომანს, პიესას, სცენარს, ზღაპარს, მაგრამ მართალს, ჩემი თვალით ნანახს, ჩემს ზურგზე გადავლილს, ან მთლად სანდო კაცისგან გაგონილს. ვწერ და ვწერ"....

ოტია იოსელიანი ამ საღამოსაც, როგორც ყოველთვის, ქვეყნის პრობლემებზე და საწუხარზე ლაპარაკობდა. შეფარული სარკაზმით და ამასთან სიყვარულით მან ახალგაზრდობას მოუწოდა, ეპატრონათ თავიანთი ქვეყნისთვის, მიეღოთ მართლაც ისეთი განათლება, უნივერსიტეტს რომ შეჰფერის. — დედიკოსი და მამიკოსი აღარ ხარ, არამედ შენს ქვეყანას ეკუთვნი. ჩვენი წინაპარი ბრძოლაში სასიკვდილოდ მიდიოდა — ვალი ჰქონდათ ქვეყნის და იმიტომ. შენ უნდა უპატრონო — რად გვინდა სხვისი ნაპატრონევი ქვეყანა, შენს თავზე მხოლოდ შენ უნდა აგო პასუხი, — განაცხადა მწერალმა.

პრეზენტაციაზე, ექვსტომეულის გარდა, სტუდენტებმა დააჭაშნიკეს ცალკე წიგნად გამოცემული „ზოგი რამ სიბრძნისა", რომელშიც თავმოყრილია ოტია იოსელიანის აზრები. „ვინც ამბობს, უძილობა არ მაწუხებსო, იმას თავისი ქვეყანა არ უყვარს!", „ადამიანი უბედურია, რომ ფრთები არ დაჰყვა, მაგრამ ბედნიერია ის, ვისაც ფრენის სურვილი არ ასვენებს", „ვარსკვლავი რომ დაინახო, მაღლა უნდა იყურებოდე"...

ოტია იოსელიანის ყანიდან კი საოცრად კარგად ჩანს ვარსკვლავებით გადაჭედილი ცა... მწერლის ოსტატობა კი იმაშია, ეს ცა და ვარსკვლავები შენც დაგანახოს. ამას ნამდვილად ახერხებს ოტია — ბავშვობიდან ღრმად მოხუცებულობამდე შეგიძლიათ მას უსმინოთ. მისთვის შემოქმედება ღვთისგან ნასესხები სიტყვაა, რადგან „შემოქმედი — თვით ღმერთია!"



# კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია ამოუწურავია



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ეთნოლოგიის მიმართულების პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გამგე, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **როლანდ თოფჩიშვილი** სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი მკვლევარია. იგი თექვსმეტი წიგნის და ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

როლანდ თოფჩიშვილის — „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია" — პირველი წიგნია ქართულ ენაზე, რომელშიც განხილულია კავკასიის ხალხების ეთნოგენეზისისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები. დახასიათებულია მათი ტრადიციული კულტურა (ყოფა, წესჩვეულებები).

სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნოლოგიის კაბინეტში გამართულ წიგნის პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ დღემდე არ არსებობდა ქართულენოვანი ლიტერატურა, რომელშიც ერთად იქნებოდა თავმოყრილი ინფორმაცია კავკასიელი ხალხების შესახებ.

ეთნოლოგიური მუზეუმის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნოდარ შოშიტაიშვილმა აღნიშნა, რომ წიგნის მთავარი ღირსება არსებული რეალობის ობიექტურად გადმოცემაა. ,,ყველასათვის ცნობილია, რამდენად რთულ ეპოქაში ვცხოვრობთ, სამოცდაათმა წელმა უკვალოდ როდი ჩაიარა. სამწუხაროდ, ისე აღმოჩნდა, რომ ჩვენი გენეტიკური ძმები, სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. როდესაც წიგნს გავეცანი, დავრწმუნდი, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იცის. ჩვენ, კავკასიელებს, ერთი სოციალურ-კულტურული ფესვები გვაქვს და ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან. არ შეიძლება ამდენი საუკუნის თანაცხოვრება დაიკარგოს. კარგი იქნება, თუ ჩვენი პოლიტიკოსებიც გაეცნობიან ამ წიგნს. აქ ამომწურავად არის განხილული ისტორიული პარალელები, რომლის გათვალისწინება აუცილებელია ამ ხალხებთან ურთიერთობაში. გარდა ამისა, ახალ თაობაში შესამჩნევია, რომ ისტორიული წარსული აღარ მუშაობს. ეს წყვეტილი ურთიერთობები აღსადგენია და იმედი მაქვს, ეს სახელმძღვანელო მომავალ თაობას ამ მიმართულებით ძალიან დაეხმარება," — განაცხადა ნოდარ შოშიტაიშვილმა.

პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ ქართული სახელმწიფოს ვალია კავკასიაში მცხოვრები ხალხები, რომელთა უნიკალური კულტურა საკაცობრიო საგანძურის კუთვნილებაა, მომავალშიც მეცნიერული შესწავლის საგნად აქციოს. საქართველოს მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება საშუალება კავკასიაში მიმდინარე პროცესები პროგნოზირებადი გახადოს. წიგნი კავკასიის რეგიონით დაინტერესებული ყველა ადამიანისათვის საინტერესოა, რადგან მასში მოცემულია კავკასიის ხალხების ირგვლივ დაგროვილი ეთნოლოგიური ცოდნა. ყოფითი რეალიების სრული დახასიათების გარდა, წარმოდგენილია 50-მდე კავკასიელი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ არსებული თეორიები და ეთნიკური ისტორიის ეტაპები.

წიგნი განკუთვნილია უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრისთვის. როგორც სახელმძღვანელოს ავტორი თვლის, ამ სფეროში კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რადგან კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია ამოუწურავია.

*მეცნიერი*

# მსოფლიო კარტოგრაფიის ერთერთი ფუძემდებელი



ცნობილი რუსი გეოგრაფ-კარტოგრაფი კონსტანტინე სალიშჩევი (1905-1987) საქართველოს მეგობართა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელთა კეთილგანწყობას ჩვენი ქვეყნის მიმართ პოლიტიკური ამბიციები ვერას აკლებს. მან ჩაუყარა საფუძველი ქართველ და რუს გეოგრაფთა სამეცნიერო და მეგობრულ ურთიერთობებს, რომელიც, მიუხედავად ორ ქვეყანას შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობისა, დღესაც გრძელდება.

ვინ იყო კონსტანტინე სალიშჩევი?

ის გახლდათ მსოფლიო კარტოგრაფიის ერთერთი ფუძემდებელი, რომელმაც მოღვაწეობა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო. მისი პირველი ნაბიჯები გეოგრაფიასა და კარტოგრაფიაში გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული - 1926-1934 წლებში იგი ს. ობრუჩაევთან ერთად იკვლევდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთიან სისტემებს და მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარე ექსპედიციების დროს ტაიგის ჭაობებსა და მთებში ათიათასობით კილომეტრი გაიარა.

კონსტანტინე სალიშჩევი ითვლება კარტოგრაფიის თეორიის ერთერთ ფუძემდებლად - ხელმძღვანელობდა კარტოგრაფიულ სამუშაოებს მსოფლიოს დიდ ატლასზე, მუშაობდა ოკეანეების ატლასის სამტომეულის შედგენაზე, ხოლო მსოფლიოს ფიზიკური გეოგრაფიული ატლასის შექმნა მთლიანად დაკავშირებულია მის სახელთან.

ღრმა მეცნიერული ერუდიციისა და კეთილშობილური თვისებების გამო კონსტანტინე სალიშჩევს კოლეგები და სტუდენტები პატივს სცემდნენ. მეცნიერული მოღვაწეობის პარალელურად იგი მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა: 1947-54 წლებში იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, ხოლო 1954-60 წლებში ხელმძღვანელობდა ამავე უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტს, რომელიც უძლიერესად მიიჩნეოდა მსოფლიოს მასშტაბით.

მნიშვნელოვანი მეცნიერული მიღწევებისა და დიდი ავტორიტეტის გამო პროფესორი სალიშჩევი არჩეული იყო კარტოგრაფიის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტად, ვიცე-პრეზიდენტად (1964-1968), სერბიის (1960), კოლუმბიის (1968), შოტლანდიის (1964-68), პოლონეთის (1968), ბულგარეთის (1977) უნივერსიტეტების საპატიო წევრად, ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საპატიო დოქტორად.

კონსტანტინე სალიშჩევი აქტიურად თანამშრომლობდა იუნესკოსთან, რადგან მისთვის დამახასიათებელი იყო ახლის ძიებისა და პროგრესული იდეების პრაქტიკაში დანერგვის იშვიათი თვისება.

მსოფლიოში ცნობილი გეოგრაფი და კარტოგრაფი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მეგობრობდა საქართველოსთან და ქართველ მეცნიერ-გეოგრაფებთან: აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილთან, აკადემიკოს თეოფანე დავითაიასთან, გეოგრაფიული ინსტიტუტის კარტოგრაფიული განყოფილების გამგესთან, პროფესორ ალექსანდრე ასლანიკაშვილთან, პროფესორ ჯანსუღ კეკელიასთან, ნიკოლოზ ბერუჩაშვილთან, იოსებ ქართველიშვილთან, ია კორომშინაძესთან და ამ სფეროში მოღვაწე სხვა მეცნიერებთან.

კონსტანტინე სალიშჩევი ქართველ მეცნიერებს ხშირად უწევდა ოპონირებას. მიუხედავად იმისა, რომ სალიშჩევის სკოლის შეხედულებები განსხვავდებოდა ქართველ მეცნიერთა, განსაკუთრებით კი ალექსანდრე ასლანიკაშვილის შეხედულებებისაგან, პირად ურთიერთობაში ისინი ყოველთვის დახვეწილნი და კორექტულნი იყვნენ. მათი ურთიერთობა იყო მეცნიერთა და მოაზროვნეთა შორის ურთიერთდამოკიდებულების და საწინააღმდეგო აზრისადმი პატივისცემის მაგალითი.

კონსტანტინე სალიშჩევის მეგობრობას ქართველ მეცნიერებთან ისიც უწყობდა ხელს, რომ მას მეუღლე ქართველი ჰყავდა. სწორედ ქალბატონი ლუბა ლორთქიფანიძე-სალიშჩევას დიდი მონდომებითა და ძალისხმევით გადმოეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარტოგრაფია-გეოდეზიის და გეოინფორმატიკის კათედრას დიდი მეცნიერის პირადი არქივი — უნიკალური ბიბლიოთეკა, ატლასები, ფოტოები, ხელნაწერები, მიმოწერა ცნობილ მეცნიერებთან (ეს ფონდი დაცულია და ინახება თსუ კარტოგრაფია-გეოდეზიის და გეოინფორმატიკის კათედრაზე). ამ ჟესტით მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს ქართველი გეოგრაფ-კარტოგრაფებისა და საერთოდ, საქართველოსადმი კეთილგანწყობა, რაც, რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო ოცწლეულის განმავლობაში არსებული დაძაბულობის ფონზე, ძვირად ფასობს.

**მანანა შარაშენიძე,**
თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომელი

*სპორტი*




# საქართველოს თასი უნივერსიტეტში დარჩა

10 მარტს კალათბურთელ ქალთა შორის საქართველოს თასის 2007 წლის ფინალური ასპარეზობა გაიმართა. ამ თასის უცვლელი მფლობელი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი შეხვდა ქუთაისელ კალათბურთელებს.

ასპარეზობის წინა დღეს, კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა საქართველოს თასი ვერის საკალათბურთო არენაზე გადაიტანეს. როგორც მატჩის ფინალმა ცხადჰყო, მხოლოდ ერთი დღით.

უნივერსიტეტელებმა დიდი სხვაობით, 86:53 დაამარცხეს რიონისპირელები და კვლავ დაეუფლნენ საქართველოს თასს.

# რა... სად... როდის...



კალიფორნიის უნივერსიტეტის სწავლულებმა თავიანთ საიტზე განათავსეს ადამიანის ტვინის ინტერაქტიული ელექტრონული ატლასი. საერთო აზრით, ეს გამოსახულება ადამიანის ტვინის ყველაზე სრულქმნილი და უმაღლესი ხარისხით გამორჩეული ატლასია. სამეცნიერო მონაცემები 50 ტერაბაიტ ინფორმაციას მოიცავს, რაც ტვინის შემსწავლელ მეცნიერებს უპრეცედენტოდ მაღალი დეტალიზაციის საშუალებას აძლევთ. ამავე საიტზეა ადამიანის ტვინის დამუშავებისა და ანალიზისთვის საჭირო უფასო პროგრამები.

კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერის დევიდ შოუნ მაიკულას განცხადებით, ეს გამოსახულება გამოკვლევების მიკროსკოპულ დონეზე ჩატარების საშუალებას იძლევა. ამავე საიტზეა განთავსებული „ვირტუალური მიკროსკოპი", რომელიც ტვინის ქსოვილების სტრუქტურის გაანალიზების საუკეთესო საშუალებაა. „ინტერაქტიული ატლასით სპეციალისტები ჯანმრთელი ტვინის სტრუქტურას უკეთ შეისწავლიან, ეს კი წარმოაჩენს იმ სტრუქტურულ და ქიმიურ ცვლილებებს, რომელიც ალცგეიმერის ან პარკინსონის დაავადებების დროს შეიმჩნევა," — განაცხადა მეცნიერმა.

არქტიკაში ნორმაზე სამი გრადუსით მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა, რამაც კანადის უკიდურეს ჩრდილოეთში, ყინულს 66 კვადრატული კილომეტრის ნატეხი მოწყვიტა. სწავლულთა განცხადებით, ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ეს ყველაზე დიდი ბზარია. მათი განცხადებით ეს მოვლენა გლობალური დათბობითაა გამოწვეული. ყინული რამდენიმე თვის წინ გაიხლიჩა, მაგრამ მხოლოდ ახლა, თანამგზავრიდან გადაღებული სურათების წყალობით აღმოაჩინეს. ეს მოვლენა ოტავას უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეისწავლეს და აღნიშნეს, რომ ზაფხულში, როდესაც ყინული მოძრაობას დაიწყებს, იგი შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს საზღვაო გზებისთვის და ნავთობმომპოვებელი ცენტრებისთვის.



ბრიტანელმა გენეტიკოსებმა დნმ-ს ანალიზის ახალი, სპეციფიკური მეთოდი შეიმუშავეს, 270 ადამიანის მოლეკულური მონაცემები შეისწავლეს და დაადგინეს, რომ გენეტიკურ დონეზე ადამიანები გაცილებით უფრო მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ვიდრე აქამდე მიაჩნდათ. ახალი მეთოდი უჯრედების ნაცვლად მთელ სეგმენტებს შეისწავლის. სპეციალისტების აზრით, ეს მეთოდი გენების ერთიანობასა და სხვაობას უკეთ წარმოაჩენს. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დაადგინეს, რომ სხვადასხვა ადამიანთა გენეტიკური თავისებურება ერთმანეთისგან 10%-ით განსხვავდება. აქამდე ითვლებოდა, რომ გენეტიკური კოდის 99% ერთმანეთს ემთხვეოდა.

ეს გამოკვლევები ძირითადად გენური თერაპიის განვითარებისკენაა მიმართული. მეცნიერებს შესაძლებლად მიაჩნიათ ზუსტად დაადგინონ გენი, რომელიც ორგანიზმის დაავადების შესახებ ინფორმაციას ატარებს. შემდეგ ეტაპზე კი ისინი შეიმუშავებენ სისტემას, რომელიც დნმ-ს ჯაჭვიდან დაავადებულ ელემენტს ამოიღებს და მას ახალი, ჯანმრთელი ელემენტით შეცვლის.



იაპონიის სანაპიროზე, ზღვის ნაკრძალში იშვიათი სახეობის ზვიგენი გამოჩნდა. მეცნიერთა აზრით, ეს ორმეტრიანი ურჩხული ზვიგენთა უძველეს ოჯახს ეკუთვნის, რომელსაც ევოლუცია არ განუცდია. ამგვარი ზვიგენები 600 — 1000 მეტრის სიღრმეში ცხოვრობენ, სადაც ადამიანი ვერასდროს მოხვდება. დედამიწაზე კი ისინი 50 მილიონი წლის წინ გაჩნდნენ.

ზვიგენი დაჭერიდან რამდენიმე საათის შემდეგ მოკვდა.



ექიმთა, ფსიქოლოგთა და დიეტოლოგთა საერთაშორისო ჯგუფმა ჯანმრთელი ცხოვრების წესი შეიმუშავა, რაც ახალგაზრდობის ხანგრძლივად შენარჩუნების გარანტიას იძლევა. ეს თავისებური „ათი მცნება" დაახლოებით ასე გამოიყურება:

1. ზედმეტს ნუ შეჭამთ! ჩვეული 2500-ის ნაცვლად 1500 კალორია იკმარეთ! ამით თქვენი ორგანიზმის უჯრედებს განტვირთავთ და მის აქტიურობას შეუწყობთ ხელს.

2. ასაკისთვის შესაბამისი საკვები მიირთვით! ოცდაათი წლის ქალებს ნაოჭები უფრო გვიან გაუჩნდებათ, თუ სისტემატურად ღვიძლს და თხილს მიირთმევენ. ორმოცი წლის ზემოთ ბეტაკაროტინია სასარგებლო, ორმოცდაათის შემდეგ კი ძვლებს კალცი, გულს კი — მაგნიუმი უხდება. მამაკაცებს, ორმოცი წლის შემდეგ, სელენი სჭირდებათ, რასაც ყველი და თირკმელები შეიცავს. იგი სტრესის დაძლევასაც უწყობს ხელს. ორმოცდაათი წლის ზემოთ, თევზი მიირთვით, ამით გულსა და სისხლძარღვებს დაიცავთ.

3. შრომა, ჯანმრთელი ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი ელემენტია! სასურველი საქმე მოძებნეთ. ზოგიერთი პროფესია, სოციოლოგების აზრით, ახალგაზრდობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ასეთი პროფესიებია მაგალითად: დირიჟორი, ფილოსოფოსი, მხატვარი და მღვდელი.

4. იპოვნეთ პარტნიორი! სიყვარული და ალერსი სიბერის პირველი მტერია. შეყვარებული ადამიანის ორგანიზმი ჰორმონ ენდოფრინს გამოჰყოფს, რასაც ბედნიერების ჰორმონს ეძახიან. იგი იმუნურ სისტემას აძლიერებს.

5. საკუთარი აზრი იქონიეთ! ადამიანი, ვინც გააზრებულად ცხოვრობს, დეპრესიაში უფრო იშვიათად ვარდება, ვიდრე ის, ვინც დინებას პასიურად მიჰყვება.

6. იმოძრავეთ! დღეში რამდენიმე წუთი ვარჯიშიც კი სიცოცხლეს ახანგრძლივებს. 30 წლის შემდეგ ზრდის ჰორმონების გამოყოფა ძალიან მცირდება, მოძრაობა კი მას გამოაცოცხლებს.

7. იძინეთ გრილ ოთახში! ნივთიერებათა მიმოქცევა ორგანიზმში გარემოს ტემპერატურაზეცაა დამოკიდებული.

8. დროდადრო თავი გაინებივრეთ! მიირთვით ის, რაც სიამოვნებას განიჭებთ.

9. ნუ ჩაახშობთ ყოველთვის მრისხანებას! ადამიანი, რომელიც არაფერს ყვება, ან არ კამათობს, ავთვისებიანი სიმსივნისკენ მეტადაა მიდრეკილი.

10. გონება ავარჯიშეთ! კროსვორდები ამოხსენით, ლოგიკური თამაშები ითამაშეთ, ენები ისწავლეთ, ხანდახან კალკულატორი გვერდით გადადეთ და თავად დათვალეთ.

შოტლანდიელმა მეცნიერებმა ახალი პროთეზი შექმნეს, რომელსაც i-LIMB უწოდეს, იგი ბიონიკის დარგში სერიოზულ წინსვლად ჩაითვალა. ახალი პროთეზი-ხელი, შოტლანდიელ დონალდ მაკილოპს ერგო. მან ხელი ოცდაათი წლის წინ დაკარგა. მისი განცხადებით, ამ დროის მანძილზე უამრავი პროტეზი იხმარა, მაგრამ ახალს ვერაფერი შეედრება. i-LIMB -ს ხუთივე თითი აქვს და ყოველი მათგანი საკუთარი მიკროძრავით მუშაობს. ამის წყალობით პროთეზი უფრო ბუნებრივადაც გამოიყურება და ნივთებსაც უკეთ იჭერს. გარდა ამისა, მას თავად ადამიანიც უკეთ ეთვისება.



„ამდენი წლის შემდეგ ჭიქა პირველად დავიჭირე ხელში და ამით ცხოვრება ძალიან გამიადვილდაო", — განაცხადა მაკილოპმა. პროთეზის შემქმნელი ბილ დაიკსი კი მოდელის გაუმჯობესების საშუალებებს ეძებს. „ჩვენი შემდგომი მიზანია, პროთეზის ყველა თითმა ცალცალკე იმოძრაოს, ამ ეტაპზე პაციენტი იმას მაინც გრძნობს, რომ ორი ხელი აქვს და არა ერთი", — აცხადებს მეცნიერი.



მექსიკის შტატ პუებლოში, ჩამქრალი ვულკანი სიერა-ნეგრას მწვერვალზე, გიგანტური ტელესკოპი ააგეს, რომელიც მეცნიერებს სამყაროს ფორმირების ზოგიერთი საიდუმლოს ამოცნობის საშუალებას მისცემს. ტელესკოპი გიგანტურ თანამგზავრულ თეფშს ჰგავს და მსოფლიოში უდიდესი, ორმოცდაათმეტრიანი დიამეტრის მქონე ტელესკოპური ანტენა აქვს. მექსიკელ მეცნიერთა აზრით, ეს ტელესკოპი სამყაროს, გალაქტიკებისა და ვარსკვლავთა სისტემების განვითარების შესწავლის საშუალებასაც იძლევა.

სიერა-ნეგრა მექსიკის ყველაზე მაღალი მწვერვალია. აქ ჰაერი იმდენად გაუხშოებულია, რომ სწავლულებს ჟანგბადის ბალონებით მოუწევთ მუშაობა.



საძიებო სისტემა „გუგლმა" და ამერიკის კოსმიურმა სააგენტო „ნასამ", ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ამ ხელშეკრულების თანახმად, „ნასას" მიერ შეგროვებული უამრავი ასტრონომიული და მეტეოროლოგიური ინფორმაცია ინტერნეტის სივრცეში განლაგდება. ამ ინფორმაციის საფუძველზე „გუგლი", რომელსაც უკვე აქვს ვირტუალური დედამიწის პოპულარული მოდელი Earth, ამჯერად მთვარისა და მარსის სამგანზომილებიანი მოდელების შექმნას გეგმავს.



კორეულმა კომპანია „სამსუნგმა" წარმოადგინა ნოუთბუქების კვების ახალი სისტემა, რომელიც საწვავი ელემენტებისაგან შედგება. ჯერჯერობით ამ სისტემას მხოლოდ Q35 მოდელისთვის იყენებენ. როგორც ფირმის წარმომადგენელმა განაცხადა, — მას შეუძლია ნოუთბუქი მთელი თვის მანძილზე განუწყვეტლივ კვებოს, მთავარი პრობლემა ხმაური იყო, მაგრამ ესეც გადაიჭრა და ახალი სისტემა ჩვეულებრივ, აკუმულატორულ ნოუთბუქებზე მეტად არ ხმაურობსო. ახალი სისტემის ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ იგი საკმაოდ დიდი ზომისაა, სამაგიეროდ, დატენას აღარ საჭიროებს, მხოლოდ საწვავით უნდა მოამარაგო, რაც მოგზაურობის დროს დიდი შეღავათი იქნება. მომავლისთვის ფირმა დიზაინის დახვეწასაც გეგმავს.

მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

**საკონტაქტო ტელეფონები:**

| | |
|---|---|
| რექტორის მისაღები | 22-51-07 |
| ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | 22-35-01 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | 22-32-91 |
| საერთო განყოფილება (კანცელარია) | 23-39-16; 22-59-44 |
| სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური | 22-78-99; 22-54-50 |
| საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი | 22-56-79 |
| ადამიანური რესურსების მართვის სამსახური | 22-36-19 |
| საფინანსო სამსახური | 91-24-95 |
| სტუდენტური თვითმმართველობა | 25-12-38 |
| სამუზეუმო სამსახური | 29-08-42 |
| დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური | 25-08-13; 25-36-18 |

**ფაკულტეტების დეკანატები:**

| | |
|---|---|
| ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-08-07 |
| ჰუმანიტარული ფაკულტეტი | 22-21-08 |
| სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-05-94 |
| ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | 30-45-36 |
| იურიდიული ფაკულტეტი | 22-37-10 |
| მედიცინის ფაკულტეტი | 94-34-54 |

რედაქტორი ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი გივი შეყილაძე
სტილისტი, კორექტორი მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი,
ზაზა ფირალიშვილი,
ვახტანგ გურული,
ნინო ჩიხლაძე,
ნოდარ ხადური
თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ.1
22 10 34
www.tsu.ge
newspaper@tsu.ge